

ვლადიმერ ვახანიძე

ფუცი და
ქართრი

თბილისი
2008

ვლადიმერ მახანიძე: ფული და გერორი. გვ. 216. საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“. თბილისი, 2008.

გერორიზმი დიდი ხნის ცნობილი მოვლენაა, მაგრამ თანამედროვე პირობებში, ვარშავის ხელშეკრულების ლიკვიდაციის, საბჭოთა კავშირის დაშლის, სპარსეთის ყურის ომის, მიმოსვლის, ასოციაციისა და სიგყვის თავისუფლების შეღვევად შეიქმნა განსაკუთრებით ხელშემწყობი ვითარება მისი გავრცელებისათვის. გერორიზმი ახლა არა მარტო ცალკეულ ქვეყნებსა თუ მათს ჯგუფებს ემუქრება, არამედ მთელ საერთაშორისო გაერთიანებასაც.

გერორიზმთან ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა მისი მასაზრდოებელი ფინანსური ნაკადების ბლოკირება. დღემდე საერთაშორისო თანამშრომლობა ამ სფეროში აშკარად ვერ იყო საკმარისი, რასაც ხელს უწყობს ფულის შეღებებით იოლი გადასვლა ერთი ქვეყნიდან მეორეში, საბანკო საიდუმლოებანი ზოგიერთ ქვეყანაში, უამრავი ოფშორული მონის არსებობა. უწინარეს ყოვლისა, ეს იმიტომ ხდება, რომ ხანგრძლივი დროის მანძილზე ჯეროვნად არ აფასებდნენ კრიმინალური ჯგუფებისათვის ესოდენ საჭირო საფინანსო რესურსების გზების გადაკეტვას ან მათი ხელმისაწვდომობის გაძნელებას. თუმცა, დაფინანსების შეწყვეტა მათი ჩახშობის სისტემის უმთავრესი ელემენტია. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ გერორისგული საქმიანობა გრანსნაციონალურ დონეზე საფრთხეს უქადის ნებისმიერ სახელმწიფოს.

ამ წიგნში განხილულია, საერთოდ, გერორიზმის და კერძოდ, გერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლაში საერთაშორისო გაერთიანების საქმიანობის საერთაშორისო-სამართლებრივი ასპექტები, აგრეთვე ამ მიზნით შექმნილი ძირითადი საერთაშორისო ორგანიზაციების ფუნქციები და საქმიანობის თავისებურებანი.

შესავალი

გერორიზმი ოდინდელი მოვლენაა, მაგრამ თანამედროვე პირობებში, ვარშავის ხელშეკრულების ლიკვიდაციის, საბჭოთა კავშირის დაშლის, სპარსეთის ყურის ომის, მიმოსვლის, ასოციაციისა და სიგყის თავისუფლების შედეგად შეიქმნა განსაკუთრებით ხელშემწყობი ვითარება მისი გაერცელები-სათვის. გერორიზმი ახლა არა მარტო ცალკეულ ქვეყნებსა თუ მათს ჯგუფებს ემუქრება, არამედ მთელ საერთაშორისო გაერთიანებასაც.

ყველა რეგიონული კონსულტაციის დროს მთავრობათა ჯგუფები და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები გამოთქვამდნენ შეშოთებას იმის გამო, რომ ამჟამად მიმდინარე ომი გერორიზმის წინააღმდეგ არცთუ იშვიათად ძირს უთხრის სწორედ იმ ღირებულებებს, რომლებსაც აყენებენ დარცყმას გერორისტები: ადამიანის უფლებებსა და სამართლის უზენაესობას. იმათი უმრავლესობა ვინც ასეთ შეშოთებას გამოთქვამდა, ექვეყემ არ აყენებდა გერორიზმის საფრთხის სერიოზულობას და აღიარებდა, რომ სიცოცხლის უფლება ყველაზე ფუძემდებელია ადამიანის უფლებებს შორის. მაგრამ ისინი შიშობდნენ, რომ გერორის პრობლემისადმი არსებული მიდგომები, რომლებიც მთლიანადაა კონცენტირებული სამხედრო, პოლიციურ და სადაზვერვო ღონისძიებებზე ძირს გამოუთხრიან ძალისხმევას ადამიანის უფლებათა დასაცავად, გამოიწვევენ მსოფლიოს მოსახლეობის დიდი ჯგუფების გაუცხოებას და ამის შედეგად შეასუსტებენ გერორიზმის წინააღმდეგ კოლექტიური მოქმედების პოტენციალს. რაც შეეხება იმ რეგიონების სახელმწიფოებს, საიდანაც ჩნდებიან გერორისტები, უპირველესი აუცილებლობაა განვამტკიცოთ არა მარტო მათი უნარი, არამედ, ავრეთვე მათი ნებაც გერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ ნების განსამტკიცებლად – თანაც ისე, რომ სახელმწიფოები თავიანთი საკუთარი ხალხების მხარდაჭერით სარგებლობდნენ და არ აწყდებოდნენ მათი მხრივ ოპოზიციას, – გაცილებით უფრო ფართო მიდგომაა საჭირო.

სწორედ ამიტომ საჭირო გახდა შემუშავებულიყო ტერორიზმთან ბრძოლის გლობალური სტრატეგია. სტრატეგია, რომელიც ეხება ძირეულ მიზეზებს და განამტკიცებს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას, სამართლის უზენაესობას და ადამიანის უფლებებელ უფლებებს. საარსებო მნიშვნელობა ენიჭება ყოველისმომცველ სტრატეგიას, რომელიც მოიცავს იძულების ზომებს, მაგრამ გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე ეს ღონისძიებანი. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია გენერალური მდივნის წამყვანი როლის პირობებში ხელს უნდა უწყობდეს ისეთი ყოველისმომცველი სტრატეგიის შემუშავებას, რომელიც შეიცავს:

შეკავებას, რომელიც ხორციელდება ტერორიზმის ან იმათი წარმომშობი მიზეზების გაქარწყლების მიზნით, ვინც ხელს უწყობს ტერორიზმს, მათ შორის, სოციალური და პოლიტიკური უფლებების, სამართლის უზენაესობისა და დემოკრატიული რეფორმების წახალისების მეშვეობით; ღონისძიებათა განხორციელებას ოკუპაციის შესაწყვეტად და უკმაყოფილების მთავარი პოლიტიკური მიზეზების აღმოსაფხვრელად; ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლას; სილაგაკისა და უმუშევრობის მასშტაბის შემცირებას; სახელმწიფოთა დაშლის შეწყვეტას. სხვა საშიშროებათა თავიდან აცილების სტრატეგიის ყველა შემოაღნიშნული პრინციპი განაპირობებს მეორეულ სასარგებლო მომენტებს და ხელს უწყობს ტერორიზმის ზოგიერთი მიზეზის აღმოფხვრას;

ექსტრემიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ბრძოლის ძალისხმევას, მათ შორის, საჯარო განხილვისა და ხელშეწყობის მეშვეობით. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთმა ამასწინანდელმა სიახლემ – მოხსენებამ არაბულ სამყაროში ადამიანის განვითარების შესახებ – ხელი შეუწყო იმას, რომ ახლო აღმოსავლეთში გაძლიერდა ფართო კამათი ქალთა უფლებების, პოლიტიკური თავისუფლების გაფართოების, სამართლისა და სამოქალაქო თავისუფლებათა უზენაესობის აუცილებლობასთან დაკავშირებით;

უფრო ქმედითი ინსტრუმენტების შემუშავებას ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად გლობალური თანამშრომ-

ლობისათვის, თანაც, მხოლოდ და მხოლოდ სამართლებრივ ფარგლებში, რომლებიც ემყარება ადამიანის უფლებებისა და სამოქალაქო თავისუფლებების პატივისცემას, მათ შორის, სამართალდამცველი საქმიანობის დარგში; საღაბვერო მონაცემების გაცელებას, როდესაც ეს შესაძლებელია, ფინანსური კონგროლის ღონისძიებებზე უარის თქმას და მათს აკრძალვას, როცა ეს აუცილებელია;

სახელმწიფოთა პოტენციალის ზრდას გეროორისგთა დაქირავებისა და გეროორისგული ოპერაციების თავიდან ასაცილებლად; კონგროლს საშიში მასალებისადმი და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებებს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რამდენიმე ანტიგეროორისგულმა კონვენციამ შექმნა ნორმატიული საფუძვლები. მაგრამ ჯერჯერობით ძალზე ბევრი სახელმწიფო რჩება კონვენციების ფარგლებს მიღმა. მათ მიერ რატიფიცირებული ქვეყნები, მხოლოდ ახლა იწყებენ შიდა ღონისძიებათა მიღებას მათი შესრულების უზრუნველსაყოფად. გარდა ამისა, გეროორიზმის დაფინანსების პრობლემის გადაჭრის ცდები აშკარად არ არის ადეკვატური. იმ დროს, როდესაც 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ სამი თვის განმავლობაში დაიბლოკა სავარაუდო გეროორისგული სახსრები 112 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით, მომდევნო ორი წლის მანძილზე გაიყინა მხოლოდ 24 მილიონი. კონფისკაციაქმნილი სახსრები წარმოადგენენ მხოლოდ მცირედ ნაწილს იმ რესურსების საერთო მოცულობისა, რომელიც თავიანთ განკარგულებაში აქვთ გეროორისგულ ორგანიზაციებს. იმ დროს, როდესაც ბევრ სახელმწიფოს არ გააჩნია საკმარისი კანონები და ტექნიკური შესაძლებლობანი ფულის გათეთრების წინააღმდეგ საბრძოლველად, გეროორისგთა თავდაძერენის ხრიკების არსენალი ერთობ მრავალფეროვანია. ბევრი გეროორისგული საშუალება თავისი წარმოშობით კანონიერად ითვლება, რის გამოც ძალზე ძნელია მათი რეგულირება.

წევრმა სახელმწიფოებმა, რომლებსაც ეს ჯერ არ გაუკეთებიათ, აქტიურად უნდა განიხილონ საკითხი გეროორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის თაობაზე არსებული 12-ვე საერთაშო-

რისო კონვენციის ხელმოწერისა და რატიფიკაციის შესახებ. მათ მიიღეს 8 სპეციალური რეკომენდაცია გეროროიზმის დაუინანსების თაობაზე, რომლებიც შეიძულებს მიზნობრივმა ჯგუფმა იმ უინანსურ ღონისძიებათა შესახებ უფლის გათეთრებას რომ ეხება.

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 58/136 რეზოლუციაში რეკომენდაცია მისცა დამნაშავეობის თავიდან აცილებისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების კომისიას გაეროს სხვა დაწესებულებებთან, კერძოდ, კონტრტერორისტულ კომიტეტთან კოორდინაციით, რეგულარულად მიმოიხილოს პროგრესი გეროროიზმის შესახებ არსებულ უნივერსალურ კონვენციებთან და ოქმებთან წვერი სახელმწიფოების შეერთების, მათი განხორციელების საქმეში, აგრეთვე იმსჯელოს იმ წვერი სახელმწიფოების მოთხოვნილებებზე, რომლებსაც ტექნიკური დახმარება ესაჭიროებათ. საერთაშორისო გეროროიზმის შესახებ არსებულ უნივერსალურ დოკუმენტებს მიმხრობილი ქვეყნების საერთო რიცხვი, მათ შორის იმ სახელმწიფოების რაოდენობა, რომლებმაც 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ მოახდინეს მათი რატიფიკაცია, მოყვანილია № 1 ცხრილში. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ 11-მა სახელმწიფომ უნივერსალურ დოკუმენტებს რატიფიკაცია გაუკეთა მას შემდეგ, რაც გაეროს ნარკოტიკებისა და დამნაშავეობის საკითხთა სამმართველოსაგან მიიღო სამართლებრივი დახმარება საკანონმდებლო აქტების პროექტების მომზადებაში.

გაეროს უშიშროების საბჭო მნიშვნელოვან როლს ასრულებს გეროროიზმთან ბრძოლის სტრატეგიაში. 90-იანი წლების დამდეგიდან უშიშროების საბჭო ცდილობს შეამციროს გეროროიზმის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა და განამტკიცოს მისდამი სახელმწიფოებრივი წინააღმდეგობა. 1992 წლიდან მოყოლებული, უშიშროების საბჭო იყენებდა სანქციებს გეროროიზმის მხარდამჭერი ფიზიკური პირებისა და სახელმწიფოების წინააღმდეგ, მათ შორის, 1999 და 2000 წლებში უსამა ბენ ლადენის, „ალ-ქაიდასა“ და „თალიბანის“ მოძრაობის წინააღმდეგ. უშიშროების საბჭოს პირველი რეაქცია 2001 წლის 11 სექტემბრის გეროროისტულ თავდასხმაზე უაღრესად სწრაფი და

კონვენცია / ოქმი	მონაწილეთა რიცხვი	2001 წლის 11 სექტემბრის შექმნულ განხორციელებულ რატიფიკაციათა რიცხვი
კონვენცია თვითმყრინაეის ბორტზე ჩადენილი სამართალდარღვევებისა და ზოგიერთი სხვა აქტის შესახებ	177	5
კონვენცია საპაერო ხომალდების უკანონო მოტაცების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ	177	3
კონვენცია იმ უკანონო აქტებთან ბრძოლის შესახებ, რომლებიც მიმართულია სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების წინააღმდეგ	179	4
კონვენცია საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი პირების, მათ შორის, დიპლომატიური აგენტების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებათა თავიდან აცილების და დასჯის შესახებ	146	36
საერთაშორისო კონვენცია მძევალთა აყენასთან ბრძოლის შესახებ	137	40
კონვენცია ბირთვული მასალის ფიზიკური დაცვის შესახებ	102	33
სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ უკანონო აქტებთან ბრძოლის კონვენციის შემავსებელი ოქმი საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის მომსახურე აეროპორტებში ძალადობის უკანონო აქტებთან ბრძოლის შესახებ	144	36
კონვენცია საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ უკანონო აქტებთან ბრძოლის შესახებ	104	45
ოქმი კონტინენტურ შეღწევი განლაგებული სტაციონარული პლატფორმების უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო აქტებთან ბრძოლის შესახებ	95	42
კონვენცია პლასტიკურ ფეთქებად ნივთიერებათა აღმოჩენის მიზნით მათი ნიშანდების შესახებ	104	37
საერთაშორისო კონვენცია საბომბო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ	120	93
საერთაშორისო კონვენცია ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ	112	108

შთაბეჭდავი იყო. უშიშროების საბჭოს 1373-ე რეზოლუციამ /2001/ ყველა სახელმწიფოს დაუწესა ერთიანი იმპერატიული ვალდებულებანი გერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად და დააფუძნა კონგრგერორისტული კომიტეტი, რომელიც კონგროლს უწევს ყველა სახელმწიფოს მიერ უშიშროების საბჭოსა და გაეროს გადაწყვეტილებათა შესრულებას გერორიზმთან ბრძოლის სფეროში, აგრეთვე სახელმწიფოებისათვის ტექნიკური დახმარების გაწევის ხელშეწყობის მიზნით /შემდეგ – კომიტეტი, გლ/.

მაგრამ უშიშროების საბჭომ ფრთხილად უნდა იმოქმედოს. ის გარემოება, თუ როგორ ხედებიან იურიდიული ან ფიზიკური პირები გერორისტულ სიაში, რომელსაც საბჭო უძღვება და სიაში შეყვანილი სუბიექტების მიმართ გადასინჯვის ან გასაჩივრების პროცედურების არარსებობა ანგარიშვალდებულების სერიოზულ კითხვებს ბადებს და, შესაძლოა, არღვევს კიდევ უშუბემდებელ ნორმებს ადამიანის უფლებათა დარგში. „ალ-ქაიდას“ და „თალიბანის“ მიმართ სანქციათა კომიტეტმა უნდა დანერგოს იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საქმეების გადასინჯვის პროცესი, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ისინი ყოვლად დაუსაბუთებლად შეიყვანეს საკონგროლო სიებში ან გოვებენ ამ სიებში.

უშიშროების საბჭოს სანქციები და მისი კომიტეტის საქმიანობა დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებენ იმ მხარდაჭერის შესაწყვეტად, რომელსაც ზოგიერთი სახელმწიფო უწევს გერორიზმს და სხვა სახელმწიფოების დასარაზმავად მის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. თუმცა „ალ-ქაიდასა“ და „თალიბანის“ მოძრაობის წინააღმდეგ მიმართული საბჭოს სანქციები კარგავს ეფექტიანობას წვერი სახელმწიფოების მიერ მხარდაჭერის დაყოვნებისა და ასევე დაყოვნებული განხორციელების შედეგად და შეეხება მხოლოდ „ალ-ქაიდას“ ცნობილ მოღვაწეთა მცირერიცხოვან ჯგუფს, იმ დროს, როდესაც მთელი რიგი სახელმწიფოები აგვიანებენ მიღებულ მითითებათა განხორციელებას.

რამდენადაც გაეროს ხელშეწყობით განსახორციელებელი დახმარება ტექნიკური მხარდაჭერით შემოიფარგლება, სახელ-

მწიფოებს, რომლებიც ისწრაფვიან მოიპოვონ ოპერატიული მხარდაჭერა კონგრგერორისგულ საქმიანობაში, არ გააჩნიათ არავითარი სხვა ალტერნატივა, გარდა იმისა, რომ ეძებონ ორმხრივი დახმარება. გაეროს უნარი, ხელი შეუწყოს ასეთი დახმარების გაწევას, მთელ რიგ შემთხვევებში შეამსუბუქებდა შილა პოლიტიკურ პრობლემებს, ამის მიღწევა შესაძლებელი იქნება, თუ დადგინდა, რომ კომიგეტის აღმასრულებელი დირექტორაგი იმოქმედებს როგორც საკოორდინაციო ცენტრი სახელმწიფოთაშორისი სამხედრო, პოლიციური და სასაზღვრო დახმარების გასაწევად ეროვნული კონგრგერორისგული პოტენციალის განმტკიცების მიზნით. უშიშროების საბჭომ იმ სახელმწიფოებთან კონსულტაციების შემდეგ ვისაც ეს პრობლემა ეხება, უნდა გააფართოვოს კომიგეტის აღმასრულებელი დირექტორაგის უფლებამოსილებანი ამ ფუნქციის შესრულების მიზნით.

დაუცველობა შეიძლება არასაკმარისი ნებითაც იყოს გამოწვეული, მაგრამ მეტწილად იგი პოტენციალის არარსებობის შედეგია. გაეროს წევრებმა და სპეციალიზებულმა ორგანოებმა უნდა გაააქტიურონ თავიანთი ძალისხმევა რათა სახელმწიფოებს ხელი მიუწვდებოდეთ ეფექტიან სამართლებრივ, ადმინისტრაციულ და პოლიციურ ინსტრუმენტებზე გერორიზმის აღსაკვეთად. ამ პროცესის ხელშეწყობის მიზნით გაერომ უნდა დააფუძნოს პოტენციალის განმტკიცების მიზნობრივი ფონდი, რომელსაც გაუძღვება კომიგეტის აღმასრულებელი დირექტორაგი. იმ სახელმწიფოების მიმართ, რომლებსაც საკმარისად აქეთ შესაძლებლობანი თავიანთ მოვალეობათა შესასრულებლად, მაგრამ ხშირად არ არსულებენ მათ, უშიშროების საბჭოს შეიძლება დასჭირდეს, განახორციელოს დამატებითი ღონისძიებანი დაცვის უზრუნველსაყოფად, მან უნდა შეიმუშაოს გრაფიკი, თუ როგორ იქნება გამოყენებული წინასწარ დადგენილი სანქციები ვალდებულებათა დაუდევარი შესრულების გამო.

გერორიზმის მასაზრდოებელი ფინანსური ნაკადების ბლოკირება მასთან ბრძოლის ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულებაა. დღემდე აღნიშნულ სფეროში მიმდინარე საერთაშორისო

თანამშრომლობა აშკარად ვერ იყო სამკარისი, რასაც მოწმობს ფულის შედარებით იოლი გადაგანა ერთი ქვეყნიდან მეორეში, საბანკო საიდუმლოებანი ზოგიერთ ქვეყანაში, უამრავი ოფშორული ზონის არსებობა. უწინარეს ყოვლისა, ეს იმიტომ ხდება, რომ თითიდან გამოწოვილი პოლიტიკური და ეკონომიკური მიზეზების გამო სანგრძლივი დროის მანძილზე ჯეროვნად არ აფასებდნენ კრიმინალური ჯგუფებისათვის ესოდენ საჭირო ფინანსური რესურსების გზის გადაკეცვის ან ხელმისაწვდომობის გაძნელების მნიშვნელობას, თუმცა დაფინანსების შეწყვეტა მათი ჩახშობის სისტემის უმთავრესი ელემენტია. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ გეროორისტული საქმიანობა გრანსეროვნულ დონეზე უდიდეს საფრთხეს უქადის ნებისმიერ სახელმწიფოს.

1999 წლის 9 დეკემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო საერთაშორისო კონვენცია გეროორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის შესახებ, რომელიც მისი ხელმომწერი სახელმწიფოებისაგან მოითხოვს კანონის მიხედვით დანაშაულად გამოაცხადონ ზოგიერთი მოქმედება და დააწესონ გეროორისტული საქმიანობის დამფინანსებელი ცალკეული პირებისა და ორგანიზაციების სამართლებრივი პასუხისმგებლობა, მოახდინონ მათი ექსტრადირება ან სასამართლო დევნა. ანუ კონვენციამ მოიმოქმედა ცდა, გაევერცელებინა საერთაშორისო თანამშრომლობა იმ პირთა საქმეების გამოძიებისა და ექსტრადირების სფეროებზე, ვინც გეროორიზმის დაფინანსებას მისდევს.

გეროორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ფინანსური ბოროტმოქმედების წინააღმდეგ მებრძოლ საერთაშორისო ორგანიზაციას – ფატჰ-ს. ეს არის საერთაშორისო პარაორგანიზაცია, რომელიც ამუშავებს პოლიტიკას საჭირო პოლიტიკური ნების გენერირებისათვის, რათა წვერი ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობანი წარმართოს, უწინარეს ყოვლისა, ფულის გათეთრების წინააღმდეგ საბრძოლველად.

გეროორიზმის დაფინანსება შეიძლება განისაზღვროს როგორც ნებისმიერი წყაროდან /შესაძლოა, კანონიერიდანაც/

შემოსული საკუთრების გადამუშავება გეროორისტული საქმიანობის დასაფინანსებლად გამოყენების მიზნით, რომელიც უკვე ხორციელდება ან განხორციელდება. ითვლება, რომ გეროორიზმის დასაფინანსებლად გამოიყენება ბევრი მეთოდი, რომლებითაც სარგებლობენ ფულის გათეთრებისას და, ამრიგად, შესაძლო კონტრღონისძიებათაგან ბევრი ანალოგიურია. გარდა ამისა, ცნობილია, რომ მთელი რიგი გეროორისტული ორგანიზაციები თავიანთ საქმიანობას აფინანსებენ დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლის ხარჯზე. მიუხედავად ამისა, გეროორიზმის დაფინანსება განსხვავდება ფულის გათეთრებისაგან რამდენიმე ასპექტით, რომლებიც გაელენას ახდენენ სახელმწიფო პოლიტიკაზე. მისი გამოვლენა გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე ფულის გათეთრებისა, რამდენადაც იგი მიმართულია უმთავრესად მომავალი საქმიანობისათვის. შესაძლოა, ერთადერთი სამართალდარღვევა, რომელიც დაფინანსების მომეგში ხდება – ეს არის შეთქმულება გეროორისტული აქტის ჩადენის მიზნით.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია განიხილოს საერთაშორისო გაერთიანების საქმიანობის საერთაშორისო-სამართლებრივი ასპექტები საერთოდ გეროორიზმის და, კერძოდ, გეროორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლაში.

თავი I.

საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბაეროს საქმიანობის საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტები

§1. საერთაშორისო ტერორიზმის ცნება

ტერორიზმი ლახვარს სცემს ღირებულებებს, რომლებიც საფუძვლად უდევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას: ადამიანის უფლებათა პატივისცემას; სამართლის უზენაესობას; ომის წარმოების წესებს, რომლებიც სამოქალაქო მოსახლეობას იცავენ; შემწყნარებლობას ხალხებსა და ქვეყნებს შორის; კონფლიქტების მშვიდობიან მოწესრიგებას. ტერორიზმი ჰყვავის სასოწარკვეთილების, დამცირების, სიღატაკის, პოლიტიკური ჩაგვრის, ექსტრემიზმისა და ადამიანის უფლებათა დარღვევების პირობებში; იგი აგრეთვე ხარობს რეგიონული კონფლიქტებისა და უცხოური ოკუპაციის დროს; მის წისქვილზე ასხამენ წყალს სახელმწიფოები, რომლებსაც არ შესწევთ უნარი დაიცვან მართლწესრიგი.

ორი ახალი დინამიკური მოვლენა კიდევ უფრო ამძაფრებს ტერორისტულ საფრთხეს. „ალ-ქაიდა“ არის პირველი და, ალბათ, არა უკანასკნელი მაგალითი შეიარაღებული არასახელმწიფოებრივი ქსელისა, რომელსაც აქვს მოცვის გლობალური მასშტაბი და თანამედროვე პოტენციალი. თავდასხმებმა, რომლებიც ათზე მეტ წევრ სახელმწიფოში განხორციელდა, ოთხ კონტინენტზე უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში, ცხადყოფს, რომ „ალ-ქაიდა“ და მასთან დაკავშირებული ორგანიზაციები უნივერსალურ საფრთხეს უქმნიან გაეროს წევრებსა და თვით გაეროს. საჯარო განცხადებებში „ალ-ქაიდა“ გაეროს უწოდებს მნიშვნელოვან დაბრკოლებას მისი მიზნების მიღწევის გზაზე და თავის ერთ-ერთ მოსისხლე მტერს. მეორე, აშკარაა იმის საფრთხე, რომ ტერორისტები – ნებისმიერი ჯურის, ნებისმიერი მოტივაციისა – შეეცდებიან გამოიწვიონ მა-

სობრივი მსხვერპლი, რაც უპრეცედენტო საშიშროებას ქმნის. ამასთან დაკავშირებით, აუცილებელია უფრო ოპერატიული ღონისძიებანი, რათა კონკრული გაეწიოს ბირთვული, რადიოლოგიური, ქიმიური და ბიოლოგიური მასალების მიწოდებას და შეიქმნას საზოგადოებრივი ჯანდაცვის მძლავრი გლობალური სისტემები, რომლებსაც ცენტრალური მნიშვნელობა აქვთ ამ საფრთხის თავიდან აცილებისათვის. გერორიზმის აქტები სულ უფრო მეტ საშიშროებას უქმნიან სახელმწიფოების უსაფრთხოებას სხვადასხვა კონგინენტზე. ხშირად ისინი საერთაშორისო ხასიათს აგარებენ და საფრთხეში აგვდებენ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს, იწვევენ საერთაშორისო ვითარების დესტაბილიზაციას. შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ გერორიზმი თანამედროვეობის გლობალურ პრობლემად გადაიქცა. 2001 წლის 11 სექტემბერს ნიუ-იორკში, ვაშინგტონსა და პენსილვანიაში მომხდარმა მოვლენებმა ცხადყოვეს, რომ საერთაშორისო გერორისგები თავიანთი გეგმების მისაღწევად არაფრის წინაშე არ იხევენ უკან, მათთვის არ არსებობს სახელმწიფოების საზღვრები და ისინი მზად არიან ნებისმიერი მსხვერპლის ფასად მიაღწიონ თავიანთ დანაშაულებრივ მიზნებს, ამასთან გამოიყენონ დანაშაულის იარაღად სხვადასხვა საშუალებანი, რომლებსაც დიდი დამანგრეველი ძალა აქვთ ან დიდ საფრთხეს უქმნიან ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. კერძოდ, ასეთ პოტენციურ საშუალებებს შეგვიძლია მივაკუთვნოთ ბირთვული იარაღი და რადიოაქტიული მასალების შემცველი სხვა მოწყობილობა, რომელთა ხელში ჩაგდების შესაძლებლობა ამ ბოლო დროს გაუჩნდათ გერორისგებსაც. ბირთვული გერორიზმის აქტების განსაკუთრებული საშიშროება აიხსნება იმ გარემოებითაც, რომ მათ მოსდევს აურაცხელი ადამიანური მსხვერპლი, მძიმე ეკოლოგიური შედეგები და თვით ეკოლოგიური კატასტროფა. გაეროს უშიშროების საბჭომ 2001 წლის 28 სექტემბრის № 1373 რეზოლუციაში დაადასტურა, რომ გერორისგების მოქმედება აშშ-ში, ისევე როგორც საერთაშორისო გერორიზმის ყოველგვარი აქტი, საფრთხეს უქადის საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას.

ჩვენი აზრით, საერთაშორისო გაერთიანებამ ვერ შეძლო, შეემუშაებინა გერორიზმის საყოველთაოდ მისაღები იურიდიული განსაზღვრება. გერორიზმის სამართლებრივი ცნების შემუშავება მსოფლიო იურიდიული მეცნიერებისა და დამნაშავეობასთან ბრძოლის პრაქტიკის პრობლემაა. არსებობს გერორიზმის 100-დან 200-მდე ცნება, მაგრამ არც ერთს არ ეთქმის კლასიკური.

გაეროს უნარს, შეიმუშაოს ყოვლისმომცველი სტრატეგია, აბრკოლებს წვერი სახელმწიფოების უუნარობა, შეათანხმონ ანტიგეროორისტული კონვენცია, რომელიც გერორიზმის განსაზღვრებას მოიცავს. ეს ხელს უშლის გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ისარგებლოს თავისი მორალური გავლენით და არაორაზროვნად განაცხადოს, რომ გერორიზმი ვერასდროს ვერ იქნება მისაღები მეთოდი, ყველაზე დამაჯერებელი მიზეზებითაც კი.

1945 წლიდან დაწყებული, ნორმებისა და კანონების კიდევ უფრო მძლავრი არსენალი, მათ შორის, გაეროს წესდება, ქენევის კონვენციები და საერთაშორისო სისხლის სამართლის რომაული სტატუტი, არეგულირებს და ბოჭავს სახელმწიფოთა ნებას ძალის გამოყენების მიმართ და მათ ქცევას ომის პირობებში, მაგალითად, იმ მხრივ, რაც შეეხება მოთხოვნებს კომბატანტებსა და მშვიდობიან მცხოვრებლებს შორის განსხვავების განსაზღვრის, ძალის პროპორციული გამოყენების შესახებ და ძირითადი ჰუმანიტარული პრინციპების დაცვის თაობაზე. ამ ვალდებულებათა დარღვევებმა კვლავაც უნდა გამოიწვიოს ფართო დაგმობა, ხოლო სამხედრო დანაშაულობანი სასამართლო წესით უნდა იდევნებოდეს.

ნორმები, რომლებიც არეგულირებენ ძალის გამოყენებას არასახელმწიფოებრივი სუბიექტების მიერ, ჩამორჩება ნორმებს, რომლებიც სახელმწიფოებს შეეხება. ეს უფრო იურიდიული საკითხია და არა პოლიტიკური. სამართლებრივი თვალსაზრისით, გერორიზმის პრაქტიკულად ყველა ფორმა აკრძალულია 12 საერთაშორისო კონგრგეროორისტული კონვენციიდან ნებისმიერით, ჩვეულებრივი საერთაშორისო სამართლით, ქენევის კონვენციებით ან რომაული სტატუტით. სწავლულმა

იურისტებმა იციან ეს, მაგრამ არსებობს აშკარა განსხვავება კონვენციებისა და სხვა ხელშეკრულებების ნაკლებადცნობილ დებულებათა ამ დაქსაქსულ ნუსხასა და ყველასათვის გასაგებ დამაჯერებელ ნორმატიულ ჩარჩოებს შორის, რომლებითაც უნდა შემოიფარგლოს გეროორიზმის საკითხი. არასახელმწიფოებრივი სუბიექტების მიერ ძალის გამოყენების მიმართ გაერომ უნდა მიაღწიოს ნორმატიული ძალის ისეთივე ღონეს, როგორსაც – სახელმწიფოთა მიერ ძალის გამოყენების მიმართ. მკაფიო და საყოველთაოდ აღიარებული განსაზღვრების თაობაზე თანხმობის მიუღწელობა ძირს უთხრის ნორმატიულ და მორალურ კომპიციებს გეროორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და ჩრდილს აყენებს გაეროს რეპუტაციას. გეროორიზმის თაობაზე ყოვლისმომსყელი კონვენციის, მათ შორის, მკაფიო განსაზღვრების შემუშავება პოლიტიკურ იმპერატივს წარმოადგენს.

შეთანხმებული განსაზღვრების ძიება, ჩვეულებრივ, აწყდება ორ საკითხს. პირველი მათგანი დაკავშირებულია იმ არგუმენტთან, რომ ნებისმიერი განსაზღვრება უნდა შეიცავდეს სახელმწიფოების მიერ შეიარაღებული ძალის გამოყენებას მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ. მიგვაჩნია, რომ სახელმწიფოების მიერ ჩადენილი დარღვევების წინააღმდეგ მიმართული სამართლებრივი და ნორმატიული ჩარჩოები გაცილებით უფრო მკაცრია, ვიდრე არასახელმწიფოებრივი სუბიექტების შემთხვევაში. ამდენად ვერ ჩავთვლით ამ არგუმენტს დამაჯერებლად. მეორე მოსაზრება შეეხება იმას, რომ უცხოეთის ოკუპაციის ქვეშ მყოფ ხალხებს აქვთ წინააღმდეგობის უფლება და რომ გეროორიზმის განსაზღვრება არ უნდა აკნინებდეს ამ უფლებას. წინააღმდეგობის უფლებას ბოჯერ აპროტესტებენ ხოლმე. მაგრამ იგი არ წარმოადგენს ცენტრალურ მომენტს: ცენტრალური მომენტი ვახლავათ ის, რომ ოკუპაციის ფაქტში არაფერია ისეთი, რაც ამართლებდეს მშვიდობიანი მცხოვრებლებისათვის დარტყმების მიყენებას და მათ განადგურებას.

ამ მოსაზრებათაგან არც ერთი არ არის საკმაოდ დამაჯერებელი იმისათვის, რომ უარყოს არგუმენტი იმის შესახებ,

რომ გაეროს მიერ დაწესებული მტკიცე და მკაფიო ნორმატიული ჩარჩოები სახელმწიფოების მიერ ძალის გამოყენების საკითხში უნდა შეივსოს ასეთივე ავტორიტეტული ნორმატიული ფარგლებით არასახელმწიფოებრივი სუბიექტების მიერ ძალის გამოყენების საკითხში. თავდასხმები, რომლებიც კონკრეტულად არის მიმართული ყოველად უდანაშაულო მშვიდობიან მცხოვრებთა და არაკომბატანტთა წინააღმდეგ, მკაფიოდ და აშკარად უნდა დაგმოს ყველამ.

უშიშროების საბჭოს 2004 წლის 1566-ე რეზოლუცია, რომელიც შეიცავს მთელ რიგ ღონისძიებებს გაეროს როლის გასაძლიერებლად გეროორიზმთან ბრძოლაში და რომელმაც შეგვახსენა, რომ საერთაშორისო გეროორიზმი გამოიხატება დანაშაულებრივი აქტებით, მათ შორის, სამოქალაქო პირების წინააღმდეგ, რომლებსაც სჩადიან ადამიანთა დასახოცად ან მათი ჯანმრთელობისათვის სერიოზული ზიანის მისაყენებლად, ან მძევალთა ასაყვანად, რათა თავზარი დასცენ ფართო საზოგადოებრიობას ან ადამიანთა ჯგუფს, ან ცალკეულ პირებს, დააშინონ მოსახლეობა ან აიძულონ მთავრობა თუ საერთაშორისო ორგანიზაცია, განახორციელოს რაიმე მოქმედება ან თავი შეიკავოს მისი განხორციელებისაგან, წარმოადგენს დანაშაულს გეროორიზმის შესახებ საერთაშორისო კონვენციებისა და ოქმების თვალსაზრისით და მათში არსებული განსაზღვრებების შესაბამისად, არამცდარამც არაფითარ ვითარებაში არ შეიძლება გავამართლოთ პოლიტიკური, ფილოსოფიური, იდეოლოგიური, რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან სხვა ამგვარი ხასიათის ნიშნის მიხედვით, ხოლო თუ ვერ მოხერხდა მათი თავიდან აცილება – მივიღოთ ზომები, რათა ასეთი ქმედობისათვის სასჯელი ეთანადებოდეს მის მძიმე ხასიათს.

ამასთანავე, აღნიშნული რეზოლუციის მე-5 პუნქტი მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს ყოველმხრივ ითანამშრომლონ დაჩქარებულ საფუძველზე ყველა გადაუწყვეტელი საკითხის მოსაგვარებლად იმ მიზნით, რომ კონსენსუსის გზით მიღებულ იქნეს საერთაშორისო გეროორიზმის შესახებ ყოველის მომცველი კონვენციის პროექტი და ბირთვული გეროორიზმის აქტებთან ბრძოლის შესახებ საერთაშორისო კონვენციის პროექტი.

საშიშროებების, გამოწვევებისა და ცვლილებების საკითხთა მაღალი დონის ჯგუფს ასევე მიაჩნია, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გენერალური ასამბლეის ფარგლებში კონსენსუსის გზით შემუშავდეს განსაზღვრება ნორმატიული თვალსაზრისით, მისი უნიკალური ლეგიტიმურობის გათვალისწინებით და რომ მან ოპერატიულად უნდა დაასრულოს მოლაპარაკება გერორიზმის თაობაზე ყოველმომცველი კონვენციის საკითხთან დაკავშირებით, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ ელემენტებს:

აღიაროს – პრეამბულაში – ის, რომ მშვიდობიან მცხოვრებთა წინააღმდეგ სახელმწიფოს მიერ ძალის გამოყენებას აწესრიგებენ ენევის კონვენცია და სხვა დოკუმენტები და, თუ იგი გამოიყენება საკმაოდ უარყოფით მასშტაბით, წარმოადგენს სამხედრო დანაშაულს შესაბამისი პირების მხრივ ან ადამიანების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს;

დაადასტუროს, რომ აქტები, რომლებიც 12 წინა ანტიგერორისტულ კონვენციას ეთანადება, წარმოადგენენ გერორიზმს, და განაცხადოს, რომ ისინი წარმოადგენენ დანაშაულს საერთაშორისო სამართლის თანახმად; დაადასტუროს, რომ გერორიზმი შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდში აკრძალულია ენევის კონვენციითა და ოქმებით;

დაიმოწმოს განსაზღვრებანი, რომლებსაც შეიცავს 1999 წლის საერთაშორისო კონვენცია გერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის შესახებ და უშიშროების საბჭოს 2004 წლის 1566-ე რეზოლუცია;

აღწეროს გერორიზმი როგორც ნებისმიერი ქმედობა იმ ქმედობათა დამატებით, რომლებიც უკვე აღნიშნულია არსებულ კონვენციებში გერორიზმის სხვადასხვა ასპექტის თაობაზე, ენევის კონვენციებსა და უშიშროების საბჭოს 2004 წლის 1566-ე რეზოლუციაში, რომელიც მიზნად ისახავს გამოიწვიოს მშვიდობიან მცხოვრებთა ან არაკომბატანტთა სიკვდილი ან მიაყენოს მათ სხეულის მძიმე დაზიანება, როდესაც ასეთი ქმედობის მიზანი, მისი ხასიათის ან კონტექსტის გამო, არის ის, რომ დააშინოს მოსახლეობა ან აიძულოს მთავრობა თუ საერთაშორისო ორგანიზაცია, განახორციელოს რაიმე მოქმედება

ან თავი შეიკავოს მისი განხორციელებისაგან.

სხვათა შორის, ამჟამად საერთაშორისო გერორიზმის ყოვლისმომცველი კონვენციის პროექტის შემუშავება წარმოებს ბირთვული გერორიზმის აქტებთან ბრძოლის შესახებ საერთაშორისო კონვენციის პროექტზე მუშაობის პარალელურად.

დიდი ხანია გაეროს გენერალური ასამბლეის ფარგლებში მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა საერთაშორისო გერორიზმის თაობაზე ყოვლისმომცველი კონვენციის პროექტის შესათანხმებლად. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ არ არის მიღწეული თანხმობა მთლიანად პრეამბულასთან დაკავშირებით.

§ 2. კავშირი გერორიზმსა და დანაშაულებრივი საქმიანობის სხვა სახეობებს შორის

უშიშროების საბჭოს 2001 წლის 1373—ე რეზოლუციის შესაბამისად, რომელშიც შემოთავაზებულია აღნიშნული მჭიდროკავშირი საერთაშორისო გერორიზმსა და გრანსეროვნულ ორგანიზებულ დამნაშავეობას, უკანონო ნარკოტიკებს, ფულის გათეთრებას, იარაღის უკანონო ბრუნვას და ბირთვული, ქიმიური, ბიოლოგიური და სხვა პოტენციურად სიკვდილის საფრთხის შემცველი მასალების უკანონო გადაზიდვებს შორის, დამნაშავეობის თავიდან აცილებისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების კომისიამ თავის მეთორმეტე სესიაზე რეკომენდაცია მისცა გენერალურ ასამბლეას მიეღო პროექტი რეზოლუციისა „საერთაშორისო თანამშრომლობის და ტექნიკური დახმარების განმკვიცება გერორიზმის შესახებ უნივერსალური კონვენციებისა და ოქმების განხორციელების ხელშეწყობის საქმეში, დამნაშავეობის თავიდან აცილების საერთაშორისო ცენტრის ღონისძიებათა ფარგლებში“. ეს პროექტი შემდეგ ასამბლეამ მიიღო 58/136 რეზოლუციად, რომელშიც მან შესთავაზა წევრ სახელმწიფოებს წარმოუდგინონ გენერალურ მდივანს ინფორმაცია გერორიზმსა და დამნაშავეობის სხვა ფორმებს შორის კავშირის ხასიათის თაობაზე, იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს თანამოქმედება და ტექნიკური

დასმარების გაწევა. ამასთან დაკავშირებით წვერი სახელმწიფოებისაგან მიღებული პასუხები გაანალიზდება და ეცნობება მეთერთმეტე კონგრესს.

საერთაშორისო გერორიზმსა და გრანსეროვნულ ორგანიზებულ დამნაშავეობას შორის არსებული კავშირი მოითხოვს აგრეთვე, რომ საერთაშორისო გაერთიანებამ იმსჯელოს, რამდენად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს გერორიზმთან ბრძოლის შესახები უნივერსალური საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტები და კონვენცია ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ იმ შემთხვევებში, როდესაც სისხლისსამართლებრივი სამართალდარღვევები ექვემდებარება რამდენიმე საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტის მოქმედებას იმდენად, რამდენადაც ზოგიერთ გერორისტულ ორგანიზაციას სჩვევია ორგანიზებულ დანაშაულებრივ დაჯგუფებათა განმასხვავებელი თავისებურებანი და მათი საქმიანობის დამახასიათებელი მეთოდები. კონვენცია შეიძლება გამოყენებულ იქნეს, აგრეთვე გერორისტულ ორგანიზაციებთან ბრძოლისათვის, კერძოდ, ნოვაგორული ხასიათის დებულებათა განხორციელებასთან დაკავშირებით, რომლებიც შეეხება გრანსასაზღვრო საგამოძიებო ჯგუფების შექმნას. და, პირიქით, გერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის შესახებ საერთაშორისო კონვენციის ზოგიერთი დებულება /გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 54/109, დანართი/ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების მიერ განხორციელებულ ფინანსურ მორიგებებთან, აგრეთვე იმ ოპერაციებთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოებს ფულის გათეთრების მიზნით.

საერთაშორისო გერორიზმსა და გრანსეროვნული ორგანიზებული დამნაშავეობის სხვა ფორმებს შორის ურთიერთობის გაფართოება მოითხოვს საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცებას. ძირითად პრობლემებს, რომლებსაც იგი აწყდება, განეკუთვნება შეთანხმების არარსებობა და შეუთავსებლობაც კი ეროვნულ სამართლებრივ სისტემებს შორის, აგრეთვე ასეთ სისტემებსა და საერთაშორისო შეთანხმებებს შორის, რომლებიც მოწოდებული არიან უზრუნველყონ საერთაშორის-

სო თანამშრომლობის მექანიზმები სისხლის სამართლებრივი მართლმსაჯულების დარგში. ამის შედეგად სუსტდება საერთაშორისო თანამშრომლობა, ზოგჯერ კი შეუძლებელიც ხდება. საბოლოოდ, გრანსეროენული დანაშაულებრივი ორგანიზაციები და საერთაშორისო ტერორისტები იღებენ შესაძლებლობას, გამოიყენონ ეს შეუთანხმებლობა თავიანთი ინტერესებისათვის.

ანალოგიური განსხვავებანი, რომლებიც ზოგჯერ შეიმჩნევა საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ სამართალს შორის, შეიძლება აღმოჩნდეს რეგიონულ დონეზეც. ამ თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ საკითხი იმ კავშირის შესახებ, რომელიც არსებობს ტერორიზმის წინააღმდეგ გაეროს უნივერსალურ კონვენციებსა და მათ ოქმებს და ტერორიზმთან ბრძოლის რეგიონულ სამართლებრივ დოკუმენტებს შორის.

§ 3. კონტრტერორისტული კომიტეტის საქმიანობა

1999 წ. 1267-ე რეზოლუციით დაფუძნებული გაეროს უშიშროების საბჭოს კონტრტერორისტული კომიტეტი მოქმედებს 2002 წლის 7 ნოემბერს მიღებული სახელმძღვანელო წესების საფუძველზე შესწორებებით, რომლებიც შეგანილია 2003 წლის 10 აპრილს.

კომიტეტის შემადგენლობა

კომიტეტი შედგება უშიშროების საბჭოს ყველა წევრისაგან. კომიტეტის თავმჯდომარეს ნიშნავს უშიშროების საბჭო. კომიტეტის თავმჯდომარეს ეხმარება თავმჯდომარის ორი მოადგილე, რომლებსაც ნიშნავს უშიშროების საბჭო.

თავმჯდომარე უძღვება კომიტეტის სხდომებს. როდესაც იგი სხდომას ვერ თავმჯდომარეობს, ავალებს თავმჯდომარის ერთ-ერთ მოადგილეს, იმოქმედოს მისი სახელით.

კომიტეტის სამდივნოს აყალიბებს გაეროს სამდივნო.

კომიტეტის სხდომები

კომიტეტის სხდომებს იწვევენ ყოველ ჯერზე, როდესაც თავმჯდომარე ამას საჭიროდ მიიჩნევს (ან კომიტეტის ერთ-ერთი წევრის თხოვნით). შეტყობინება კომიტეტის სხდომის შესახებ იგზავნება მის მოწვევამდე ორი სამუშაო დღით ადრე, თუმცა საგანგებო შემთხვევებში შეტყობინების ვადები შეიძლება უფრო მჭიდრო იყოს.

კომიტეტი თავის სხდომებს მართავს დახურულ დარბაზში, თუ არ იქნა მიღებული სხვა გადაწყვეტილება. კომიტეტს შეუძლია მიიწვიოს გაეროს ნებისმიერი წევრი მონაწილეობის მისაღებად კომიტეტის წინაშე მდგომი ნებისმიერი საკითხის განხილვაში, რომელიც კონკრეტულად ეხება ამ წევრის ინტერესებს. კომიტეტს შეუძლია მიიწვიოს სამდივნოს თანამშრომლები ან, მისი აზრით, სხვა კომპეტენტური პირები, რომლებსაც შეეძლებათ მისცენ მას შესაბამისი დასკვნები ან მიაწოდონ ცნობები, ანდა გაუწიონ დახმარება მის გამგებლობაში შემაჯავალ საკითხთა შესწავლაში.

კომიტეტს შეუძლია მიიწვიოს მეთვალყურეობის ჯგუფის წევრები, რომლებიც დაწესდა 2001 წლის 1373-ე რეზოლუციის შესასრულებლად და რომლის ფუნქციებიც შეიცვალა 2002 წლის 1390-ე რეზოლუციით – შესაბამის შემთხვევებში მიიღოს მონაწილეობა სხდომებში.

კომიტეტის მანდატი

კომიტეტის მანდატი იღება იმ ღონისძიებათა საფუძველზე, რომლებიც შემოღებულ იქნა 1999 წლის 1267-ე რეზოლუციის 4/B/ პუნქტისა და 2000 წლის 1333-ე რეზოლუციის 8 /C/ პუნქტის შესაბამისად, რომელთა განხორციელება გაგრძელდა 2002 წლის 1390-ე რეზოლუციის 1 და 2 პუნქტების შესაბამისად, იმ ამოცანების შესასრულებლად და საბჭოსათვის გაწეული მუშაობის მოხსენებათა წარსადგენად შენიშვნებითა და რეკომენდაციებითურთ:

– მიმართოს ყველა სახელმწიფოს დამატებითი ინფორმაციისათვის იმ ნაბიჯების შესახებ, რომლებსაც ისინი დგამენ ზემოაღნიშნული ღონისძიებების ეფექტიანი განხორციელები-

სათვის, და შემდეგ გამოითხოვოს მათგან ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია, რომელიც შეიძლება კომიტეტმა საჭიროდ მიიჩნიოს;

– რეგულარულად განაახლოს 2002 წლის 1390–ე რეზოლუციის 2 პუნქტში მოხსენიებული ნუსხა, მათ შორის, იმ პირების, ჯგუფების, საწარმოებისა და ორგანიზაციების განსაზღვრის გზით, რომლებიც ექვემდებარებიან ზემოხსენებულ ღონისძიებათა მოქმედებას, შესაბამისი ინფორმაციის საფუძველზე, რომელსაც წარმოადგენენ წევრი სახელმწიფოები და რეგიონული ორგანიზაციები;

– ითანამშრომლოს უშიშროების საბჭოს სხვა შესაბამის კომიტეტებთან სანქციების მიხედვით და კომიტეტთან, რომელიც დაფუძნებულია 2001 წლის 28 სექტემბრის 1373–ე რეზოლუციის 6 პუნქტის შესასრულებლად;

– შეისწავლოს წევრი სახელმწიფოების მიერ 2002 წლის 1390–ე რეზოლუციის 6 პუნქტის შესასრულებლად წევრი სახელმწიფოების მიერ წარმოდგენილი მოხსენებანი და მეთვალყურეობის ჯგუფის მიერ წარმოდგენილი მოხსენებანი ამავე რეზოლუციის 10 პუნქტის შესასრულებლად;

– განიხილოს სახელმწიფოთა მიერ მათთვის ცნობად მიღებისათვის გაგზავნილი ინფორმაცია ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა დარღვევების შესახებ და გამოიგანოს რეკომენდაციები მათზე რეაგირების შესაბამის ღონისძიებათა თაობაზე;

– წარუდგინოს საბჭოს პერიოდული მოხსენებანი იმ ინფორმაციის შესახებ, რომელიც მას მიეწოდა 2002 წლის 1390–ე რეზოლუციის განხორციელების თაობაზე, მათ შორის ზემოხსენებულ ღონისძიებათა დარღვევების შესახებ;

– გამოაქვეყნოს შესაბამისი საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით ცნობები, რომლებსაც აქტუალურად მიიჩნევს, მათ შორის, 2002 წლის 1390–ე რეზოლუციის 2 პუნქტში მოხსენიებული ნუსხა;

– ოპერატიულად შეცვალოს ისეთი სახელმძღვანელო პრინციპები და კრიტერიუმები, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელების შესამსუბუქებლად;

– განიხილოს სათხოვრები იმ ღონისძიებათა მოქმედების დაქვემდებარებიდან გამოყვანის თაობაზე, რომლებიც გათვალისწინებულია უშიშროების საბჭოს 2002 წლის 1390–ე რეზოლუციის 2 /B/ პუნქტით, თანახმად ამ პუნქტისა.

2002 წლის 1390–ე რეზოლუციის 2 პუნქტში აღნიშნულ პირთა და ორგანიზაციათა ნუსხა

შესაბამისი ინფორმაციის მიღებისას კომიტეტი რეგულარულად აახლებს ნუსხას, რომელიც მოხსენიებულია 2002 წლის 1390–ე რეზოლუციის 2 პუნქტში.

რამდენადაც ეს შესაძლებელია, შემოთავაზებული ნუსხის დამატებანი უნდა შეიცავდნენ აგრეთვე იმ ინფორმაციის დეტალურ შინაარსს, რომელიც წარმოადგენს 2002 წლის 1390–ე რეზოლუციის და 1999 წლის 1267–ე და 2000 წლის 1333–ე რეზოლუციების შესაბამის დებულებათა საფუძველს ან საფუძველს მათი შესრულებისათვის ზომების მისაღებად.

რამდენადაც ეს შესაძლებელია შემოთავაზებული ნუსხის დამატებანი უნდა მოიცავდნენ შესაბამის და კონკრეტულ ინფორმაციას, რომელიც კომპეტენტურ ორგანოებს შეუმსუბუქებდა ნუსხაში დასამატებელი პირებისა და ორგანიზაციების იდენტიფიკაციის ამოცანას: პირების მიმართ უნდა აღინიშნოს გვარი, დაბადების თარიღი, დაბადების ადგილი, მოქალაქეობა, მოგონილი სახელები, საცხოვრებელი ადგილი, პასპორტის ან სამგზავრო დოკუმენტის ნომერი;

ჯგუფების, საწარმოების ან ორგანიზაციების მიმართ უნდა აღინიშნოს შეილეული კომპანიის სახელწოდება, აკრონიმი, მისამართი, შტაბ–ბინა, ფილიალები, ცრუმაგიერი ორგანიზაციები, საქმის ან საქმიანობის ხასიათი, ხელმძღვანელობა.

კომიტეტი ოპერატიულად განიხილავს წვერი სახელმწიფოების ან რეგიონული ორგანიზაციების მეშვეობით გაგზავნილ თხოვნას ამ ნუსხის განახლების შესახებ კომიტეტის მიერ მიღებული შესაბამისი ინფორმაციის საფუძველზე.

წვერ სახელმწიფოებს დაუყოვნებლივ ეცნობებათ ამ ნუსხაში შესაგანი ნებისმიერი ცვლილებები. განახლებული ნუსხა ოპერატიულად განთავსდება კომიტეტის ვებ–გვერდებზე.

2003 წლის 1455-ე რეზოლუციის მე-7 პუნქტის შესასრულებლად წვერი სახელმწიფოების ან რეგიონული ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე ნუსხაში შეტანილი ინფორმაციის განახლება

კომიტეტი ოპერატიულად განიხილავს ქვემოთ მოყვანილი პროცედურების შესაბამისად ნებისმიერ ინფორმაციას, რომელსაც წარმოადგენენ წვერი სახელმწიფოები და რეგიონული ორგანიზაციები და მიიღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ რა ცნობებმა შეიძლება შეუწყონ ხელი ნუსხაში შეტანილი ინფორმაციის გაუმჯობესებას.

იქამდე, სანამ წვერი სახელმწიფო ან რეგიონული ორგანიზაცია კომიტეტს წარუდგენდეს რაიმე დამატებით ინფორმაციას ნუსხაში შეყვანილი ფიზიკური ან იურიდიული პირების მიმართ, მათ რჩევა ეძლევათ, მიმართონ თავდაპირველი წარდგენის სახელმწიფოს და გამართონ მასთან კონსულტაციები კომიტეტის განსახილველად წარსადგენი ინფორმაციის აქტუალობის თაობაზე. ასეთ შემთხვევებში კომიტეტი და /ან მისი სამდივნო გაუწევენ წვერ სახელმწიფოებსა და რეგიონულ ორგანიზაციებს ხელშეწყობას ამ კონტაქტების პროცესში.

2001 წლის 137-ე რეზოლუციის შესასრულებლად დაფუძნებული კონგროლის ჯგუფი განახორციელებს ნებისმიერი მიღებული ინფორმაციის მიმოხილვას, გამოიყენებს მის ხელთ არსებულ ყველა წყაროს, მათ შორის სხვა წყაროებს იმათ გარდა, რომლებიც შეიძლება წარუდგინოს თავდაპირველი წარდგინების სახელმწიფომ.

შემდეგ კონგროლის ჯგუფი ოთხი კვირის განმავლობაში აცნობებს კომიტეტს, შეიტანოს თუ არა ასეთი ინფორმაცია ნუსხაში ანდა გამოიგანოს რეკომენდაცია იმის თაობაზე, რომ საჭიროა მიღებულ იქნეს დამატებითი ახსნა-განმარტება, რათა დაზუსტდეს, რამდენად შესაძლებელია მიღებული ინფორმაცია შეტანილ იქნეს ნუსხაში. კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, არსებობს თუ არა საამისო საჭიროება და როგორ უნდა მიიღონ ასეთი ახსნა-განმარტება. ამასთან, შეუძლია თუ არა კვლავ მიიწვიოს ამისათვის კონგროლის ჯგუფის ექსპერტები.

როდესაც კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებას თავის ნუსხაში დამატებითი ინფორმაციის შეტანაზე, ეს ნუსხა ახლდება საჭიროების კვალობაზე და კომიტეტის თავმჯდომარე ინფორმაციას აწვდის შესაბამის წევრ სახელმწიფოს ან რეგიონულ ორგანიზაციას, რომელმაც წარმოადგინა დამატებითი ინფორმაცია. წვერი სახელმწიფოები მიიღებენ ინფორმაციას ნუსხის ყველა ასეთი განახლების შესახებ ვერბალური ნოტების მეშვეობით. გარდა ამისა, გამოქვეყნდება აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრეს-რელიზი.

კომიტეტისათვის წარდგენილი ნებისმიერი დამატებითი შესაბამისი ინფორმაცია, რომელიც არ ყოფილა ნუსხაში შეტანილი, შეინახება შეზღუდული მოხმარების მონაცემთა ბაზაში კომიტეტისა და კონგრესის ჯგუფის მიერ შესასრულებლად მათ მიერ თავიანთი შესაბამისი მანდატების განხორციელებისას. კომიტეტს შეუძლია გაუზიაროს ასეთი დამატებითი ინფორმაცია ნებისმიერ სხვა წევრ სახელმწიფოს ან რეგიონულ ორგანიზაციას, რომელმაც მიმართა თხოვნით ნუსხაში მოხსენიებული ფიზიკური ან იურიდიული პირების თაობაზე დამატებითი დეტალების შესახებ (თუ დამატებითი ინფორმაცია არ მიიჩნევა კონფიდენციალურად მისი წარმომდგენი წვერი სახელმწიფოს ან რეგიონული ორგანიზაციის მიერ). კომიტეტი ასეთ კონფიდენციალურ ინფორმაციას წარუდგენს მეორე წევრ სახელმწიფოს ან რეგიონულ ორგანიზაციას მხოლოდ იმ წვერი სახელმწიფოს თუ რეგიონული ორგანიზაციის წინასწარი თანხმობით, რომელმაც თავდაპირველად მიაწოდა მას ასეთი კონფიდენციალური ინფორმაცია.

იმ შემთხვევებში, როდესაც ეს მიზანშეწონილია კომიტეტი და /ან მისი სამდივნო შესთავაზებენ წევრ სახელმწიფოებს ან რეგიონულ ორგანიზაციებს (რომლებიც დამატებით ინფორმაციას თხოულობენ სიაში შეტანილი კონკრეტული ფიზიკური პირების ან ორგანიზაციების თაობაზე), მიმართონ წევრ სახელმწიფოებს ან რეგიონულ ორგანიზაციებს, რომლებმაც თავდაპირველად წარმოადგინეს ინფორმაცია ამავე ფიზიკური პირებისა თუ ორგანიზაციების შესახებ.

ნუსხიდან ამოღება

არსებული პროცედურებისათვის ზიანის მიუყენებლად განმცხადებელს /პირს/, ჯგუფს, საწარმოს და /ან ორგანიზაციას, რომლებიც ფიგურირებენ 1267 კომიტეტის კრებისით ნუსხაში, შეუძლია მიმართოს იმ ქვეყნის მთავრობას, რომელშიც იგი ცხოვრობს და /ან რომლის მოქალაქეცაა იგი, შუამდგომლობით საქმის გადასინჯვის შესახებ. ამასთან დაკავშირებით განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს ნუსხიდან ამოღების შესახებ თავისი შუამდგომლობის დასაბუთება, შესთავაზოს შესაბამისი ინფორმაცია და მიმართოს თხოვნით ნუსხიდან ამოღებაში ხელშეწყობის თაობაზე.

მთავრობამ, რომელსაც წარედგინება განცხადება („თხოვნის აღრესაგი მთავრობა“) უნდა მიმოიხილოს მთელი შესაბამისი ინფორმაცია, ხოლო შემდეგ მიმართოს ორმხრივი არხებით მთავრობას, რომელმაც გამოიტანა თავდაპირველი გადაწყვეტილება („გადაწყვეტილების გამომგანი მთავრობა“), დამატებითი ინფორმაციის მისაღებად და კონსულტაციების გასამართავად ნუსხიდან ამოღების თაობაზე შემოსული შუამდგომლობის შესახებ.

თავდაპირველი გადაწყვეტილების გამომგან მთავრობას შეუძლია აგრეთვე გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია ქვეყნისაგან, რომლის მოქალაქესაც წარმოადგენს განმცხადებელი ან რომელშიც ცხოვრობს იგი. ნებისმიერი ასეთი ორმხრივი კონსულტაციების დროს თხოვნის აღრესაგ მთავრობას და გადაწყვეტილების გამომგან მთავრობას შეუძლიათ შესაბამის შემთხვევებში მოეთათბირონ კომიტეტის თავმჯდომარეს.

თუ ნებისმიერი დამატებითი ინფორმაციის მიმოხილვის შემდეგ თხოვნის აღრესაგ მთავრობას განზრახული აქვს განაგრძოს ნუსხიდან ამოღების თაობაზე შემოსული შუამდგომლობის განხილვა, მან უნდა დაარწმუნოს გადაწყვეტილების გამომგანი მთავრობა, შეიტანოს კომიტეტში ერთობლივად ან ცალკე ასეთი შუამდგომლობა. თხოვნის აღრესაგ მთავრობას შეუძლია შეიტანოს კომიტეტში შუამდგომლობა ნუსხიდან ამოღების შესახებ პირვანდელი გადაწყვეტილების გამომგანი

მთავრობის თანხმობის შემთხვევაში უკვე აღნიშნული გარეშე, თანახმად პროცედურისა „წინააღმდეგი არავინ არის“.

წვერი სახელმწიფოების მიერ წარმოდგენილი მოხსენებები და კომიტეტისათვის გადასაცემი ინფორმაცია

კომიტეტი ასორციელებს შემდეგ ფუნქციებს:

სწავლობს წვერი სახელმწიფოების მიერ 2002 წლის 1390-ე რეზოლუციის მე-6 პუნქტის შესასრულებლად წარმოდგენილ მოხსენებებს. კომიტეტს შეუძლია გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია, რომელსაც იგი საჭიროდ მიიჩნევს;

სწავლობს მოხსენებებს, რომლებსაც წარმოადგენს მეთვალყურეობის ჯგუფი 2002 წლის 390-ე რეზოლუციის 10 პუნქტის შესასრულებლად;

განიხილავს წვერი სახელმწიფოების მეშვეობით მისთვის სხვადასხვა წყაროებიდან მიწოდებულ ინფორმაციას, რომელიც შეეხება მის მუშაობას, მათ შორის, შესაძლო დარღვევებს.

სამდინო გადასცემს კომიტეტს ნებისმიერ ინფორმაციას ნებისმიერი ღია წყაროებიდან, მათ შორის, რადიო-და სატელევიზიო რეპორტაჟებს, რომლებიც ეხება 2000 წლის 1390-ე რეზოლუციის განხორციელებას. რეზოლუციისა და 1999 წლის 1267-ე და 2000 წლის 1333-ე რეზოლუციების შესაბამისი ნაწილების განხორციელებას, მეგადრე, ამ რეზოლუციებით დაწესებული სანქციების დარღვევებს ან სავარაუდო დარღვევებს.

კომიტეტის მიერ მიღებული ინფორმაცია ატარებს კონფიდენციალურ ხასიათს, თუ ამის შესახებ თხოვს მისი წარმომდგენი მხარე ან თუ კომიტეტი იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

„მანდატის“ განაცხადში მომენტის მისაღებად მთავრობათა ძალისხმევით ხელშეწყობის მიზნით კომიტეტს შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება რომ შესაბამის მთავრობებს გადაეცეთ მასთან შესული ინფორმაცია სავარაუდო დარღვევების შესახებ და შესთავაზოს ნებისმიერ ასეთ მთავრობას, მოახსენოს შემდეგ კომიტეტს მათ მიერ წარმოებული ნებისმიერი გამოძიების შესახებ.

გადაწყვეტილების მიღება

კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებებს კონსენსუსის საფუძველზე. თუ ამა თუ იმ საკითხზე კონსენსუსი შეუძლებელია, თავმჯდომარემ უნდა გამართოს ისეთი დამატებითი კონსულტაციები, რომლებიც ხელს შეუწყობენ მორიგების მიღწევას. თუ ამ კონსულტაციების შემდეგ კონსენსუსის მიღწევა კვლავინდებურად ვერ ხერხდება, ეს საკითხი შეიძლება გადაეცეს უშიშროების საბჭოს. ინფორმაციის სპეციფიკური ხასიათის გამო საკითხის განმარტების მიზნით გადაწყვეტილების მიღებამდე თავმჯდომარეს შეუძლია წამოაყენოს წინადადება, მოეწყოს ინფორმაციის ორმხრივი გაცემა დაინტერესებულ წევრ სახელმწიფოებს შორის.

როდესაც კომიტეტი ამას ეთიანხმება, გადაწყვეტილებანი შეიძლება მიღებულ იქნეს წერილობითი პროცედურის საფუძველზე. ასეთ შემთხვევებში თავმჯდომარე გააერცელებს შეთავაზებულ კომიტეტის გადაწყვეტილებებს კომიტეტის ყველა წევრს შორის და სთხოვს მათ გამოთქვან ნებისმიერი საწინააღმდეგო აზრი შეთავაზებული გადაწყვეტილების გამო ორი სამუშაო დღის ვადაში (ხოლო საგანგებო შემთხვევებში უფრო მოკლე ვადაში თავმჯდომარის შეხედულებისამებრ). თუ ამ ვადის გასვლის შემდეგ საწინააღმდეგო აზრი არ შემოვიდა, გადაწყვეტილება შეიძლება მიღებულად ჩაითვალოს.

მოსხენებანი უშიშროების საბჭოსადმი და ინფორმაცია წევრი სახელმწიფოებისათვის

კომიტეტი რეგულარულად წარუდგენს უშიშროების საბჭოს მოსხენებებს, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, რეკომენდაციებს, 2002 წლის 1390-ე რეზოლუციის განხორციელებასთან დაკავშირებით სიგყვიერი, ან წერილობითი ფორმით – უშიშროების საბჭოს თხოვნის კვალობაზე ან იმ შემთხვევებში, როდესაც კომიტეტი საჭიროდ მიიჩნევს წარუდგინოს მოხსენება უშიშროების საბჭოს.

კომიტეტის მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებისა და გაშუქების მიზნით თავმჯდომარე მისი ოფიციალური სხდომების შემდეგ აწყობს ბრიფინგს დაინტერესებული წევრი სახელმწი-

უოებისა და პრესის წარმომადგენლებისათვის, თუ კომიტეტი არ მიიღებს საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას. გარდა ამისა, თაემჯდომარეს მიენიჭება უფლებამოსილება კომიტეტის წევრებთან წინასწარი კონსულტაციების შეძლევა და მათი თანხმობით გამართოს პრესკონფერენცია ან გააფრელოს პრესრელიზები კომიტეტის შესაბამის ნებისმიერი ასპექტის გამო.

კონგრტერორისტული კომიტეტი (კტკ) ახორციელებს თანამშრომლობას საერთაშორისო რეგიონულ და სუბრეგიონულ ორგანიზაციებთან.

საერთაშორისო, რეგიონული და სუბრეგიონული ორგანიზაციების მიერ 2004 წლის 12 მარტის ვენის დეკლარაციაზე და შემდგომ შეხვედრაზე, რომელიც მიუძღვნა კონგრტერორისტული კომიტეტის სპეციალური თათბირის შედეგებს, დაისახა შემდეგი ამოცანები:

1. გამოძებნონ გზები ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ძალისხმევის ეფექტიანობის ასამაღლებლად შესაბამისი მანდატებისა და კომპეტენციის სფეროების ფარგლებში კონგრტერორისტულ კომიტეტთან, ერთმანეთთან, აგრეთვე სხვა შესაბამის საერთაშორისო სუბიექტებთან ინფორმაციის გაცვლისა და კოორდინაციისათვის, რათა დააკმაყოფილონ კტკ-ს წევრთა მოთხოვნილება პოტენციალის განმტკიცებაზე იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყონ მათ ყველა ვალდებულების ყოველმხრივ განხორციელებაში 2001 წლის 1373-ე რეზოლუციის თანახმად.

2. წარუდგინონ კტკ-ს თუ ეს შესაძლებელია არსებულ მორიგებათა მისეღვით, შესაბამისი ინფორმაცია ერთობლივ ღონისძიებათა მაგრიცაში შესაგანად, რომელიც წარმოადგენს დახმარების წინადადებებისა და პროგრამების ყოვლისმომცველ ანაკრებს. ამით ხელი შეუწყონ ასეთი ინფორმაციის გაცვლას დახმარების აღმოჩენის სხვა მხარეებთან, რათა არ დაუშვან დუბლირება და დამთხვევა მის გაწევაში.

3. არ დაუშვან დუბლირება და განაგრძონ კტკ-ს წევრთა თანამშრომლობის სრულყოფა და კოორდინაცია მათ შორის, როდესაც ეს მიზანშეწონილია, გექნიკური დახმარების ერთობლივი პროგრამების განხორციელების ან შესაბამის სახელმწიფოთა თანხმობით სახელმწიფოებში ერთობლივი ვიზიტების გზით.

4. მაღლობა მოახსენონ გაეროს ორგანოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებიც სისტემატურად აწვდიან ინფორმაციას კტკ-ს არსებული და მათ მიერ განხორციელებული ტექნიკური დახმარების პროგრამების შესახებ და დაბეჯითებით მოუწოდონ იმათ, ვისაც ეს ჯერ არ გაუკეთებია, წარუდგინონ ასეთი ინფორმაცია კტკ-ს რეგულარულ საუწყებულზე.

5. გაეაერთიანოთ ჩვენი ძალისხმევა გერორიზმთან ბრძოლის მოქმედების შესაბამისი გეგმების ფოკუსირებაში 2001 წლის 1373-ე რეზოლუციის მიზნებსა და პრიორიტეტებზე, რომლებიც კონგრეტორისგულმა კომიტეტმა განსაზღვრა.

6. გავააქტიუროთ ძალისხმევა სახელმწიფოების სტიმულირებისათვის, რათა ისინი გახდნენ გერორიზმთან ბრძოლის 12 საერთაშორისო კონვენციისა და ოქმების მონაწილენი და მოახდინონ მათი დებულებების ინტეგრირება თავიანთ შინაგან კანონმდებლობაში, აგრეთვე სახელმწიფოებისათვის ამ მხრივ დახმარების გასაწევად.

7. განაგრძონ ძალისხმევა თანამშრომლობისა და კოორდინაციის განსამტკიცებლად 2001 წლის 1373-ე რეზოლუციის ყოველმხრივი განხორციელების მიზნით; მიიღონ შემდგომი ზომები წინამდებარე დეკლარაციასთან დაკავშირებით, რისთვისაც გამართონ კტკ-ს წევრი ორგანიზაციების მომავალი შეხვედრა ექვსი თვის განმავლობაში; ამ მიზნით მიიღონ ცნობად არაბულ სახელმწიფოთა ლიგის წინადადება მოაწყონ კტკ შემდეგი თათბირი.

აი, კონგრეტორისგული კომიტეტისა და არაბულ სახელმწიფოთა ლიგის იმ რეგიონული ორგანიზაციის თანამშრომლობის მაგალითი, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე შფოთიან რეგიონს – ახლო აღმოსავლეთს.

არაბულ სახელმწიფოთა ლიგისა და მისი სხვადასხვა ორგანოების საერთაშორისო მასშტაბის საქმიანობა გერორიზმთან ბრძოლის სფეროში ემყარება, უწინარეს ყოვლისა, გაეროსთან და მის იმ ორგანოებთან თანამშრომლობას, რომლებიც გერორიზმის საკითხებზე მუშაობენ, ამ უკანასკნელთა მიერ მიღებული დოკუმენტებისა და რეზოლუციების განხორციელებ

ბას, ამ ტექსტების განხილვასა და ანალიზს, თანამშრომლობას სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან, რომლებსაც აქვთ კომპეტენცია გერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში. გაგაყნობთ ამ საქმიანობის მოკლე რეზიუმეს.

საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტების კომპლექსს, რომლებიც ეხება საერთაშორისო ტერორიზმის აღკვეთას, ჩახშობასა და თავიდან აცილებას დაემატა არაბული ქვეყნების კონვენცია ტერორიზმის აღკვეთის შესახებ, რომლის ერთი ეგზემპლარი შესანახად გადაეცა გაეროს გენერალურ მდივანს, ხოლო ტექსტი შეგანილ იქნა გენერალური ასამბლეის 1999 წლის 23 სექტემბრის, 2000 წლის 26 იელისის და 2001 წლის 3 იელისის დოკუმენტებში ა/58/301, ა/55/179 და ა/56/160.

უშიშროების საბჭოს 2001 წლის 1373-ე რეზოლუციის გამოყენების კონტექსტით და კონგრგერორისტული კომიტეტის თხოვნის პასუხად დაფუძნდა საკოორდინაციო ცენტრი, რომელიც ხელს უწყობს კავშირის უზრუნველყოფას ამ კომიტეტსა და არაბული ქვეყნების ლიგის გენერალურ სამდივნოს შორის (სამართლებრივ საკითხთა სამმართველო). გარდა ამისა, კტკ-ს თავმჯდომარის თხოვნის პასუხად არაბული ქვეყნების ლიგის გენერალურმა სამდივნომ ამ კომიტეტს გაუგზავნა მოხსენება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში მიღწეული შედეგების შესახებ.

ლიგის გენერალურმა სამდივნომ დააფუძნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელსაც დაევალა შეესწავლა უშიშროების საბჭოს 2001 წლის 1373-ე რეზოლუცია, რათა გამოენახა ამ რეზოლუციის გამოყენების საუკეთესო საშუალებანი, გაენალიზებინა დაბრკოლებები, რომლებსაც შეიძლება წააწყდნენ არაბული სახელმწიფოები რეზოლუციით დასახული ღონისძიებებისა და განკარგულებების რეალიზაციის დროს და შეიმუშაონ წინადადებანი ამ სიძნელეთა ლიკვიდაციის გზების შესახებ.

§ 4. კომიტეტის მუშაობის აქტივიზაციის წინადადებანი

2004 წლის 19 თებერვალს დამტკიცდა კტკ-ს მოხსენება მისი მუშაობის აქტივიზაციის შესახებ.

მოხსენებაში შედის შემდეგი ნაწილები:

- კონგრტერორისტული კომიტეტის მუშაობის აქტივიზაციის საჭიროების დასაბუთება;
- მუშაობის აქტივიზაციის მიზნები;
- სავარაუდო ახალი სტრუქტურა;
- კტკ-ს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები და ბიურო;
- კტკ-ს პლენარული სხდომები;
- აღმასრულებელი დირექტორი;
- შეფასებისა და ტექნიკური დახმარების სამმართველო;
- საინფორმაციო-აღმინისტრაციული სამმართველო.

კტკ-ს მუშაობის აქტივიზაციის საჭიროების დასაბუთება

აღნიშნულია, რომ კტკ-ს მანდაგს შეიცავს უშიშროების საბჭოს 2001 წლის 1373–ე რეზოლუცია, აგრეთვე იმ დეკლარაციათა შესაბამისი დებულებანი, რომლებიც ერთვის უშიშროების საბჭოს 1377–ე და 1456–ე რეზოლუციებს. ეს სამართლებრივი საფუძველი აუცილებელია შეინარჩუნონ და განამტკიცონ. გარდა ამისა, საჭიროა აგრეთვე შეინარჩუნონ და განამტკიცონ როლი, რომელსაც უშიშროების საბჭო ასრულებს კტკ-ს მეშვეობით გერორობის წინააღმდეგ ბრძოლაში. კომიტეტის მოხსენებაში შემოთავაზებული ღონისძიებანი განხილულ უნდა იქნეს როგორც ერთ–ერთი გზა აღნიშნულ დარგში უშიშროების საბჭოსა და კონგრტერორისტული კომიტეტის საქმიანობის უკვე მიღწეული შედეგების გაუმჯობესებისა და აქტივიზაციისათვის.

კტკ-ს საქმიანობის აქტივიზაცია აუცილებელია იმისათვის, რომ განმტკიცდეს გერორობის წინააღმდეგ ბრძოლა გაეროს ფარგლებში იმ გზით, რომ კტკ-ს განკარგულებაში გადაიყოს დამატებითი საშუალებანი მისი მანდაგის შესასრულებლად რომლითაც ევალება უშიშროების საბჭოს 2001 წლის 1373–ე რეზოლუციის განხორციელებისადმი მეთვალყურეობა.

მოხსენებიდან გამომდინარეობს, რომ კტკ-ს საქმიანობის ამჟამინდელი პროცედურები და სტრუქტურები გადასასინჯია. ეს განსაკუთრებით სწორია იმის გამო, რომ თავისი საქმიანობის განვითარების კვალობაზე კონგრესორის გულმა კომიტეტმა იკისრა სულ უფრო აქტიური როლი წევრ სახელმწიფოებთან დიალოგში, რომელიც ეხება 2001 წლის 1373-ე რეზოლუციის განხორციელების შეფასებას, წევრი სახელმწიფოებისათვის ტექნიკური დახმარების გაწევის ხელშეწყობას და რეგიონთაშორის, რეგიონულ და სუბრეგიონულ ორგანიზაციებთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობის და კოორდინაციის წახალისებას. ეს ახალი ამოცანები განსაკუთრებით აქტუალურ ხასიათს ანიჭებენ კტკ-ს საქმიანობის გაძლიერებას.

კონგრესორის გული კომიტეტი ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ უნდა გაიზარდოს და /ან დაისვეწოს ტერიტორიებთან ბრძოლაში სახელმწიფოებისა და საერთაშორისო, რეგიონული და სუბრეგიონული ორგანიზაციების პოტენციალი.

საქმიანობის მიმდინარე აქტივიზაცია კტკ-ს განკარგულებაში გადასცემს სათანადო საშუალებებს მისი ამოცანების სარეალიზაციოდ გაეროს არსებული სტრუქტურის ფარგლებში, ისე, რომ არ დაამძიმოს მისი სისტემა თუ ფინანსები, აგრეთვე არ წარმოშვას პრეცედენტი უშიშროების საბჭოს სხვა ორგანოებისათვის. მოხსენებით გათვალისწინებულ ღონისძიებებს, მათ შორის, სტრუქტურის განმტკიცებას, არ უნდა მოჰყვეს კტკ-ს განკარგულებაში უკვე გამოყოფილი ბიუჯეტისა და რესურსების შეუსაბამო ზრდა.

მუშაობის აქტივიზაციის მიზნები

ამასთან დაკავშირებით უნდა განხორციელდეს კტკ-ს რეფორმირება, რათა მას შეეძლოს ჯეროვნად შეასრულოს დაკისრებული ფუნქციები. ასეთი მიზნების რიცხვს განეკუთვნება:

– მისი შემდგომი მუშაობის მიმართულების გუსტი განსაზღვრა;

– 2001 წლის 1373-ე რეზოლუციის ყველა ასპექტის განხორციელების ხელშეწყობისა და თანამშრომლობის, გრანსპარენტულობისა და პირუთენელობის სახელმძღვანელო პრინციპე-

ბის საფუძველზე დიალოგის განმტკიცების ვზით მათდამი მეთ-
ვალყურეობის ძალისხმევის შემდგომი აქტივიზაცია;

– სახელმწიფოებისათვის გექნიკური დახმარების გაწევის
როგორც კომიტეტის ერთ–ერთი პრიორიტეტის ხელშეწყობის
ეფექტიანობის ამაღლება;

– კონტაქტებისა და კოორდინაციის განმტკიცება გაეროს
სხვა ორგანოებთან;

– თანამშრომლობისა და კოორდინაციის განმტკიცება სა-
ერთაშორისო, რეგიონულ და სუბრეგიონულ ორგანიზაციებს
შორის გერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში;

– მისი შესაძლებლობების გაფართოება ინფორმაციის შეგ-
როვებისათვის გერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში წვერი
სახელმწიფოების ძალისხმევისადმი მეთვალყურეობისა და სა-
თანადო გექნიკური დახმარების გაწევის ხელშეწყობისათვის,
მათ შორის შესაბამისი სახელმწიფოს თანხმობით ვიზიტების
მეშვეობით;

– მისი პოტენციალის გაფართოება უშიშროების საბჭოს რე-
კომენდაციების მოსამზადებლად ყველა დარგში, რომლებიც
დაკავშირებული არიან 2001 წლის 1373–ე რეზოლუციის გან-
ხორციელებასთან;

– მისი მუშაობის დაჩქარება და საქმიანობის პროცედურე-
ბის რაციონალიზაცია;

– აქტიური კავშირურთიერთობის განხორციელების სგრა-
ტეგიის შემოღება;

– საექსპერტო ცოდნის მაღალი დონის მიღწევა და შემდგო-
მი ხელშეწყობა ყველა დარგში, რომლებსაც 1373–ე რეზოლუ-
ცია მოიცავს, მათ შორის, კტკ-ს ექსპერტთა ჯგუფის მუშაობის
პირობების გაუმჯობესების მეშვეობით.

შემოთავაზებული ახალი სტრუქტურა

საქმიანობის აქტივიზაციის შემდეგ კონტრტერორისგული კო-
მიტეტის ადვილსამყოფელი კვლავინდებურად იქნება ნიუ–იორ-
კი. მისი მუშაობა განხორციელდება პლენარული სხდომების
ფარგლებში, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ უშიშროების
საბჭოსა და ბიუროს წვერები თავმჯდომარისა და მისი მოად-

ვილქების შემაღვენლობით და მისი რეორგანიზებული ექსპერტთა დამხმარე შტაგისა და სამღივნოს ფარგლებში (კონგრეტერორისგული კომიტეტის აღმასრულებელი დირექტორატი – კტკად). პლენარულ სხდომებზე ძირითადი ყურადღება დაეთმოზა სტრატეგიულ და დირექტიულ გადაწყვეტილებებს. ახლად შექმნილ კტკად-ს სათავეში ჩაუდგება აღმასრულებელი დირექტორი. მნიშვნელოვანწილად, როგორც ახლა, პერსონალში შეევა ორი ორგანო. შეფასებისა და ტექნიკური დახმარების სამმართველო და საინფორმაციო-აღმინისტრაციული სამმართველო. შეფასებისა და ტექნიკური დახმარების სამმართველოს შტაგში შეევა 20-მღე თანამშრომელი, რომლებსაც აქვთ სათანადო ცოდნა და ინიშნებიან სათანადო დონეებზე; მას მხარს დაუჭერს საინფორმაციო აღმინისტრაციული სამმართველო, რომელიც პასუხს აგებს მთელი კტკ-ს აღმინისტრაციულ მოთხოვნილებათა უზრუნველყოფისათვის. იმისათვის, რომ უზრუნველყონ ჯეროვანი ფინანსური ანგარიშგება, კტკ-ს საფინანსო რესურსები გამოიყენება გაეროს დებულებებისა და საფინანსო წესების შესაბამისად.

კტკ-ს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები და ბიურო ყველა თანამღებობის პირის ფუნქციები ძირითადად წინანდელი რჩება, გარდა ზოგიერთი ცვლილებისა, რომლებიც ჩამოყალიბებულია პლენარული სხდომებისა და აღმასრულებელი დირექტორის როლისადმი მიძღვნილ განაცოფში.

თავმჯდომარეს და მის მოადგილეებს კვლავინდებურად აირჩევენ კტკ-ს წევრთა რიცხვიდან.

თავმჯდომარე უხელმძღვანელებს კტკ-ს პლენარული და ბიუროს სხდომების მუშაობას, აგრეთვე შესთავაზებს მონაწილეებს დღის წესრიგს და სამუშაო გრაფიკს.

კტკ-ს პლენარული სხდომები

კტკ-ს პლენარულ სხდომებში მონაწილეობენ უშიშროების საბჭოს წევრები. პლენარული სხდომები ეწყობა რეგულარულ საფუძველზე გაეროს ცენტრალურ დაწესებულებებში (ნიუ-იორკი). ქვეკომიტეტები კვლავინდებურად წარმოადგენენ წევრ სახელმწიფოებსა და კონგრეტერორისგულ კომიტეტს

შორის დიალოგის დიდმნიშვნელოვან საშუალებას.

პლენარული სხდომების პასუხისმგებლობის მთავარ სუბროებს განეკუთვნება:

კტკ-ს პრიორიტეტების განსაზღვრა;

უშიშროების საბჭოს 2001 წლის 1373-ე რეზოლუციის განხორციელებისადმი ხელშეწყობა და კტკ-ს მუშაობისათვის თვალყურის დევნება წევრ სახელმწიფოებთან მჭიდრო თანამშრომლობით;

უშიშროების საბჭოსათვის კონკრეტულ რეკომენდაციებთან ერთად იმ პრობლემების შეგყობინება, რომლებიც წარმოიშობა 1373-ე რეზოლუციის განხორციელებასთან დაკავშირებით;

გექნიკური დახმარების სრულყოფის ინიციატივების განსილვა;

კონგრატურორისტულ კომიტეტსა და გაეროს სხვა ორგანოებს შორის კონტაქტებისა და კოორდინაციის განმტკიცება;

თანამოქმედების შემდგომი აქტივიზაცია კონტაქტებისა და/ან რეგულარული სხდომების მეშვეობით საერთაშორისო რეგიონული და სუბრეგიონული ორგანიზაციების თავმჯდომარეთა მონაწილეობით იმ მიზნით, რომ წაახალისონ და სრულყონ 1373-ე რეზოლუციის განხორციელება, კერძოდ, მათი საქმიანობის კოორდინაციის განმტკიცების გზით, რათა მაქსიმალურად გამოიყენონ მათ განკარგულებაში არსებული რესურსები და აღმოფხვრან დუბლირება;

კვლავაც წარუდგინონ უშიშროების საბჭოს ყოველკვარტალურ საფუძველზე კტკ-ს თავმჯდომარის მეშვეობით მოხსენებანი მისი მუშაობის შესახებ და თხოვნა საბჭოს მიერ კტკ-ს მუშაობის გეგმის დანმტკიცების შესახებ;

დაამტკიცონ კტკ-ს აღმასრულებელი დირექტორის მუშაობის პროგრამა, რომელსაც მოამზადებს აღმასრულებელი დირექტორი;

განიხილონ აღმასრულებელი დირექტორის მოხსენებანი 1373-ე რეზოლუციის განხორციელების თაობაზე;

დაამტკიცონ აღმასრულებელი დირექტორის მიერ მომზადებული წერილების პროექტები თავმჯდომარის მიერ ხელმოსაწერად;

დაამტკიცონ ყველა სხვა დოკუმენტი ან თავმჯდომარის წერილები თუ არის საამისო საჭიროება;

დაამტკიცონ თავმჯდომარისა და აღმასრულებელი დირექტორის ოფიციალური ვიზიტები;

დაამტკიცონ კტკ-ს აღმასრულებელი დირექტორატის თანამშრომელთა ოფიციალური ვიზიტების გეგმა, რომლებსაც წარმოადგენს აღმასრულებელი დირექტორი;

წინასწარ დაამტკიცონ წვერ სახელმწიფოებში კტკ-ს თავმჯდომარის, აღმასრულებელი დირექტორისა და აღმასრულებელი დირექტორატის პერსონალის ყველა ვიზიტი შესაბამისი სახელმწიფოს თანხმობით, თუ უშიშროების საბჭო არ მიიღებს სხვაგვარ გადაწყვეტილებას;

განიხილონ ყველა დასახელებული ვიზიტის და მოგზაურობის შედეგები მათი საერთო შეფასების მიზნით.

აღმასრულებელი დირექტორი

აღმასრულებელ დირექტორს ნიშნავს გენერალური მდივანი კონსულტაციების შემდეგ იმ პირობით, თუ მას დაამტკიცებს უშიშროების საბჭო წესდების 97–101 მუხლებისა და გაეროს პერსონალის ნორმების, წესებისა და დებულებების თანახმად. აღმასრულებელი დირექტორის უფლებამოსილებათა პირვანდელი ვადა გადის 2005 წლის 31 დეკემბერს. უფლებამოსილებათა ნებისმიერი შემდგომი ვადა განისაზღვრება ყოველწლიურ საუბუქეულზე.

აღმასრულებელი დირექტორი სათავეში უდგას კტკ-ს აღმასრულებელ დირექტორატს, პლენარული სხდომების დირექტიული ხელმძღვანელობით და პასუხს აგებს, კერძოდ ისეთი ამოცანების შესრულებისათვის, როგორცაა:

მსარდაჭერისა და კონსულტაციების გაწევა პლენარული სხდომებისა და თავმჯდომარისათვის ყველა მათი ფუნქციის შესრულებისას;

ყოველისმომცველი შემდგომი მოქმედების უზრუნველყოფა კტკ-ს ყველა გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, თვალყურის დევნება მათი რეალიზაციისათვის და მათი შედეგების შეფასება;

გაეროს გენერალური მდივნისათვის წარსადგენი წინადადებების მომზადება ყველა გამოყოფილი თანამშრომლის დანიშნვის შესახებ გაეროს პერსონალის წესებისა და დებულებების და წესდების შესაბამისი მუხლების თანახმად;

მონაწილეობა ან წარმომადგენლობის უზრუნველყოფა ყველა პლენარულ სხდომასა და ბიუროს სხდომებზე;

გენერალური მდივნის მეშვეობით პლენარული სხდომებისათვის ნახევარი წლის ყოელისმომცველი მოხსენების წარდგენა;

გენერალური მდივნის მეშვეობით პლენარული სხდომებისათვის კკკ-ს აღმასრულებელი დირექტორის მუშაობის პროგრამის წარდგენა;

პლენარული სხდომების ინფორმირება ყოველთვიურ საფუძველზე გაწეული მუშაობის შესახებ;

შედეგებზე ორიენტირებული ბიუჯეტის მომზადება, რომელიც გენერალურ მდივანს წარედგინება განსახილველად და გენერალური ასამბლეის დასამტკიცებლად გადაცემისათვის;

პლენარული სხდომების რეგულარული ინფორმირება, სულცოგა, ყოველთვიურ საფუძველზე სახელმწიფოების მიერ 1373-ე რეზოლუციის განხორციელებაში მიღწეული პროგრესის შესახებ იმ მიზნით, რომ გადადგან შემდგომი ნაბიჯები გლობალურ დონეზე გერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის განვითარებასთან დაკავშირებით;

სახელმწიფოებისადმი გექნიკური დახმარების პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა უშიშროების საბჭოს 1373-ე რეზოლუციის შემდგომი განხორციელების მიზნით სახელმწიფოებთან, გაეროს სისტემის სხვა ორგანოებთან კონტაქტების განმტკიცების გზით, მათ შორის ნარკოტიკებისა და დამნაშავეობის საკითხთა სამმართველოსთან და შესაბამის საერთაშორისო რეგიონულ და სუბრეგიონულ ორგანიზაციებთან;

შესაბამის საერთაშორისო კონვენციებსა და გერორიზმის შესახებ ოქმებში სახელმწიფოთა მონაწილეობის ფარგლებში მათ მიერ მიღწეული პროგრესის ამსახველ მოხსენებათა წარდგენა ნარკოტიკებისა და დამნაშავეობის საკითხთა სამმართველოსთან მჭიდრო თანამშრომლობით;

ზოგადი პასუხისმგებლობა სახელმწიფოებისათვის გასაგზავნად წერილია პროექტების მომზადებისათვის მათ მოხსენებებთან დაკავშირებით იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ყველა ამ წერილის სათანადო თანამიმდევრობა ინდივიდუალური მიდგომის პირობებში;

თავისი ვიზიტების გეგმებისა და მის ხელმძღვანელობას დაქვემდებარებული პერსონალის ვიზიტების გეგმების წარდგენა პლენარული სხდომების განხილვისათვის დასამტკიცებლად;

პლენარული სხდომების განსახილველად წინადადებათა წარდგენა ყველა ვიზიტის თაობაზე შესაბამისი სახელმწიფოს თანხმობით;

გაეროს სისტემის სხვა ორგანოებთან ურთიერთობისა და თანამშრომლობის ხელშეწყობა, ამასთან, პლენარული სხდომების ყურადღების მიპყრობა კოორდინაციის სრულყოფის გზებისათვის.

თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცება საერთაშორისო, რეგიონულ და სუბრეგიონულ ორგანიზაციებთან, პლენარული სხდომების ყურადღების მიპყრობა მისი სრულყოფის გზებისათვის;

გედამხედველობა მთელი შესაბამისი ინფორმაციის შეგროვებისადმი 1373-ე რეზოლუციის განსახორციელებლად საჭირო შემდგომ ღონისძიებათა მისაღებად;

აქტიურ კავშირურთიერთობათა განხორციელების პოლიტიკის წინადადებების შემუშავება, მომზადება და განხორციელება, პლენარული სხდომების მოწონებით.

შეფასებისა და გექნიკური დახმარების სამმართველო

შეფასებისა და გექნიკური დახმარების სამმართველოს, რომელსაც აქვს საექსპერტო ცოდნა 1373-ე რეზოლუციით გათვალისწინებულ ყველა დარგში და რომელიც წარმოადგენს ყველა ძირითად სამართლებრივ სისტემას:

- ეყოლება სამმართველოს მეთაური, რომელიც:
- ცულის აღმასრულებელ დირექტორს მისი არყოფნის პერიოდში;

- უზრუნველყოფს შეფასებისა და გექნიკური დახმარების სამმართველოს მუშაობის სათანადო კოორდინაციას;
- ესწრება ყველა პლენარულ სხდომას;
- თვალს ადევნებს პროგრესს, რომელსაც სახელმწიფოებმა მიაღწიეს 1373-ე რეზოლუციის განხორციელებაში;
- დამყარებული აქვს ურთიერთობა გაეროს ადამიანის უფლებათა უზენაესი კომისიის სამმართველოსთან და ადამიანის უფლებათა სხვა ორგანიზაციებთან საკითხებზე, რომლებიც ეხება გერორიჰმთან ბრძოლას;
- თვალს ადევნებს წვერი სახელმწიფოების მოთხოვნილებას გექნიკურ დახმარებაზე, ავრეთვე შეაფასებს მის წარდგინებასა და შედეგებს, განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს სახელმწიფოს დახმარებას 1373-ე რეზოლუციის ყველა ასპექტის განხორციელებაში;
- გააანალიზებს 1373-ე რეზოლუციის 6 პუნქტის შესაბამისად მიღებულ მოხსენებებს;
- მოამზადებს წერილების პროექტებს 1373-ე რეზოლუციის 6 პუნქტის შესაბამისად.

საინფორმაციო-ადმინისტრაციულ სამმართველოს:

- ეყოლება სამმართველოს მეთაური, რომელიც უზრუნველყოფს მისი მუშაობის ჯეროვან კოორდინაციას;
- დახმარებას გაუწევს კტკ-ს მთელ სტრუქტურას, მათ შორის კტკ-ს აღმასრულებელ დირექტორაგს;
- განახორციელებს აქტიურ კავშირურთიერთობათა პოლიტიკას;
- გაუწევს დახმარებას კტკ-ს აღმასრულებელ დირექტორაგს შესაბამისი ინფორმაციის შეგროვებაში;
- აწარმოებს რეგისტრს და შეაფასებს ფაილებს;
- განახორციელებს მედამხედველობას ადმინისტრაციული, საკადრო და საფინანსო საკითხებისადმი;
- თვალს ადევნებს კტკ-ს ხარჯებს;
- გაუძღვება კტკ-ს ვებ-საიტს, პუბლიკაციებსა და ლოკუმენტებს.
- კტკ თანამიმდევრულად განაგრძობს უსაფრთხოების მექა-

ნიშნების შექმნის გეგმს, რომლებიც შეესაბამება გერორორისტულ საშიშროებასთან ბრძოლის მოთხოვნებს. არსებული სიძნელეების მიუხედავად, სულ უფრო შედეგიანი ხდება 1373-ე რეზოლუციის შესაბამისად სახელმწიფოების მიერ თანამედროვე ანტიგერორორისტული კანონმდებლობის მიღება. ეტკ-ს მიერ გაწეული მუშაობის უმნიშვნელოკანეს პოზიტიურ შედეგად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე შესამჩნევი დინამიკა 12 ანტიგერორორისტული კონვენციის უნივერსალიზაციის საქმეში, რაც სერიოზულად უწყობს ხელს გერორორითან ბრძოლის საერთაშორისო-სამართლებრივი ბაზის სრულყოფას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ მჭიდრო რეგულარული თანამოქმედების მექანიზმს, რომელსაც ეტკ ამყარებს საერთაშორისო, რეგიონულ და სუბრეგიონულ ორგანიზაციებთან.

2005 წლის 9 მარტს გამოშვებულ იქნა ჩარჩო-დოკუმენტი 1373-ე რეზოლუციის მონიტორული შესრულების გაფართოების მიზნით სახელმწიფოში კონგრგერორორისტული კომიტეტის ვიზიტებისათვის.

დოკუმენტში აღნიშნულია ვიზიტების ოთხი მიზანი:

სახელმწიფოს მიერ იმ ვალდებულებათა შესრულების ექსპერტული ანალიზი, რომლებიც მის წინაშეა დასახული 1373-ე რეზოლუციით;

სახელმწიფოს იმ უნარის ექსპერტული ანალიზი, რომ ასრულებდეს საერთაშორისო ვალდებულებებს 1373-ე რეზოლუციის შესაბამისად;

სუკრ იდენტიფიკაცია, სადაც სახელმწიფო მიიღებს სარგებლობას ტექნიკური დახმარების გაწევისაგან 1373-ე რეზოლუციის მთლიანად შესრულებისათვის.

კონგრგერორორისტული კომიტეტი ყურადღებას ამახვილებს შემდეგ საკითხებზე:

- 1) კანონმდებლობა და ანტიგერორორითი;
- 2) ღონისძიებანი იმ აქტივების მიმართ, რომლებიც სისხლის სამართლებრივი მიზნებისათვის გამოიყენება;
- 3) სამართლის განმახორციელებელი სამსახურების ეფექტიანობა;

4) საერთაშორისო თანამშრომლობა;

5) გერიგორიული კონტროლი.

კტკ-ს ექსპერტები იცავენ საიდუმლოობას თავიანთი მისიის მიმართ.

გარდა ამისა, 2004 წლის 1566-ე რეზოლუციამ დაადგინა დაფუძნდეს სამუშაო ჯგუფი უშიშროების საბჭოს ყველა წევრის შემადგენლობით პრაქტიკულ ღონისძიებათა თაობაზე რეკომენდაციების განსახილველად და მისაყვამად, რომლებსაც გამოიყენებენ ტერორისტულ საქმიანობაში ჩაბმული ან მასთან დაკავშირებული ცალკეული პირების, ჯგუფების ან ორგანიზაციების მიმართ, (იმათ გარდა, რომლებიც კომიტეტმა მიუთითა „აღ-ქაიდასა“ და მოძრაობა „თალიბანის“ საწინააღმდეგო სანქციებში). მათ შორის, უფრო ეფექტიანი პროცედურები, რომლებიც გამართლებულად ითვლება, კერძოდ, მათი მართლმსაჯულებისათვის გადაცემისა სასამართლო დენის განხორციელების ან გადაცემის, მათი ფინანსური აქტივების გაყინვის, წევრ სახელმწიფოთა გერიგორიაზე მათი გადაადგილების აღკვეთისა და ნებისმიერი ტიპის შეიარაღებით მათი უზრუნველყოფის თავიდან აცილების გზით, აგრეთვე ასეთ ღონისძიებათა განხორციელების პროცედურების მიმართ.

ამავე სამუშაო ჯგუფს დაევალა განიხილოს რამდენად შესაძლებელია შეიქმნას საერთაშორისო ფონდი კომპენსაციის გადასახდელად ტერორისტული აქტების მსხვერპლთა და მათი ოჯახის წევრთა კომპენსაციისათვის, რომელიც დაფინანსდებოდა ნებაყოფლობითი შენატანების ხარჯზე, ისინი ნაწილობრივ შეიძლება შედგებოდეს აქტივებისაგან, რომლებიც ჩამოერთვათ ტერორისტულ ორგანიზაციებს, მათ წევრებსა და სპონსორებს წარუდგინონ თავიანთი რეკომენდაციები უშიშროების საბჭოს.

დისკუსიის მონაწილეებმა საჭიროდ ცნეს მიღებულ იქნეს კომპლექსური ღონისძიებანი კონგრგერორისტულ კომიტეტთან სახელმწიფოთა თანამშრომლობის ღონის ასამაღლებლად, კერძოდ, საექსპერტო ხელშეწყობის გაწევის მექანიზმების სრულყოფის გზით. ამ საქმეში, საერთო აზრით, მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია კონკრეტულ ქვეყნებში

კომიტეტის გამსულელ მისიებს, რომლებიც იგეგმება.

უშიშროების საბჭოს წევრებმა საჭიროდ ცნეს რაც შეიძლება მალე დაიწყოთ იმ ამოცანების განხორციელება, რომლებიც 2004 წლის 1566-ე რეზოლუციით არის განსაზღვრული კონტრ-ტერორისტული კომიტეტისათვის, როგორც დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი საერთაშორისო ტერორიზმისადმი წინააღდგომის გზაზე.

§ 5. ტერორიზმთან ბრძოლის გლობალური პროგრამა: ტექნიკური დახმარების გაწევა

შეერთებულ შტატებში 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტების შემდეგ გაეროს ნარკოტიკებისა და დამნაშავეობის საკითხთა სამმართველოს მიენიჭა დამატებითი მანდატები ტერორიზმის თავიდან ასაცილებლად საქმიანობის განხორციელებისათვის გენერალური ასამბლეის შესაბამისი რეზოლუციების საფუძველზე. დამნაშავეობის თავიდან აცილებისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების კომისიამ 11/1 რეზოლუციაში მოუწოდა წევრ სახელმწიფოებს მონაწილეობა მიეღოთ სიმპოზიუმში თემაზე: „ბრძოლა საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წვლილი“, რომელიც 2002 წლის 3-4 ივნისს გაიმართა ვენაში. ამ სიმპოზიუმზე კვკ თავმჯდომარემ და სხვა გამომსვლელებმა აღნიშნეს სფეროები, რომლებშიც სამმართველო უფრო ფართოდ უნდა გამოიყენოს თავისი შესაძლებლობანი, რათა წინააღედგეს გლობალური ანტიტერორისტული პოტენციალის შექმნას, ხაზგასმით აღინიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს იმ სახელმწიფოთა საქმიანობის წარმართვას, რომლებსაც არ გააჩნიათ ტერორიზმთან ბრძოლის კანონმდებლობის შემუშავებისა და ღონისძიებათა განხორციელების საკმარისი გამოცდილება, ხაზი გაესვა როლს, რომელიც შეუძლია შეასრულოს ამ საქმეში გაეროს ნარკოტიკებისა და დამნაშავეობის საკითხთა სამმართველოს.

ამის შედეგად სამმართველო, მიიღო რა სიმპოზიუმის მანდატი და კომისიის მოწონება, 2002 წლის ოქტომბერში შეუდ-

გა გეროორიზმთან ბრძოლის გლობალური პროგრამის შესრულებას.

დახმარების ხასიათი

გეროორიზმთან ბრძოლის გლობალური პროგრამის საერთო მიზანია გეროორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარების მიღებაზე სახელმწიფოთა თხოვნის ოპერატიული და ეფექტიანი დაკმაყოფილება იმ პრიორიტეტების შესაბამისად, რომლებიც დაწესებულია დამნაშავეობის თავიდან აცილებისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების კომისიისა და კონგრეტერორისტული კომიტეტის მიერ, რასაც უნდა ემსახურებოდეს: შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის მიმოხილვა და კონსულტირება ახალი კანონმდებლობის შემუშავების საკითხებზე; ფართომასშტაბიანი დახმარების გაწევა არსებული დოკუმენტების რატიფიკაციისა და დამრიგებლობის პროგრამის მეშვეობით გეროორიზმთან ბრძოლის ახალი კანონმდებლობის გამოყენების საკითხებზე; სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ეროვნულ სისტემათა თანამშრომლებისათვის კვალიფიკაციის ამაღლებისა და იმ სასწავლო პროგრამების ორგანიზაციის ხელშეწყობა, რომლებიც ეხება გეროორიზმის წინააღმდეგ ახალი საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტების გამოყენების საკითხებს.

უკანასკნელი 16 წლის მანძილზე გექნიკური თანამშრომლობის საქმიანობაში ძირითადი ყურადღება ეთმობოდა წევრი სახელმწიფოებისათვის, მათი თხოვნით, დახმარების გაწევას გეროორიზმთან დაკავშირებული 12 საერთაშორისო კონვენციისა და ოქმების რატიფიკაციის და გამოყენების ხელშეწყობაში. ამ პერიოდში გეროორიზმის თავიდან აცილების საკითხთა სექტორმა დახმარება გაუწია 73 ქვეყანას უშუალოდ ან სუბრეგიონული პრაქტიკუმების მოწყობის გზით, რომლებიც ერთი რეგიონის ქვეყნებს საშუალებას აძლევენ ერთმანეთს გაუზიარონ მიღწეული პროგრესის შთაბეჭდილებანი, ცოდნა და შეათანხმონ საკანონმდებლო ინიციატივები. ასეთი პრაქტიკუმების პროცესში 500-ზე მეტი კანონმდებელი, სამართალდამცვე-

ლი ორგანოებისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯელების სისტემათა სხვა სტრუქტურების თანამშრომელი გაეცნო უშიშროების საბჭოს 2001 წლის 1373-ე რეზოლუციის მოთხოვნებს და საერთაშორისო-სამართლებრივ დოკუმენტებს, რომლებიც გერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას ეძღვნება.

გერორიზმთან ბრძოლის გლობალური პროგრამა გელის-ხმობს აგრეთვე საფუძველს სპეციალური ცოდნის შესაძენად საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხებზე, იმ შესაბამისი ღებულებების გათვალისწინებით, რომლებსაც შეიცავენ გერორიზმის შესახებ უნივერსალური დოკუმენტები.

ასეთ პროგრამას, როგორც გაეროს ნარკოტიკებისა და დამნაშავეობის საკითხთა სამმართველოს ნაწილს ყველა შესაძლებლობა აქვს იმისათვის, რომ განამტკიცოს საქმიანობა ამ დოკუმენტების განსახორციელებლად დახმარებისათვის საერთაშორისო თანამშრომლობის მექანიზმების მეშვეობით, რომლებსაც ითვალისწინებს გაეროს კონვენცია გრანსნაციონალური ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ (ვენერალური ასამბლეის რეზოლუცია 55/25, დანართი 1). გლობალური პროგრამა ორიენტირებულია სახელმწიფოებისათვის დახმარების გასაწევად სახელმეკრულებო ღებულებათა შემუშავებაში ორმხრივ, სუბრეგიონულ და რეგიონულ დონეებზე, კერძოდ, დამნაშავეთა გადაცემისა და ორმხრივი სამართლებრივი დახმარების გიპობრივი ხელმეკრულებების სახელმძღვანელო მითითებათა გადასინჯვის საფუძველზე (იმ შემთხვევებისათვის, როდესაც ეს მიზანშეწონილია).

საანგარიშებო პერიოდში გერორიზმთან ბრძოლის გლობალური პროგრამის ფარგლებში განხორციელდა გექნიკური დახმარების გაწევის ორი პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა გერორიზმთან ბრძოლის სამართლებრივი რეჟიმის განმტკიცებას. კიდეც ერთი პროექტი ითვალისწინებდა საჭირო ინსტრუმენტების მომზადებას გექნიკური დახმარების გასაწევად, სახელდობრ: სახელმძღვანელო მითითებების მომზადებას საკანონმდებლო ორგანოებისათვის გერორიზმის წინააღმდეგ უნივერსალური დოკუმენტების გამოყენების შესახებ და მათთვის თანდართულ ღონისძიებათა საკონკრეტო ნუსხით, რომ-

ლებიც განკუთვნილია იმისათვის, რომ დაარწმუნონ სახელმწიფოები უნივერსალური დოკუმენტების რატიფიკაციისა და განხორციელების საარსებო საჭიროებაში, გაეწიონ მათ დახმარება, აგრეთვე მოახდინონ აღნიშნული დამხმარე სახელმძღვანელო მითითებების აპრობირება მთელ რივ ქვეყნებში.

გერორიზმთან ბრძოლის სამართლებრივი რეჟიმის განმტკიცების თაობაზე სრულმასშტაბიანი გლობალური პროექტის პირველი ეტაპი დაიწყო 2003 წლის იანვარში. ეროვნულ კანონმდებლობაში საერთაშორისო დოკუმენტების შესაბამის დებულებათა შესაგანად სამართლებრივი ხასიათის უშუალო საკონსულტაციო მომსახურება გაეწია 35 სახელმწიფოს, რომლებმაც გამოგზავნეს თავიანთი თხოვნა. მთავრობებთან ერთად შექმნილია მოქმედების კონკრეტული ეროვნული გეგმები და დაფუძნდა საკანონმდებლო ინიციატივათა შექმნილებელი კომიტეტები, რომლებსაც დაევალებათ შეესწავლათ ამ დოკუმენტების მდგომარეობა და მიეცათ რეკომენდაციები მინისტრებისათვის მათი რატიფიკაციის, აგრეთვე კანონმდებლობის პრაქტიკული გამოყენების საკითხებზე.

მოეწყო რეგიონული და სუბრეგიონული პრაქტიკუმები იმ მიზნით, რომ გაეცნოთ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის თანამდებობის პირებისა და ეროვნული ექსპერტებისათვის მოთხოვნები, რომელსაც შეიცავს უშიშროების საბჭოს 1373-ე რეზოლუცია, მოთხოვნები, რომლებსაც უყენებენ გერორიზმის წინააღმდეგ მიმართული უნივერსალური დოკუმენტების რატიფიკაციას და განხორციელებას, აგრეთვე საერთაშორისო მორიგებანი თანამშრომლობის დარგში. პრაქტიკუმები გაიმართა შემდეგ ქვეყნებში: ლიგვიაში – ბალტიის სახელმწიფოების, ბელორუსიის, რუსეთის ფედერაციისა და უკრაინისათვის; კოსტა-რიკაში – ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის გერორიზმის საწინააღმდეგო კომიტეტთან და ლათინური ამერიკის დამნაშავეობის თავიდან აცილების საკითხთა ინსტიტუტთან ერთად; მალიში–დასავლეთი და ცენტრალური აფრიკის სახელმწიფოებისათვის; გაერთიანებულ სამეფოში – ეუთოს დემოკრატიის ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა სამმართველოსთან ერთად

ცენტრალური აზიის სახელმწიფოების, აგრეთვე ალბანეთის, ბოსნიისა და პერსოპოლიის, ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკების – მაკედონიის, სერბეთისა და ჩერნოგორიის და ხორვატიისათვის; სულანში – სამთავრობათშორისო განვითარების ორგანოს წევრებისათვის; თურქეთში – ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებისათვის. გარდა ამისა, პორტუგალიურენოვანი ქვეყნებისა და გერიტორიებისათვის მოეწყო გასაცნობი გურსე გაეროს იმ კონვენციებისა და ოქმების რაგიფიკაციისა და განხორციელების საკითხებზე, რომლებიც ეხება ბრძოლას ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ და გერორიზმის საწინააღმდეგო უნივერსალურ ღონისძიებებს.

პრაქტიკუმების საბოლოო ღონისძიებებში ძირითადი ყურადღება დაეთმო მონაწილე სახელმწიფოთა მოთხოვნების დაკმაყოფილებას გექნიკურ დახმარებაზე გერორიზმის საწინააღმდეგო უნივერსალური ღონისძიებების რაგიფიკაციისა და განხორციელების საკითხებში. მათი დასკვნითი დეკლარაციები, კერძოდ, შეიცავდა მოწოდებას უზრუნველყონ ყველა ფორმის გერორიზმის შეუწყნარებლობის კულტურის გამოქმედა. მიმართვას გაეროს ნარკოტიკებისა და დამნაშავეობის საკითხთა სამმართველოსა და გაეროს ადამიანის უფლებათა უზენაესი კომისიის სამმართველოსადმი, მოწოდებით, შეიმუშაონ ერთობლივი პროგრამები თუ როგორ გაუწიონ ერთმანეთს გექნიკური დახმარება გერორიზმთან ბრძოლაში და როგორ გამოიყენონ სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაცია (ინტერპოლი) გერორიზმთან ბრძოლის დარგში ინფორმაციის ადეკვატური გაცემის უზრუნველყოფის მიზნით.

მთელ რიგ შემთხვევებში სამმართველოთა პერსონალი სახელმწიფოებისათვის ამზადებდა ელემენტებს, რომლებიც საჭირო იყო უშიშროების საბჭოს 1373-ე რეზოლუციის შესასრულებლად კომიტეტისათვის წარსადგენ მოხსენებათა დასრულებისათვის. გერორიზმის თავიდან აცილების საკითხთა ექსპერტები გაიგზავნენ, აგრეთვე მთელი რიგი რეგიონების სტრატეგიული მნიშვნელობის წერტილებში მხარდასაჭერად

და კონგროლის გასაწეად დასახულ ღონისძიებათა განხორციელებისადმი. პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებანი ხორციელდებოდა კონგრესერორისგულ კომიტეტთან მჭიდრო კონსულტირების გზით და მიზნად ისახავდა კერძოდ, დაეკმაყოფილებინა მიღებული მოთხოვნები და კომიტეტის მიერ დაღვნილი პრიორიტეტები. ამ საქმიანობით იგი მხარს უჭერდა სამართლებრივ საკითხებზე კონსულტირების სექციას. პირველი ეტაპისათვის გათვალისწინებული სახსრების საერთო თანხამ 2,5 მილიონი დოლარი შეადგინა.

პროექტის მეორე ეტაპზე გეოგრაფიული თვალსაზრისით გაწეული დახმარების მოცულობა ვაფართოვდება ისევე როგორც დახმარების მიმღები ქვეყნების რიცხვი და გასაწევი დახმარების შინაარსი. შეიქმნება ექსპერტთა გლობალური ქსელი რომელიც თვალს ადევნებს სახელმწიფოთა მიერ მიღწეულ პროგრესს. შემდეგ ნავარაუდევია შეიქმნას საკონსულტაციო ჯგუფები გეოგრაფიული რეგიონებისა და სამართლებრივი სისტემებისათვის შეთავაზებული საკანონმდებლო გადაწყვეტილებების მიმოხილვისა და კონკრეტული დახმარების გაწევის მიზნით, რომელიც შეესაბამება კონკრეტული ქვეყნის ისტორიულ და სამართლებრივ ტრადიციებსა და იურისპრუდენციას. პროექტის ძირითადი ყურადღება დაეთმობა დახმარების გაწევას დოკუმენტების პრაქტიკულ განხორციელებაში, ე.ი. იმ მექანიზმების ინსტიტუციური სტრუქტურების განმტკიცებაში, რომლებიც სახელმწიფოებს საშუალებას აძლევს შეასრულონ შესაბამისი საერთაშორისო დოკუმენტები, იმ გზით, რომ გაუწიონ კონსულტირება ონლაინ რეჟიმით გადაცემისა და ორმხრივი სამართლებრივი დახმარების საკითხებზე მოთხოვნების პასუხად, აგრეთვე კონსულტირება საერთაშორისო თანამშრომლობის მექანიზმებთან დაკავშირებით დამრიგებლური პროგრამების ფარგლებში. ყოველივე ამან ხელი უნდა შეუწყოს საერთაშორისო დოკუმენტების დებულებათა პრაქტიკულ გამოყენებას სრული მოცულობით. პროექტის მეორე ეტაპის რეალიზაციას დამატებით დასჭირდება 2,5 მილიონი აშშ დოლარი.

სახელმწიფოს ნებაყოფლობითი შესაგანი შეაქვს გაეროს დამნაშავეობის თავიდან აცილებისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ფონდში, რომელიც განკუთვნილია გერო-რიზმის თავიდან აცილების საკითხთა სექტორისადმი ტექნიკური დახმარების პროექტების განხორციელებისათვის.

ტექნიკური დახმარების ინსტრუმენტები

სახელმძღვანელო მითითებები საკანონმდებლო ორგანოებისათვის უნივერსალური ანტიგეროორისტული ღოკუმენტების თაობაზე, რომლებიც აუართობენ გაეროს ნარკოტიკებისა და დამნაშავეობის საკითხთა სამმართველოს შესაძლებლობებს, ეხმაურება სახელმწიფოთა მოთხოვნას მათთვის სამართლებრივი ტექნიკური დახმარების გაწევის შესახებ და გაეროს ექვს ოფიციალურ ენაზე ქვეყნდება სამმართველოს ვებ-საიტზე. (www.terrosion-documents/html), რომელსაც დაინტერესებული პირები შეიძლება გაეცნონ იქამდე, სანამ იგი ოფიციალურ პუბლიკაციად გამოქვეყნდებოდეს. სახელმძღვანელო მომზადდა იმ სპეციალისტთა დასახმარებლად, რომლებიც პასუხს აგებენ კანონმდებლობის შემუშავებისათვის, აგრეთვე სხვა მკითხველებისათვის, რომლებსაც აინტერესებთ უნივერსალური ანტიგეროორისტული ღოკუმენტების შემუშავების საკითხები და მოთხოვნები. იგი შეიცავს პროექტების დამუშავებისათვის საჭირო რესურსებს ამჟამად მოქმედი საკანონმდებლო აქტების ტექსტების, აგრეთვე მაგალითების სახით, რომლებსაც გიპობრივი კანონები სთავაზობენ. სახელმძღვანელოს საკანონმდებლო ორგანოებისათვის დართული აქვს საკონკრეტო ნუსხები, რომლებიც კონვენციათა მოთხოვნებს შეიცავენ.

ეროვნულ კანონმდებლობათაგან აღებული დებულებების მაგალითები ვებ-საიტზე მოცემულია იმ მასალებთან ერთად, რომლებიც შემოვიდა ბრიტანეთის თანამეგობრობის სამდიუნოსაგან. გარდა ამისა, სამმართველომ მოამზადა 124 ქვეყნის შესაბამისი საკანონმდებლო აქტების კრებული. მონაცემების ამ სამართლებრივ ბაზას სამმართველო იყენებს როგორც შიდა საორგანიზაციო საშუალებას ტექნიკური დახმარების გაწევის ღონისძიებათა განსამტკიცებლად; პერიოდულად ხდება

მასში მოყვანილი მონაცემების განახლება. მონაცემთა ბაზის ყოვლისმომცველი მასშტაბის უზრუნველყოფისათვის სამმართველო მაღლიერი დარჩება სახელმწიფოებისა, თუ ისინი გამოუგზავნიან ეროვნული კანონმდებლობის მაგალითებს, რომელიც ეფექტიანად უწყობს ხელს უნივერსალური ანტიკერორისტული დოკუმენტების ვალდებულებათა შესრულებას იმ ნაწილში სანქციების, იურისდიქციის გამოყენებას ან საერთაშორისო თანამშრომლობას რომ ეხება. აგრეთვე საკანონმდებლო დებულებათა შემუშავების ან გამოყენების დროს წარმოშობილი პრობლემების მაგალითები.

გაეროს ნარკოტიკებისა და დამნაშავეობის საკითხთა სამმართველომ კრიმინოლოგიური კვლევის საერთაშორისო უმაღლეს ინსტიტუტთან და ორგანიზებული დამნაშავეობის მონიტორინგის ცენტრთან ერთად 2003 წლის 2-6 დეკემბერს იგალიის ქალაქ სირაკუზში გამართა ექსპერტთა ჯგუფის თათბირი. იგი მიეძღვნა გიპობრივი კანონმდებლობის მომზადებას დამნაშავეთა გადაცემის შესახებ გეროორიზმთან დაკავშირებულ საქმეებში დამნაშავეთა გადაცემის საკითხებზე სასწავლო პრაქტიკუმის პარალელურად. ორივე ღონისძიება მიზნად ისახავდა დამნაშავეთა გადაცემის სფეროში მონაწილეთა პროფესიული მომზადების ამაღლებას.

თავი II.

ბაეროს საქმიანობა ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის ღარბში

§ 1. საერთაშორისო კონვენცია ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის შესახებ

საერთაშორისო კონვენცია ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის შესახებ შედეგად მოპყევა საფრანგეთის ინიციატივას, რომელსაც აქტიურად დაუჭირა მხარი რვათა ჯგუფმა.

1998 წლის მაისში რვათა ჯგუფის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ტერორიზმის უულადი სახსრების მოზიდვის თავიდან აცილება მიიხნიეს პრიორიტეტულად შემდგომი მოქმედებისათვის. ამავე წლის დაძლევს საფრანგეთმა მოახდინა კონვენციის თაობაზე მიმდინარე მოლაპარაკების ინიცირება და შესთავაზა ტექსტი გაეროს. 1998 წლის დეკემბერში გენერალურმა ასამბლეამ გადაწყვიტა, რომ კონვენცია უნდა დახეწილიყო. კონვენციის ტექსტი მიიღო გენერალურმა ასამბლეამ 1999 წლის 9 დეკემბერს. კონვენციას ხელს აწერს 132 სახელმწიფო და 30 აპრილიდან იგი 80 სახელმწიფოს შორის მოქმედებს. კონვენცია შეიცავს ძირითად მოვალეობებს მონაწილე სახელმწიფოებისათვის, რომლებიც ვალდებული არიან დაადგინონ ტერორისტული აქტების დაფინანსების დანაშაული თავიანთ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში;

განახორციელონ ფართო მასშტაბის თანამშრომლობა სხვა ქვეყნებთან და უზრუნველყონ ისინი სამართლებრივი დახმარებით საკითხებზე, რომლებსაც კონვენცია მოიცავს;

მიიღონ გარკვეული მოთხოვნები, რომლებიც ეხება ფინანსური დაწესებულებების როლს ტერორისტული აქტების დაფინანსების დამადასტურებელი ნიშნების აღმოჩენასა და მოხსენებაში შეიცავს კონვენციის ძირითად დებულებათა ნუსხას.

კონვენციის მოკლე შინაარსი

მუხლი	შინაარსი
მუხ.4	კრიმინალიზებულ იქნეს ტერორიზმის დაფინანსება (ტდ), როგორც მუხ.2 და 3-ით არის განსაზღვრული
მუხ.5	დაწესდეს ორგანიზაციების პასუხისმგებლობა (სისხლის სამართლებრივად, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული ტდ-სათვის
მუხ.6	გამოირიცხოს ტდ-სათვის გამართილება, რომელიც ემყარება პოლიტიკურ ფილოსოფიურ და სხვა მოსაზრებებს
მუხ.7	დაწესდეს იურისდიქცია ტდ-სათვის ჩადენილ დანაშაულობათა გამო
მუხ.8	დაწესდეს სახელმწიფოს უფლებამოსილება ტდ-სთვის განსახორციელებლად გამოყენებული აქტივების იდენტიფიცირების, აღმოჩენის, გაყინვის ან დაპატრონების საკითხებში
მუხ.7,9,17,19	დაწესდეს ტდ-ში ექვემდებარებულ პირთა დაპატიმრების პროცედურა
მუხ.10	მესრულდეს პრინციპი "უმრუნველყავი დევნა ან ექსტრადიცია"
მუხ.11	მესრულდეს ექსტრადიციის დებულებანი
მუხ.12-15	მესრულდეს ორმხრივი თანამშრომლობისა და ექსტრადიციის დებულებანი
მუხ.16	მესრულდეს დებულებანი დაკავებულთა და დაპატიმრებულთა გადაყვანის შესახებ
მუხ.18.1:	განხორციელდეს პრევენციული ღონისძიებანი ტდ-ის მიმართ,
a)	მათ შორის:
b)	აიკრძალოს უკანონო მხარდაჭერა, წაქეზება, ორგანიზაცია ან მონაწილეობა ტდ-ის დანაშაულობებში
	მოეთხოვოთ საფინანსო ინსტიტუტებს გამოიყენონ მათს განკარგულებაში არსებული ყველაზე ეფექტიანი ღონისძიებანი კლიენტის იდენტიფიკაციისათვის, განსაკუთრებული ყურადღება

	<p>შიაპერიონ საექვეო ოპერაციებს და წარმოადგინონ მათ შესახებ მოხსენებანი, აღრიცხონ ამ მიზნით მუდობრულია და ბუნეფიციარია არაიდენტიფიცირებული ანგარიშები. ლოკუქტები იურადული პირების ათვის ანგარიშების გასახსნელად, წარუდგინონ დანიშნულებისამებრ მოხსენებანი საექვეო ოპერაციების შესახებ, აწარმოონ ჩანაწერები</p>
<p>მუხ.18.2:</p> <p>a)</p> <p>b)</p>	<p>განისილონ:</p> <p>შეღამუდეულობის ღონისძიებანი, მათ შორის, მაგალითად, ფულის გადარიცხვის განმახორციელებული ყველა აკუნტის ლიკუნბირება</p> <p>ღონისძიებანი ნალდი ფულის საზღვარიშორისა ტრანსპორტიარების აღმონენის ან მონიტორინგისათვის</p>
<p>მუხ.18.3:</p> <p>a)</p> <p>b)</p>	<p>ღადგინდეს:</p> <p>კომპეტენტურ სააკუნტოებსა და სამსახურებს შორის ინფორმაციის გაუელის არხები</p> <p>პროუედურები სხუა მსარეუბთან თანამშრომლობის და ცნობების შეგროვებისა ტდ-ში ჩათორეუაბე ექემიტანლი (1) პირების და (11) ფონდების შესახებ</p>
<p>მუხ.18.4</p>	<p>განისილონ ასეთი ინფორმაციის ინტერნეტის მეშუეობით გაუელა</p>

გერორისგული აქტების დაფინანსების კრიმინალიზაცია

საერთაშორისო კონვენცია გერორიშმის დაფინანსებასთან ბრძოლის შესახებ მსარეუბისაგან მოითხოეს შიილონ ზომები: ღაადგინონ ადგილობრივი საშართლის მიხედვით გერორის-გული აქტების დაფინანსების დანაშაულობანი, რომლებიც კონვენციამია განსაზღვრული; გადააქციონ ეს დანაშაულობანი შესაბამისი სასჯელით დასჯად დანაშაულობებად, ამასთან, მიილონ მხუდეულობაში დანაშაულობათა სიმძიმე (მუხ.4).

გერორიშმის დაფინანსება განისაზღვრება როგორც დანაშაული, როდესაც პირი „ნებისმიერი საშუალებებით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, უკანონოდ და განზრახ იძლევა ან აგროვებს ფონდებს იმ განზრახვით, რომ გამოიყენოს ისინი, ანდა იცის, რომ მათ გამოიყენებენ მთლიანად ან ნაწილობრივ, რათა მოიმოქმედონ გერორისგული აქტი, როგორც კონვენციამია განსაზღვრული“.

გონებრივი ელემენტი

არსებობს გეროროიზმის დაფინანსების სუბიექტური ელემენტის ორი ასპექტი, როგორც კონვენციაშია განსაზღვრული. პირველი: აქტი ჩადენილი უნდა იყოს განზრახ. მეორე: დამრღვევს უნდა პქონდეს განზრახვა: რომ გამოიყენოს ფონდები გეროროისტული აქტების დასაფინანსებლად, ანდა იცოდეს, რომ ამ ფონდებს აღნიშნული მიზნით გამოიყენებენ. მეორე ელემენტში განზრახვა და ცოდნა ალგერნატიულ ელემენტებს წარმოადგენენ. კონვენცია არ ითვალისწინებს დეტალიზაციას გონებრივი ელემენტის ამ ორი ასპექტის მიხედვით, ამიტომ ისინი თითოეულ მონაწილე ქვეყანაში გამოიყენება სისხლის სამართლის ზოგადი დებულებების შესაბამისად.

მაგერიალური ელემენტი

კონვენციაში გეროროიზმის დაფინანსების დანაშაულის განსაზღვრება შეიცავს ორ ძირითად მაგერიალურ ელემენტს. პირველი – განისაზღვრება, როგორც სახსრების გაცემა დანაშაულის დასაფინანსებლად, ან ფონდების შეგროვება. ეს ელემენტი დადგენილია თუ პირი ყოველნაირად, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, უკანონოდ და განზრახ აყენებს ზიანს, იძლევა ან აგროვებს ფონდებს (მუხ.2).

მეორე მაგერიალური ელემენტია – გეროროისტული აქტები, რომლებიც კონვენციაში განსაზღვრულია ორი წყაროს დამოწმებით. პირველი წყარო – ეს არის ცხრა საერთაშორისო ხელშეკრულების ნუსხა, რომლებიც ღია იყო ხელმოწერილსათვის (1970 და 1977 წ.წ.) და რომლებიც მონაწილეებისაგან მოითხოვენ დაადგინონ გეროროიზმის სხვადასხვა დანაშაულობანი კანონმდებლობაში. ნუსხა წარმოდგენილია კონვენციის II დანართში (§93). კონვენცია ნებას რთავს მონაწილე სახელმწიფოს არ გამოიყენოს ხელშეკრულება თუ სახელმწიფო არ არის მისი მონაწილე. როდესაც სახელმწიფო ხელშეკრულების მონაწილე ხდება, იგი ასრულებს ხელშეკრულების პირობებს (მუხ.2).

მეორე წყაროა კონვენციაში დადგენილი გეროროისტული აქტების უშუალო განსაზღვრება, როგორც ნებისმიერი აქტები-

სა შეიარაღებული კონფლიქტის სიგუაციაში მოქალაქისათვის სიკვდილის ან სხეულის სერიოზული დაზიანების მიყენების განზრახვით ან ნებისმიერი სხვა პირისათვის, როდესაც ასეთი აქტის მიზანი თავისი ბუნებით ან კონკრეტული არის დაამინოს მოსახლეობა ან აიძულოს მთავრობა თუ საერთაშორისო ორგანიზაცია ჩაიღინოს რაიმე აქტი ან თავი შეიკავოს მისი ჩაღენისაგან. ამრიგად, კონვენციაში განსაზღვრული გერორიზმის აქტის ცნება შეესაბამება ორ პირობას: სიკვდილის ან სხეულის სერიოზული დაზიანების მიყენება მოქალაქის ან პირისათვის, რომელიც არ იღებს აქტიურ მონაწილეობას საომარ მოქმედებაში შეიარაღებული კონფლიქტის სიგუაციაში;

აქტის მიზანია დაამინოს მოსახლეობა ან აიძულოს მთავრობა თუ საერთაშორისო ორგანიზაცია ჩაიღინოს რაიმე აქტი ან თავი შეიკავოს მისი ჩაღენისაგან.

დანაშაულობათა განსაზღვრის სხვა ასპექტები

კონვენციის თანახმად, დანაშაულის განსაზღვრისათვის არ არის აუცილებელი, რომ ფონდები ფაქტობრივად გამოყენებულ იქნეს გარკვეულ დანაშაულობათა ჩაღენისათვის (მუხ.2,პ.3.2).

დანაშაულის ჩაღენაში თანამონაწილის სახით მონაწილეობის ფაქტი, დანაშაულის ორგანიზაციის ან ჩაღენის მართვის ფაქტი კრიმინალიზდება ისევე როგორც თვით დანაშაული.

საერთო მიზნით მოქმედ პირთა ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩაღენაში შეგანილი წვლილი განიხილება როგორც ჩაღენილი დანაშაული იმ პირობით, თუ წვლილი წინასწარ არის განზრახული ან შეგანილია სისხლის სამართლებრივი მოქმედების ან ჯგუფის სისხლის სამართლებრივი მიზნის გაღრმავების მიზნით;

აქტების ჩაღენის ცდები ასევე კრიმინალიზდება იგივე გზით, როგორც თვით დანაშაულობანი;

კონვენცია არ გამოიყენება, თუ დანაშაული ჩაღენილია ცალკეულ სახელმწიფოში, დამნაშავე არის ამ სახელმწიფოს მოქალაქე და იმყოფება მის გერიტორიაზე და არც ერთ სხვა სახელმწიფოს არა აქვს საფუძველი კონვენციის მიხედვით განახორციელოს იურისდიქცია დამნაშავეის მიმართ.

გერორიზმის დასაფინანსებლად ჩაღენილი დანაშაულის პატივება შეიძლება მოხდეს პოლიტიკური, ფილოსოფიური, იდეოლოგიური, რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან სხვა იდეოლოგიური ხასიათის მოსაზრებებით.

წვერმა სახელმწიფოებმა იურისდიქცია უნდა გაავრცელონ დანაშაულის მიმართ, რომელიც ჩაღენილია მის გერიტორიაზე, მისი დროებით მფრინავი ხომალდის ან მისი კანონის მიხედვით დარეგისტრირებული თვითმფრინავის ბორგზე და როდესაც იგი ჩაღენილია მისი ერთ-ერთი მოქალაქის მიერ. სახელმწიფოს ასევე შეუძლია გამოიყენოს იურისდიქცია სხვა ვითარებაში. მაგალითად, როდესაც იგი არ ახდენს დამნაშავეს ექსტრადირებას მეორე სახელმწიფოში ამ სახელმწიფოს თხოვნით, მაშინ უცილობლად უნდა გადასცეს საქმე კომპეტეტურ ორგანოებს ღეენის მიზნებისათვის.

საერთაშორისო თანამშრომლობა

იმისათვის, რომ უმრუნეელყოს დანაშაულობათა მიმართ მონაწილეთა შორის თანამშრომლობის მნიშვნელოვანი ხარისხი, კონვენცია შეიცავს დებულებებს ორმხრივი სამართლებრივი დახმარებისა და ექსტრადიციის შესახებ. ეს დებულებანი უფრო შორს მიდის, ვიდრე დანართში ჩამოთვლილი ცხრა ხელშეკრულება, იმ მხრივ, რომ სახელმწიფოებისაგან მოითხოვენ გაუწიონ ერთმანეთს ორმხრივი სამართლებრივი დახმარება და ექსტრადიცია. მართლაც, გერორიზმის დაფინანსებისადმი წინააღღვომის დარგში საერთაშორისო თანამშრომლობისათვის ერთიანი, ღეგალური და მკაფიოდ მონიშნული ფარგლების დაწესება შეიძლება კონვენციის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მიღწევა იყოს.

ორმხრივი სამართლებრივი დახმარება

მონაწილე სახელმწიფოები ერთმანეთს უწევენ მნიშვნელოვან დახმარებას დანაშაულობათა მიმართ სისხლისსამართლებრივ გამოძიებებთან ან სისხლისსამართლებრივი თუ საპროცედურო ექსტრადიციასთან დაკავშირებით. არ შეიძლება სამართლებრივ დახმარებაზე უარის თქმა საბანკო საიდუმ-

ლოობის საფუძველზე, და კონვენციაში დადგენილი დანაშაულობანი არ განიხილება ექსტრადიციის ან ორმხრივი სამართლებრივი დახმარების მიზნებისათვის როგორც ფისკალური ან პოლიტიკური.

ექსტრადიცია

კონვენცია შეიცავს დეტალურ დებულებებს ექსტრადიციის მიმართ მონაწილე სახელმწიფოთა ვალდებულებების თაობაზე, იმათ ილენტურს

რომლებიც არის სხვა კონტრგეროორისგულ კონვენციებში.

პირველი, კონვენციაში დადგენილი დანაშაულობანი ითვლება დანაშაულობებად, რომლებიც ექსტრადიციას ეხება, ექსტრადიციის ნებისმიერ ხელშეკრულებაში რომელიც არსებობს მონაწილე სახელმწიფოებს შორის, იმ ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე, რომელიც მომავალში დაიდება.

მეორე, როდესაც მონაწილე ახორციელებს ექსტრადიციას ხელშეკრულების არსებობის კვალობაზე, იღებს თხოვნას ექსტრადიციის შესახებ ქვეყნიდან რომელთაგანაც მას ასეთი ხელშეკრულება აქვს, თხოვნის აღრესაგ სახელმწიფოს შეუძლია, მისი არჩევანით, მიიჩნიოს კონვენცია სამართლებრივ საფუძველად ექსტრადიციის მისაღებად ნებისმიერი დანაშაულისათვის კონვენციის მიხედვით.

მესამე, მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც არ ახორციელებენ ექსტრადიციას ხელშეკრულების არსებობის კვალობაზე, მოითხოვენ მიჩნეულ იქნეს კონვენციით დადგენილი დანაშაულობანი როგორც ექსტრადიციასთან დაკავშირებული.

მეოთხე, ექსტრადიციის მიზნებისათვის დანაშაულობანი განხილულ უნდა იქნეს აუცილებლად როგორც არა მარტო იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე ჩადენილი, რომელშიც ისინი მოხდა, არამედ იმ სახელმწიფოშიც, რომელმაც დაადგინა იურისდიქცია კონვენციის მუხ.7 §1 და 2-ის მიხედვით. ამის შედეგად ექსტრადიციაზე ვერაჲინ იტყვის უარს იმის საფუძველზე, რომ დანაშაული არ არის ჩადენილი თხოვნის აღრესაგ სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

მეხუთე, მონაწილე სახელმწიფოებს შორის არსებული ყვე-

ლა ექსტრადიციის ხელშეკრულებისა და მორიგებების დებულებანი ითვლება მოდიფიცირებულად იმ მონაწილეებს შორის, იმ ხარისხით, რომლებითაც იგი ეთანადება კონვენციას (პ.5, მუხ.2).

პრევენციული ღონისძიებანი

გერორიზმის დაფინანსების კრიმინალიზაცია სავალდებულოა კონვენციის თანახმად. მაგრამ მხოლოდ რამდენიმე ზოგად დებულებას აქვს დამოკიდებულება პრევენციულ ღონისძიებებთან, რომლებიც მუხ.18-ით არის დადგენილი და სავალდებულოს წარმოადგენს. დეტალურ დებულებათა უმრავლესობა გამოხატულია, როგორც მხარე-სახელმწიფოების ვალდებულება, განიხილონ როგორც ისეთები, რომლებიც მოითხოვენ გარკვეულ მოქმედებას უფრო, ვიდრე ავალდებულებენ მათ შესრულებას. ეს გამოხატავს იმ ფაქტს, რომ პრევენციული ღონისძიებანი აღებულია ფაგუ-ის 40 რეკომენდაციიდან, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტად რჩება ფულის გათეთრებისათვის და რომლებიც იურიდიულად არ ავალდებულებს. მიუხედავად ამისა, კონვენცია აწესებს მხარე-სახელმწიფოების საერთო მოვალეობას, მოსთხოვონ ფინანსურ დაწესებულებებსა და სხვა ფინანსურ შეამაველებს, მოიმოქმედონ ღონისძიებანი, რომლებიც აუცილებელია კლიენტთა იდენტიფიკაციისათვის (მათ შორის, ანგარიშების ბენეფიციარებისა), დაუთმონ საგანგებო ყურადღება ჩვეულებრივ და საექვეო ოპერაციებს და დანიშნულებისამებრ მოახსენონ მათ შესახებ.

კონვენცია ხელმოსაწერად გაიხსნა ყველა სახელმწიფოსათვის 2000 წლის 10 იანვრიდან 2001 წლის 31 დეკემბრამდე. ამ პერიოდში მას ხელი მოაწერა 132 სახელმწიფომ. სახელმწიფოებს, რომლებმაც ხელი მოაწერეს კონვენციას, შეეძლოთ გამხდარიყვნენ მონაწილენი მას შემდეგ, რაც წარუდგინდნენ რატიფიკაციის ან მიღების თუ მოწონების აქტს გაეროს გენერალურ მდივანს. სახელმწიფოს, რომელსაც ხელი არ მოუწერია კონვენციისათვის, შეერთების აქტის წარმოდგენის შემდეგ (პ.1, 2 მუხ.25).

§2. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია გეროორიზმის დაფინანსების შესახებ

უშიშროების საბჭომ ხელი მოჰკიდა საერთაშორისო გეროორიზმის პრობლემას სერიოზული კრიზისის შედეგად რომლის მომსწრეც გახდა: ეს იყო იერიშები სამოქალაქო თვითმფრინავებზე, აეროპორტებზე, საკრუიზო ხომალდებზე და პოლიტიკური თავდასხმები. უშიშროების საბჭოს ძირითად რეზოლუციებს, რომლებიც ეხებათ გეროორიზმის დაფინანსებას, განეკუთვნება:

– 1999 წლის 15 ოქტომბრის 1267–ე რეზოლუცია მოძრაობა „თალიბანის“ ფონდებისა და სხვა ფინანსური რესურსების გაყინვის შესახებ;

– 2001 წლის 6 დეკემბრის 1383–ე რეზოლუცია უსამა ბენ ლადენის და „ალ-ქაიდას“ ფინანსური სახსრებისა და ორგანიზაციის სხვა რესურსების გაყინვის შესახებ;

– 2001 წლის 30 იელისის 1363–ე რეზოლუცია 1267 (1999) და 1333 (2000) რეზოლუციებით დაკისრებულ ღონისძიებათა შესასრულებლად მონიტორინგის მექანიზმის დაწესების შესახებ;

– 2001 წლის 28 სექტემბრის 1373–ე რეზოლუცია საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისადმი გეროორისტული აქტებით გამოწვეული საშიშროებებისა და კონგრეტორისტული კომიტეტის დაფუძნების შესახებ;

– 2001 წლის 12 ნოემბრის 1377–ე რეზოლუცია, რომელიც სახელმწიფოებს მოუწოდებს მთლიანად შეასრულონ ეს რეზოლუცია;

– 2002 წლის 16 იანვრის 1390–ე რეზოლუცია, რომელიც აერთიანებს გაყინვის საშუალებებს, 1267 (1977) და 1363 (2001) რეზოლუციებით რომ არის გათვალისწინებული;

– 2002 წლის 20 დეკემბრის 1452–ე რეზოლუცია, რომელიც ნებადართულად აცხადებს 1267 (1999) და 1333 (2000) რეზოლუციების გაყინვის შესახებ მოთხოვნის ბოგიერთ გამონაკლისს, დაიყაროს ძირითადი ხარჯების, მათ შორის ჰამა-სმის, ჩაცმა-დახურვის სამართლებრივი მომსახურების დანახარჯები და გადასახდელები საგანგებო ხარჯებისათვის გაეროს უშიშ-

როების საბჭოს სანქციითა კომიტეტის მიერ მოწონების შემდეგ:

– 2003 წლის 17 იანვრის 1455–ე რეზოლუცია გაყინვის სახსრების ღონისძიებათა შესრულების გაუმჯობესების ზომების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებულია 1267 (1999), 1373 (2000), 1350 (2000) რეზოლუციებით.

გეროორიზმისადმი უშიშროების საბჭოს მიდგომაში შეიძლება განხილულ იქნეს ორი მიდგომა: ჯერ ერთი, უშიშროების საბჭომ გეროორიზმის აქტები დააკვალიფიცირა, როგორც საფრთხე საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროებისადმი. 2001 წლის 1373–ე რეზოლუცია ამ კვალიფიკაციას გამოსაგავს სიტყვის ფართო ვაგებით და აღნიშნავს, რომ 2001 წლის 11 სექტემბრის გეროორისტული აქტები „როგორც საერთაშორისო გეროორიზმის ნებისმიერი აქტი საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობას და უშიშროებას“. გეროორიზმის აქტების, როგორც საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროებისადმი საფრთხის კვალიფიკაციის სამართლებრივი შედეგი ისეთია, რომ როდესაც უშიშროების საბჭო ასეთ დახასიათებას იძლევა, მას უფლება აქვს მოიმოქმედოს, თუ საჭირო გახდა, კოლექტიური ღონისძიებანი (ან გაეროს წესდების მე-7 თავით გათვალისწინებული სანქციები). ღონისძიებანი, რომელთა მიღებასაც გადაწყვეტს უშიშროების საბჭო ასეთ ვითარებაში, სავალდებულოა გაეროს ყველა წევრისათვის წესდების 25 და 48 მუხლების მიხედვით.

მეორე, ეს არის კოლექტიური ღონისძიებანი მოთხოვნაში სახელმწიფოებისადმი განახორციელონ მოქმედება პირების ჯგუფების, ორგანიზაციებისა და მათი ფონდების წინააღმდეგ.

2001 წლის 1373–ე რეზოლუციის შინაარსი

იმ დროს, როდესაც გენერალური მდივნის გადაწყვეტილება წესდების მე-7 თავის შესაბამისად სავალდებულოა ყველა წევრისათვის, მათ მიერ დაკისრებულ მოვალეობათა გუსტი ბუნება დამოკიდებულია რეზოლუციებში გამოყენებულ დებულებებზე. საყოველთაოდაა მიღებული, რომ უშიშროების

საბჭოს გადაწყვეტილებანი სავალდებულოა, მაშინ, როდესაც მის რეკომენდაციებს (მაგალითად, როდესაც საბჭო სახელმწიფოებს მოუწოდებს), არა აქვთ ერთი და იგივე ძირითადი ძალა. სახელმწიფოებისადმი მიმართული რეზოლუციის სამ პარაგრაფთაგან პირველი ორი გამოხატავს უშიშროების საბჭოს სავალდებულო გადაწყვეტილებებს, მაშინ, როდესაც მესამე პარაგრაფი უბრალოდ რეკომენდაციას წარმოადგენს. მაგრამ პრაქტიკულად განსხვავება შეიძლება უშიშროების საკანონმდებლო შესრულებისათვის, რამდენადაც უშიშროების საბჭომ გამოთქვა თავისი გადაწყვეტილება გადადგას ყველა საჭირო ნაბიჯი, რათა უზრუნველყოს რეზოლუციის „მთლიანი შესრულება“ როგორც კონგრეტორისგული კომიტეტის მიმნისა რომელიც განკუთვნილია მთლიანად რეზოლუციების მონიგორინგის განხორციელებისათვის.

№3 ცხრილში ასახულია სახელმწიფოებისადმი მიმართული სამი პარაგრაფის მოკლე შინაარსი.

ამ რეზოლუციის მიხედვით სახელმწიფოთა მოვალეობანი შეიძლება განხილულ იქნეს დაჯგუფებულად როგორც გერთრიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის საერთაშორისო ნორმების დაწესება და გერთრისგთა აქტივების გაყინვა.

ცხრილი №3.

1373-ე რეზოლუცია (2001) და კონვენციის შესაბამისი დებულებანი

1373-ე რეზოლუცია	კონვენცია	შენიშვნა
ყველა სახელმწიფო ვალდებულია აღკვეთოს და ჩაახშოს ტერორისტული აქტები	კონვენციის მიმანი ილენტურია	
დააწესონ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა თავიანთი მოქალაქეების მიმართ ან თავიანთი ტერორიზმის ფარგლებში ტერორისტული აქტების	მე-4 მუხლი მოითხოვს, რომ მხარე-სახელმწიფოებმა დააწესონ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ტერორიზმის დაფინანსებისათვის,	კონვენციის შესრულება დააკმაყოფილებს რეზოლუციის ამ მოთხოვნას

ჩასადენად ფონდების მინიჭების ან შეგროვებისათვის	როგორც კონვენციით არის განსაზღვრული	
გაყინის ტერორისტთა და იურიდიულ პირთა აქტივები, რომლებიც მათ ეკუთვნით ან რომლებიც კონტროლდება მათი მიერ ან მათი სახელით	მე-8 მუხლი მოითხოვს, რომ მხარე-სახელმწიფოებმა გადადგან შესაბამისი ნაბიჯები: ილენტიფიკაციაჰყონ, აღმოაჩინონ, გაყინონ, დაეპატრონონ ან კონფისკაციაჰყონ აქტივები, რომლებიც ტერორიზმის დასაფინანსებლად გამოიყენება	სახელმწიფოები მოვალენი არიან გაყინოს ტერორისტთა აქტივები 1267-ე და 1390-ე რეზოლუციების საფუძველზე
აუკრძალონ თავიანთ მოქალაქეებსა და რეზიდენტებს, ფონდებით ასარგებლონ პირები, რომლებსაც ტერორისტული აქტები აქეთ ჩადენილი	რეზოლუციაში აღწერილი ქცევა განსხვავდება ტერორისტული აქტების დაფინანსებისაგან, რომლებისთვისაც დაწესებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა კონვენციის საფუძველზე	
ყველა სახელმწიფო მოვალეა, არ გაუწიონ არანაირი მხარდაჭერა ტერორისტულ აქტებს		§2-ს რეალიზაციისათვის საჭიროა განხორციელდეს, ძირითადად აღმინისტრაციული დონისძიებანი
გადადგან ნაბიჯები, რათა თავიდან აიცილონ ტერორისტული აქტები, მათ შორის, უზრუნველყონ სხვა	მე-18 მუხლი მოითხოვს სახელმწიფოებისაგან თავიდან აიცილონ ტერორიზმის დაფინანსება, ამასთან,	

ქვეყნებისათვის სრული შეტეობიანება ინფორმაციის გაცემის ხაზით	მსუდველობაში აქონიონ ინფორმაციის გაცემა პარტნიორ სააგენტოებს შორის და ცნობების შეგროვება	
უარი უიხრან უსაფრთხო თავმესაფარზე იმათ, ვინც აუინანსებს, გეგმავს, მხარს უჭერს აქტებს ან უზრუნველყოფს უსაფრთხო თავმესაფარი.		
თაიდან აიცილონ თაიანთი ტერიტორიის გამოყენება ტერორისტული აქტების დაუინანსების, დაგეგმვის, ხელშეწყობის ან ჩაღენისათვის	მე-18 მუხლი (1) (გ) სახელმწიფოსაგან მოითხოვს ითანამშრომლონ, რათა თაიდან აიცილონ თაიანთი ტერიტორიის გამოყენება ტერორისტთა დასაუინანსებლად	
უზრუნველყონ, რომ ისინი, ვინც მონაწილეობს ტერორისტული აქტების დაუინანსებაში, დაგეგმვაში, მომზადებასა თუ ჩაღენაში, წარსდგენენ მართლმსაჯულების წინაშე	მე-19, მე-10 და მე-17 მუხლებს ანალოგიური მიზანი აქვთ	
მიანიჭონ ერიმანეთს დახმარების მაქსიმალური საშუალებანი იმ საქმეთა სისხლისსამართლებრივი გამოძიებისა და სასამართლო გარჩევისათვის, რომლებიც განეკუთვნება ტერორისტული აქტების	ტერორისტული აქტების დაუინანსების მიმართ მუხ. 11 (ექსტრადიცია) და მუხ.12-15 (ორმხრივი სამართლებრივი დახმარება და ექსტრადიცია) ი ღენტურ საკითხებს მოიცავენ	იხ. თაი 4, ვე. 60, დისკუს იამი ორმხრივი სამართლებრივი დახმარების მოთხოვნების შესახებ

ლაფინანსებას ან მხარდაჭერას		
თავიდან აიცილონ ტერორისტთა მოძრაობა უფექტიანი სასაზღვრო კონტროლის მეშვეობით	მე-18 მუხლი (2) (გ) სახელმწიფოებისაგან მოითხოვს გაითვალისწინონ ღონისძიებანი ნაღდი ფულის ფიზიკური გადაკვეთის აღმოჩენის ან მონიტორინგის, ტრანსპორტირების მიმართ, და გარკვეული ინსტრუქციები	
გამოძებნონ ინფორმაციის გაცემის ინტენსიფიკაციისა და დაჩქარების გზები	მე-12 და მე-18 (თ) მუხლები შეიცავენ შესაბამის მოთხოვნებს ტდ-ის თავიდან აცილების შესახებ	
გაცეალონ ინფორმაცია, რათა თავიდან აიცილონ ტერორისტული აქტების ჩადენა	მე-12 და მე-18 (8) მუხლები შეიცავენ შესაბამის მოთხოვნებს ტდ-ის თავიდან აცილების შესახებ	ამ ცხრილში ჩამოყალიბებული შენიშვნების გარდა, §3-ის შინაარსი აქ არ განიხილება
ითანამშრომლონ ტერორისტული აქტების თავიდან ასაცილებლად და ჩასახშობად	მე-12 და მე-18 (თ) მუხლები შეიცავენ შესაბამის მოთხოვნებს ტდ-ის თავიდან აცილების შესახებ	
ხლებიან შესაბამისი კონვენციის მხარეები		განსახილველი კონვენცია და დანართში ჩამოთვლილი 9 ხელშეკრულება ირიცხება იმ 12 კონვენციის შემადგენლობაში,

		რომლებსაც განიხილავს "შესახები" კომიტეტი
გააძლიერონ თანამშრომლობა და შთღიანად შეასრულონ შესაბამისი საერთაშორისო კონვენციები და 1269-ე და 1368-ე (2001) რეზოლუციები		ღამოწმებულია შესაბამისი კონვენციები, მათ შიორის, განსახილველი კონვენცია
ჯყკ პროცესი საკვანძო კომპონენტია მარეგულირებელი მოთხოვნებისა ფასიანი ქაღალდების დარგში, რომელიც განკუთვნილია რეგულირების ძირითადი მიზნების მისაღწევად ფასიანი ქაღალდების, ბაზრების სიწმინდის, ეფექტიანობისა და გრანსპარენტულობის უზრუნველყოფი ინვესტიციების

დაცვის და ფასიანი ქაღალდების არალეგალური გამოყენების თავიდან აცილების ღარგში. ეს მიზნები მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ფართო თვალსაზრისით ჯყკ პროცესთან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულებისას, რომელსაც უნდა ატარებდნენ ნებადართული ფასიანი ქაღალდების მომსახურების პროვაიდერები (შემდეგ – პროვაიდერები), კლიენტის იდენტიფიკაციისა და ბენეფიციარული მფლობელობის შემოწმების, აგრეთვე “იკოლე შენი კლიენტი” მოთხოვნის განხორციელებისათვის.

სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის ფულის გათეთრების წინააღმდეგ მოქმედების ჯგუფის (ფაგფ-ი), ფასიანი ქაღალდების კომისიათა საერთაშორისო ორგანიზაციის (კომისია) მუშაობის პროცესში 2001 წლის ოქტომბერში დაარსდა კლიენტის და ბენეფიციარული მფლობელობის საიდენტიფიკაციოდ მოქმედების ჯგუფი (მოქმედების ჯგუფი) იმისათვის, რომ შეესწავლათ კლიენტებისა და ბენეფიციარი მფლობელების იდენტიფიკაციასთან დაკავშირებული რეგულირების არსებული რეკიმები და განეფიტარებინათ პრინციპები, რომლებიც არეგულირებენ ჯყკ პროცესის ასექტებს, პროცესისა, რომელიც ფასიანი ქაღალდების რეგულირების ერთ-ერთი ქვაკუთხედი. კომისიის წევრ ქვეყნებში არსებული რეკიმების მოქმედების ჯგუფის მიმოხილვის ანალიზში გამოავლინა, რომ იმ დროს, როდესაც არსებობს სხვადასხვაგვარი მიდგომები კლიენტისა და ბენეფიციარი მფლობელის იდენტიფიკაციისადმი კომისიის წევრებს შორის სამართლებრივი ჩარჩოების განსხვავების გამო, მაინც არის რაღაც საერთო ნიშნები. ისინი მოიცავენ მოთხოვნებს, რომ აიძულონ პროვაიდერი მოახდინოს თავისი კლიენტებისა და ბენეფიციარი მფლობელების იდენტიფიცირება, მიიღოს ადეკვატური ინფორმაცია თავისი კლიენტების პირობებისა და საინვესტიციო მიზნების შესახებ, აგრეთვე აწარმოოს ჩანაწერები ამ ინფორმაციის თაობაზე.

თუმცა, აღნიშნული პრინციპების ძირითადი ნიშნები მიზნად ისახავს ფასიანი ქაღალდების დაცვას ბაზარზე თაღლითობისა და ბოროტგამოყენების შემთხვევებისაგან. ჯყკ პროცესის გამოყენებას ფასიანი ქაღალდების ღარგში ასევე შეაქვს

წვლილი იმ პოლიტიკის მიზნების მიღწევაში, რომელიც განეკუთვნება ისეთი მოვლენების არალეგალური კანონსაწინააღმდეგო გამოყენების თავიდან აცილებას ფასიანი ქაღალდების დარგში, როგორც არის ფულის გათეთრება და გერორიზმის დაფინანსება, რომლებიც მთლიანად განეკუთვნება სხვა ორგანოების კომპეტენციას.

ეფექტიან ჯყკ პროცესს შეუძლია დაგვეხმაროს, რათა დაევაბრკოლოთ და აღმოვაჩინოთ ფასიანი ქაღალდების კანონების, კოდექსების დებულებებისა და წესების დარღვევები და შევამციროთ ფასიანი ქაღალდების არალეგალური გამოყენების რისკი. კომისიის წევრი ქვეყნები იზიარებენ ამ მოვად დებულებებს.

პრინციპები, რომლებიც ქვემოთ არის განხილული, დაგვეხმარება ავრეთვე დაეიცვათ ფასიანი ქაღალდების რეგულაციორები და ისინი დიდმნიშვნელოვან პარამეტრს წარმოადგენენ.

პრინციპი 1. კლიენტის იდენტიფიკაცია და შემოწმება

როდესაც ნებადართული ფასიანი ქაღალდების მომსახურე პროვაიდერები კლიენტთან საქმიან კავშირს ამყარებენ, მოვალენი არიან იდენტიფიკაციაჰყონ და შეამოწმონ კლიენტის პიროვნება, გამოიყენონ დოკუმენტებისა და ინფორმაციის საიმელო დამოუკიდებელი წყაროები.

კლიენტის იდენტიფიკაცია და შემოწმება ხელს უწყობს ფასიანი ქაღალდების დარგში კანონსაწინააღმდეგო ბიოროგამოყენების თავიდან აცილებას, აღმოჩენას და დვენას. ეფექტიანი იდენტიფიკაციისა და შემოწმების პროცედურები აუცილებელია იმისათვის, რომ დაიცვან ინვესტორები და ხელი შეუწყონ ბაზრების მთლიანობას.

კლიენტის იდენტიფიკაციისა და შემოწმების პროცედურები სათანადოდ უნდა იყოს დოკუმენტირებული და უზრუნველყოფდეს გონივრულ საფუძველს პროვაიდერებისათვის, რომ ისინი დარწმუნდნენ თითოეული კლიენტის უგყუარ იდენტურობაში. მათ უნდა მოახდინონ კლიენტების იდენტიფიცირება საქმიანი ურთიერთობის დამყარებამდე ან დამყარებისას (ეს მაშინ,

როდესაც კლიენტის ანგარიში გახსნილია ან კლიენტმა შეიძინა უფლებამოსილება მოახდინოს გრანსაქცია ანგარიშის მიმართ) და შეამოწმოს პათი იდენტიფიკაცია რაც შეიძლება სწრაფად, იქამდე ან იმის შემდეგ, რაც დამყარდება, საქმიანი დამოკიდებულება, რათა დარწმუნდეს, რომ რისკები ეფექტიანად იმართება.

პროვაიდერებმა ასევე უნდა მიიღონ რისკის მართვის პროცედურა იმისათვის, რომ განახორციელონ ანგარიშების მონიტორინგი, კლიენტის იდენტიფიკაციის შემოწმებისას მხედველობაში იქნეს მიღებული ანგარიშის პირობები, რომელთა დროს კლიენტს შეუძლია გამოიყენოს საქმიანი ურთიერთობა იდენტიფიკაციის შემოწმების წინ.

არსებული კლიენტების შემთხვევაში პროვაიდერებმა უნდა მიიღონ ჯყკ პროცესი მათ მიმართ, როდესაც არსებობს კანონსაწინააღმდეგო საქმიანობის ეჭვი და /ან როდესაც პროვაიდერს აეჭვებს კლიენტის იდენტიფიკაციის შესახებ თავდაპირველად შეძენილი ინფორმაციის უტყუარობა ან ადეკვატურობა.

რისკის საფუძველზე კლიენტების იდენტიფიკაციისა და იდენტიფიკაციის შემოწმების დროს პროვაიდერს შეუძლია დააწესოს ასეთი რისკის განსაზღვრის კრიტერიუმები და უნდა შეეძლოს, დაადასტუროს ასეთი კრიტერიუმი თავისი რეგულატორის წინაშე. იქ, სადაც ფასიან ქაღალდებთან კანონსაწინააღმდეგო საქმიანობის რისკი დაბალია, ე.ი. სადაც კლიენტის იდენტიფიკაციის ამსახველი ინფორმაცია საჯაროდ არის ცნობილი, გონივრულია, პროვაიდერს ნება დაერთოს გამოიყენოს გამარტივებული და შეკვეცილი ღონისძიებანი, როდესაც ხდება იდენტიფიკაცია და მოწმდება კლიენტის პიროვნების იდენტიფიკაცია. კლიენტების მაგალითები, სადაც გამოიყენება პიროვნების იდენტიფიკაციის გამარტივებული და შეკვეცილი ღონისძიებანი, მოიცავს:

– ფინანსურ ინსტიტუტებს, რომლებსაც ეხებათ ამ პრინციპების შესაბამისი მოთხოვნები და რომლებიც ექვემდებარებიან ზედამხედველობას ამ მოთხოვნების შესაბამისობისადმი;

– საჯარო კომპანიებს, რომლებსაც ეხება მოთხოვნები გახსნის შესახებ;

– სამთავრობო ორგანზაციებს ან საწარმოებს.

იქ, სადაც არასწორი ილენტიფიკაციის ან ფასიანი ქალაღლე-ბით კანონსაწინააღმღეგო საქმიანობის რისკი მაღალია, პრო-ვაიდერებმა უნდა მიიღონ უფრო მკაცრი ღონისძიებანი კლი-ენტის ილენტიფიკაციის უზრუნველსაყოფად. მაღალი რისკის ანგარიშების მაგალითები, შექმნილ გარემოებთა კვალობაზე, შეიძლება მოიცავდნენ:

– იმ პირთა მაგალითებს, ვისაც მნიშვნელოვანი პოლიტიკუ-რი პოსტები უკავიათ;

– ანგარიშებს რთული კორპორაციული სტრუქტურების მქონე იურიდიული პირებისათვის;

– ანგარიშებს იმ ქვეყნებიდან ჩამოსული მოქალაქეებისათ-ვის, რომლებიც განიხილება არაადეკვატურად რეგულირებუ-ლად;

– ანგარიშებს იმ ქვეყნებიდან ჩამოსული რეზიდენტებისათ-ვის, რომლებიც განიხილება არაადეკვატურად რეგულირებუ-ლად;

– ანგარიშებს პროვაიდერებისათვის, რომლებიც ფუნქციონ-ირებენ ქვეყნებში, არაადეკვატურად რეგულირებულად რომ განიხილება;

– ანგარიშებს დაურეგისტრირებელი ან არარეგულირება-დი საინვესტიციო ფონდებისათვის;

– „ომნიბუსის“ გიპის საზღვართშორის ანგარიშებს გარკვე-ული საინვესტიციო ფონდებისათვის.

პროვაიდერებმა უნდა განსაზღვრონ, რა მხარეები არიან ჩაბმული გრასგში, რაც საჭიროა ილენტიფიკაციისა და შე-მოწმებისათვის, ამასთან, გაითვალისწინონ სამართლებრივი სისგემის ნიშნები, მომსახურების გიპი, რომელიც უნდა იქნეს წარმოდგენილი და კლიენტის გიპი. ეს უნდა გაკეთდეს რისკზე დაფუძნებული მიდგომის მეშვეობით.

თუ ქვეყნის სამართლებრივი სისგემა არ ცნობს გრასგს სამართლებრივ ფორმად, მაშინ პროვაიდერებმა უნდა მიმარ-თონ გრასგის უცხოური მხარეების (ნღობით აღჭურვილ პი-რის, მარწმუნებლისა და ბენეფიციარის) მიმართ ილენტიფიკა-ციის და შემოწმების პროცედურებს.

რეკომენდებული მოქმედება:

– პროვაიდერებმა არ უნდა აწარმოონ ანონიმური ანგარიშები ან ანგარიშები ფიქციური სახელებით;

– პროვაიდერებს უნდა ჰქონდეთ წერილობითი, ფორმის პოლიტიკა ჯყკ პროცესის მიმართ; ეს პოლიტიკა უნდა სარგებლობდეს უფროსი მოსამსახურეების მოწონებით;

– ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება მართებთ პროვაიდერებს, უნდა ესაგყვისებოდეს წესებს, რომლებიც არეგულირებენ ფასიან ქალაქებს, სხვა კომპეტენცურ ორგანოებს ან თვითრეგულირებად ორგანიზაციებს;

– როდესაც იხსნება ანგარიში, უნდა დაიდოს წერილობითი კონტრაქტი, სანამ მომსახურება განხორციელდებოდეს, თუ ეს შესაძლებელია;

– ჯყკ სპეციალური პროცედურები, რომლებიც ემყარება კლიენტის ტიპს რისკზე დაფუძნებული მიდგომის განხორციელებისას, განხილულ უნდა იქნეს ფიზიკური პირების, იურიდიული პირების, ადგილობრივი მოქალაქეების, უცხოელების მიმართ გამოყენებისათვის;

– კლიენტის იდენტიფიკაციისა და შემოწმების პროცესები საგულდაგულოდ უნდა იყოს დოკუმენტირებული ყოველ ცალკეულ შემთხვევაში.

პროვაიდერებს შეუძლიათ დაეყრდნონ დოკუმენტებს, აგრეთვე არადოკუმენტურ მეთოდებს ან ორივეს კომბინაციას, რათა მოახდინონ კლიენტთა იდენტიფიცირება და შეამოწმონ მათი იდენტურობა:

1) ფიზიკური პირების მიმართ საიმედო მეთოდებით ნაგულისხმევია:

– ვადაგაუსულელი იდენტიფიკაცია, გაცემული სამთავრობო ორგანოს მიერ, რომელიც მოწმობს კლიენტის ეროვნებას ან საცხოვრებელ ადგილს, ფოტოსურათით ან დაცვის სხვა იდენტური საშუალებებით, როგორც არის მძღოლის უფლება ან პასპორტი;

– კლიენტის დამოუკიდებლად დამოწმებული იდენტურობა კლიენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შედარებით იმ ინფორმაციასთან, რომელიც აღებულია მონაცემების საჯარო

ბამიდან ან სხვა წყაროებიდან;

– სხვა ფინანსური ინსტიტუტებისაგან მიღებული შესაბამისი ცნობები;

– მოპოვებული ცნობები აღრიცხვის მდგომარეობის შესახებ;

– შეხვედრები კრებებზე, ინტერვიუები, შინ სტუმრობა, წინანდელი საქმიანი ურთიერთობანი;

2) ორგანიზაციების მიმართ საიმედო მეთოდები შეიძლება ითვალისწინებდნენ:

– იურიდიული პირის სამართლებრივი სტატუსის ან განათლების შესახებ იდენტიური მოწმობის ან ინკორპორაციის მოწმობის, აგრეთვე იმ ინფორმაციის მოპოვებას, რომელიც ეხება კლიენტის სახელს, ნდობით აღჭურვილი პირების სახელებს, სამართლებრივ ფორმას, მისამართს, დირექტორებსა და ლოკუმენტებს, რომლებიც ამოწმებენ პირის უფლებამოსილებას, აკისრებენ შესაბამის ვალდებულებებს იურიდიულ პირს ან წარმონაქმნს;

– გაგების ფორმირებას კონტროლის სტრუქტურისა და მფლობელობის შესახებ;

– აქციების საკონტროლო პაკეტის მფლობელ ფიზიკურ პირთა იდენტიფიკაციას და იმ ფიზიკურ პირთა იდენტიფიკაციას, რომლებიც მოიცავენ იურიდიული პირის ან წარმონაქმნის მენჯემენტს.

ყველა საჭირო ლოკუმენტი უნდა იყოს საიმედო და მიღებული იმ წყაროდან, რომელიც არ არის დამოკიდებული კლიენტზე.

პრინციპი 1 “ა”. „ომნიბუს“ – ანგარიშები

ნებადართული ფასიანი ქაღალდების მომსახურე პროვაიდერებს უნდა პქონდეთ სპეციალური ჯეკ პოლიტიკა „ომნის-ბუს“ ანგარიშების მიმართ.

„ომნიბუს“ – ანგარიშები წარმოადგენს ანგარიშებს, რომლებიც დაწესებულია ფინანსური ინსტიტუტების მიერ ან მათი სახელით იმისათვის, რომ მონაწილეობდნენ ფასიანი ქაღალდების ოპერაციებში თავისი კლიენტების სახელით.

როდესაც წესდება „ომნიბუს“ – ანგარიში, პროვაიდერები ახორციელებენ თავიანთი კლიენტის – მეორე ფინანსური ინსტიტუტის იდენტიფიკაციას და შემოწმებას 1-ლი პრინციპის შესაბამისი პროცედურის მეშვეობით. როდესაც კლიენტი ხსნის „ომნიბუს“ – ანგარიშს ადგილობრივ ფინანსურ დაწესებულებაში მარეგულირებელი საბედამხედველო რეჟიმის შესაბამისად, რომელიც პროვაიდერების მიმართ გამოყენებულ რეჟიმის შესადარია, კანონსაწინააღმდეგო საქმიანობის რისკი მცირეა. გამარტივებული და შეკვეცილი იდენტიფიკაციისა და შემოწმების გამოყენება შეიძლება მისაღები იყოს.

მაგრამ თუ კლიენტი „ომნიბუს“ – ანგარიშს ხსნის უცხოურ ფინანსურ დაწესებულებაში, რისკები ზოგ შემთხვევაში განიხილება როგორც პოტენციურად უფრო მაღალი, ამ შემთხვევაში უმჯობესია გაფართოებული პროცედურა.

პროვაიდერები ჯერ გაფართოებულ პროცედურას იყენებენ „ომნიბუს“ – ანგარიშების მიმართ უცხოური ფინანსური დაწესებულებებისათვის. ამ გაფართოებულ პროცედურაში შედის:

- საკმარისი ინფორმაციის შეგროვება სხვა ფინანსური დაწესებულებების თაობაზე, რათა გაიგონ მისი ბიზნესი და განსაზღვრონ არსებული ინფორმაციის მიხედვით მისი პროფესიული რეპუტაცია;

- შეაფასონ ფინანსური დაწესებულების ჯერ პროცესის აღეკვამობა;

- ცნობები იმის შესახებ, აქვს თუ არა ფინანსურ ინსტიტუტს ფიზიკური ყოფნა ქვეყანაში, რომელშიც იგი ინკორპორირებულია, იმის გათვალისწინებით, რომ პროვაიდერებმა არ უნდა დააწესონ „ომნიბუს“ – ანგარიში ფინანსური ინსტიტუტისათვის, რომელსაც არ გააჩნია ფიზიკური ყოფნა ქვეყანაში და არ არის აფილირებული ფინანსურ ჯგუფთან, რომელსაც ასეთი ყოფნა აქვს;

- რეგულირებული და საბედამხედველო რეჟიმის შეფასება ქვეყანაში, რომელშიც იმყოფება მეორე ფინანსური დაწესებულება, იმის განსაზღვრავად ექვემდებარება თუ არა კლიენტი ჯერ საკმარისი პროცესის სტანდარტებს;

– უეროსი მოსამსახურის მოწონების მოპოვება ახალი „ომნიბუს“ – ანგარიშიდან გამომდინარე ურთიერთობის დამყარებაზე.

თითოეული ინსტიტუტის შესაბამის მოვალეობათა დოკუმენტირება.

პრინციპი 2. ბენეფიციარული მფლობელობის იდენტიფიკაცია

პროვაიდერებმა უნდა მოიპოვონ საკმარისი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მოახდინონ კლიენტისაგან განსხვავებული მხარის იდენტიფიცირება, და ის მხარე, იდენტიფიცირებულ უნდა იქნეს 1 “ა” პრინციპებში ჩამოყალიბებული კრიტერიუმების შესაბამისად დადგენილი იდენტიფიცირებისა და შემოწმების პროცედურის გამოყენებით. რისკზე დაფუძნებული მიდგომის მეშვეობით პროვაიდერებს უნდა ჰქონდეთ გონივრული საფუძველი, ირწმუნონ, რომ განსაზღვრულია ნამდვილი მფლობელობის ბენეფიციარი.

როდესაც დადგენილია საქმიანი მართლურთიერთობა, შეიძლება ბუსტად დადგინდეს, მოქმედებს ყველა კლიენტი თავისი ხარჯით, თუ მეორე მხარის ან მხარეების სასარგებლოდ (ბენეფიციარი მფლობელებისა და წარმომადგენლების სასარგებლოდ). პროვაიდერებმა უნდა მიიღონ ზომები რათა იდენტიფიკაციაჰყონ და შეამოწმონ კლიენტის ანგარიშების ბენეფიციარი მფლობელები, მათ შორის, გამოიყენონ გონივრული ღონისძიებანი რათა გაარკვიონ იმ კლიენტების მფლობელობა და კონტროლის სტრუქტურა, რომლებიც არ არიან ფიზიკური პირები. მათ შორის, მიმართონ რეკომენდებულ მოქმედებას. პროვაიდერებმა უნდა გადადგან ნაბიჯები იურიდიულ პირთა ბენეფიციარი მფლობელის იდენტიფიცირების მიზნით, ისინი მოიცავენ:

- კორპორაციულ სტრუქტურებს;
- პარტნიორობას;
- კომპანიებს, რომლებიც აქციებს უშეებენ წარმომადგენლისათვის განკუთვნილი ფორმით;
- დაურეგისტრირებელ ან დაურეგულირებელ საინვესტიციო ფონდებს;

- მაღალლევერიჯულ ინსტიტუტებს;
- ერთობლივ საწარმოებს;
- გრასტებს.

გარდა ამისა, აქ შეღის დაეალების ხელშეკრულებანი. ამასთან:

პროვაიდერებმა უნდა მოახდინონ სამართლებრივი ინსტიტუტების მულობელთა იდენტიფიცირება და შემოწმება;

კლიენტმა უნდა დაამოწმოს პროვაიდერის წინაშე იმ პირთა არსებობა და იდენტიფიცირება, რომლებიც ახორციელებენ სრულ ეუქტიან კონტროლს იურიდიული პირების ან წარმონაქმნისადმი (მაგალითად, აქციონერების, კომპანიის მოსამსახურეებისა და ა.შ.); ამასთან, კლიენტმა წინასწარ უნდა გაუხსნას ინფორმაცია პროვაიდერებს;

პროვაიდერებმა უნდა შეიძინონ იმ სამართლებრივი დოკუმენტების ასლები, რომლებიც მოწმობენ სამართლებრივი ინსტიტუტების კარგი მდგომარეობის არსებობას;

თუ კლიენტს ან მულობელს აქვს აქციების საკონტროლო პაკეტი ლისტინგურ კომპანიაში ან რეგულირებულ თუ რეგისტრირებულ საინვესტიციო ფონდში, ისეთივე კოლექტიური საინვესტიციო სქემა ორმხრივი ფონდის ან სასაქონლო პულის დროს, რომლებიც ექვემდებარებიან გახსნის აღეკვადურ მარეგულირებელ მოთხოვნებს, მაშინ არ არის საეაღდებულო ამ იურიდიული პირის სტრუქტურული ქვედანაყოფის მულობელის თუ მონაწილის, რომელიმე აქციონერის უცილობელი ინდეტიფიცირება და იდენტიფიცირების შემოწმება.

პრინციპი 3. „იცოდე შენი კლიენტი“ („იშკ“)

უასიანი ქაღალდების მომსახურე პროვაიდერებმა ყოველი კლიენტისაგან უნდა მოიპოვონ ინფორმაცია კლიენტის პიროვნებისა და მომსახურებასთან დაკავშირებული საინვესტიციო მიზნების შესახებ, რომლებიც მათ უნდა წარედგინოს და გამოიჩინონ ჯეროვანი ყურადღება კლიენტის ანგარიშების მიმართ.

პროვაიდერებმა უნდა მოიპოვონ ინფორმაცია თავიანთი კლიენტის პირობების შესახებ, მათ შორის, ფინანსური საფუძ-

ველი და ბიზნესის ამოცანები, რათა შეიქმნან ზოგადი წარმოდგენა, რომელიც გახდება საფუძველი მოთხოვნისა “იშკ”. ეს ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს კლიენტმა იმისათვის, რომ დაიწყოს ჩანაწერის წარმოება, რომელიც შეიძლება გახდეს მოცემულ კლიენტთან დაკავშირებული რისკის ხარისხის განსაზღვრის ხელშეწყობი ფაქტორი. ამ ინფორმაციის დაბაგვებით პროვაიდერს შეუძლია უზრუნველყოს, რომ კლიენტმა მიიღოს ადეკვატური რისკის გახსნა და პროვაიდერს აქვს საქმარისი საფუძველი ჯეროვანი გულმოდგინების გამოჩენისათვის. ამასთან, პროვაიდერებმა, ავრეთვე უნდა:

- განახორციელონ “იშკ” პროცესი საქმიანი ურთიერთობის დამყარების მომენტიდან ბოლომდე.

- გულდასმით გამოიკვლიონ ამ ურთიერთობის მთელი მიმდინარეობის მანძილზე შესრულებული ოპერაციები, რათა დარწმუნდნენ, რომ ისინი ეთანადება კლიენტების დაწესებულების, კლიენტის ბიზნესის ხასიათსა და რისკს, გაითვალისწინონ, როდესაც ეს აუცილებელია, კლიენტის ფონდების წყარო. იქ, სადაც პროვაიდერის საქმიანობა მოიცავს ინვენსტიციების საკითხებზე კონსულტაციის გაწევას ძალზე ღირებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ამ კონსულტაციამ გაითვალისწინოს კლიენტის მოთხოვნებისა და პირობების ვაგება.

გარდა ამისა, პროვაიდერებმა უნდა:

- უზრუნველყონ “იშკ” პროცედურის შესრულება თითოეული კლიენტის მიხედვით, რათა დარწმუნდნენ, რომ ოპერაციის შესრულება ესაგყვისება კლიენტის ცოდნას, კლიენტის ბიზნესს, რისკს და თუ ეს აუცილებელია, ფონდების წყაროებსაც;

- გასწიონ კონსულტაცია ინვენსტიციებზე, გარანტიაკონ, რომ კონსულტაცია შესაფერისია, ეფუძნება კლიენტის მოთხოვნილებათა ჯეროვან ვაგებას. ინფორმაცია, რომელიც პროვაიდერს შეუძლია მოიპოვოს, მოიცავს:

- მოსალოდნელი ოპერაციების ტიპებს, ფონდების წყაროს;
- მიმდინარე გამოთვლილ შემოსავალს და წმინდა ღირებულებას, წინანდელ საინვენსტიციო გამოცდილებას, ინვენსტიციის მიზნებს, წინანდელ გამოცდილებას სხვა პროვაიდერებთან ურთიერთობისას.

პროვაიდერებმა უნდა დაადგინონ მკაფიო პოლიტიკა წერილობითი ფორმით იმისათვის, რომ განსაზღვრონ კლიენტები და საქმიანობა, რომელსაც განიხილავენ მაღალ თუ დაბალ რისკთან დაკავშირებულად.

რისკის ფაქტორებს შორის, რომლებიც პროვაიდერმა უნდა მიიღოს მხედველობაში, შედის:

– პოლიტიკურად ცნობილი პირები (პკპ);

– რესურსების წარმოშობა;

იმ საქმიანობის სახეობა, რომელსაც კლიენტი ახორციელებს;

– საჯარო რეპუტაცია;

– კლიენტის ბინადრობის ქვეყანა.

იმისათვის, რომ განახორციელონ “იშკ” პროცესის შეფასება, პროვაიდერებმა უნდა შეასრულონ შემდეგი:

– მოიპოვონ ინფორმაცია კლიენტის შესახებ, რათა შეეძლოს, დაადგინონ მისი მახასიათებლები;

– დააკლასიფიცირონ კლიენტი და მისი მოსალოდნელი ოპერაციები, რომლებსაც დაბალი ან მაღალი რისკი ექნება;

– გააანალიზონ და შეამოწმონ კლიენტის მიერ განხორციელებული ოპერაციები, თუ ისინი განიხილება დაბალი ან მაღალი რისკის მქონედ;

– გააანალიზონ კლიენტების ოპერაციები მათი მახასიათებლების შესაბამისად.

პრინციპი 4. მონაცემების აღრიცხვის წარმოება

ნებადართული ფასიანი ქაღალდების მომსახურე პროვაიდერებმა უნდა შეინახონ ჯყკ პროცესის აღრიცხვის მონაცემები სულ ცოტა ხუთ წელიწადს მას შემდეგ, რაც საქმიანი ურთიერთობა შეწყდა.

აღრიცხვის მონაცემების წარმოება დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს. აღრიცხვის მონაცემები უნდა იყოს საკმარისი თავისი შინაარსის მიხედვით. მათი კონტექსტი და სტრუქტურა უნდა უზრუნველყოფდეს მოწმობას კლიენტებისა და ბუნეფიციარი მულობელების და კლიენტთა ბიზნესის მოდელის

ილენგურობის შესახებ, შესრულებული ოპერაციების მონაცემების ჩათვლით.

ამასთან, პროვაიდერებმა უნდა:

– დაადგინონ მკაფიო პოლიტიკა და პროცედურები წერილობითი ფორმით, რათა გარანტირებული იყოს მთელი იმ ინფორმაციის მთლიანობა, უსაფრთხოება, საიმედოობა, კონფიდენციალობა და საფუძვლიანობა, რომელიც ეხება ჯყკ პროცესს;

– შეინახონ, სულ ცოგა ხუთი წლის განმავლობაში მთელი საჭირო მონაცემები, რიგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ოპერაციების შესახებ, რათა შეაძლებინონ მათ ინფორმაციის წარდგენა კომპეტენტური ორგანოების მოთხოვნით. ასეთი მონაცემები საკმარისი უნდა იყოს ცალკეული ოპერაციების აღდგენისათვის (თანხებისა და ვალუტის სახეობების ჩათვლით, რათა წარმოადგინონ, როცა ეს აუცილებელია, მოწმობა გამოძიებისა და დენისათვის სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქო და ადმინისტრაციული წესით.

პრინციპი 5. მესამე პირთა ნდობა

ამ პრინციპის არსია: ფასიანი ქაღალდების მომსახურე პროვაიდერებს შეუძლიათ გამოიყენონ საიმედო მესამე მხარეები, რათა მათ შეასრულონ “იშკ” პროცესიდან გამომდინარე მოვალეობანი იმ პირობით, რომ აღნიშნული პრინციპის მიხედვით გათვალისწინებული მოთხოვნები შესრულდება.

საიმედო მესამე მხარეები შეადგენენ ფინანსური ორგანიზაციების ფართო ნუსხას. სრული პასუხისმგებლობა “იშკ” პროცესის ინფორმაციის თაობაზე ეკისრება პროვაიდერებს.

პრინციპი 6. ჯყკ პროცესის წარუმატებელი შესრულება

ამ პრინციპის არსი გახლავთ ის, რომ ფასიანი ქაღალდების მომსახურე პროვაიდერებმა უნდა დაადგინონ მკაფიო პოლიტიკა წერილობითი ფორმით, რათა განსაზღვრონ, რა მოქმედება უნდა განხორციელდეს იმ შემთხვევაში, თუ პროცესი წარმატებით ვერ დასრულდება ან როდესაც გაჩნდება კანონსაწინააღმდეგო საქმიანობის ეჭვი.

პრინციპი 7. რეგულატორის როლი

რეგულატორს უნდა ჰქონდეს ადეკვატური უფლებამოსილება, რათა დაადგინოს წინასწარი პირობები ყველა პრინციპის შესრულებისათვის, განახორციელოს მონიტორინგი, უზრუნველყოს ფასიანი ქაღალდების მომსახურე პროვაიდერთა შესაბამისობა ჯეკ პროცესის მოვალეობებისა და იმ იდენტიფიცირებულ პირთა მოთხოვნებისადმი, რომლებიც ბენეფიციარულ საფუძველზე ფლობენ ან აკონტროლებენ ფასიანი ქაღალდების ანგარიშებს.

პრინციპი 8. თანამშრომლობა

ეს პრინციპი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. მისგან გამომდინარეობს, რომ იმან, ვინც არეგულირებს, უნდა შეაფასოს საკანონმდებლო ჩარჩოები თავის ქვეყანაში, განსაზღვროს, არის თუ არა საჭირო ორგანო სხვა უცხოურ მარეგულირებელ ორგანოებთან თანამშრომლობისა და ინფორმაციის გაცვლისათვის და საჭიროების კვალობაზე იმუშაოს ადგილობრივ ხელისუფლებთან იმისათვის, რომ მოახდინოს იდენტიფიცირება და აღმოუხვრას ასეთი თანამშრომლობის დაბრკოლებანი.

კომისიის წევრებმა უნდა მოიმოქმედონ ზომები, რათა დაიყვან 2002 წლის მაისში მიღებული მრავალმხრივი მემორანდუმი ურთიერთგაგების შესახებ, რომელიც შეეხება კონსულტაციებს, თანამშრომლობას და ინფორმაციის გაცვლას და უნდა ითანამშრომლონ თავიანთ უცხოელ პარტნიორებთან სრული მოცულობით მემორანდუმის შესაბამისად.

მარეგულირებელ ორგანიზაციებს უნდა მიეცეთ სტიმული იმისათვის, რომ შევიდნენ მემორანდუმში სხვა მარეგულირებელ ორგანოებთან ურთიერთგაგების შესახებ, ფორმალურ და არაფორმალურ შეთანხმებებში ინფორმაციის გაცვლის შესახებ, თუ საჭიროა, ქვეყნის სახელისუფლებო ორგანოებთან, რომლებიც არ არიან კომისიის წევრები ან ხელი არ მოუწერიათ ამ მემორანდუმისათვის, რათა უზრუნველყონ ინფორმაციის გაცვლის მოცულობის შემდგომი შესრულება და საერთო შორისო თანამშრომლობა.

მარეგულირებელი ორგანიზაცია უნდა ესწრაფოდეს თავის უფლებამოსილებათა გამოყენებას, რათა გამოითხოვოს ადგილობრივი ხელისუფლებისა და სამთავრობო აგენტებისაგან მათ ქვეყანაში ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რომელიც აუცილებელია უცხოელ პარგნიორთა მოთხოვნებზე პასუხის გასაცემად, ამასთან დაკავშირებით მარეგულირებელ ორგანიზაციებს უნდა:

– ჰქონდეთ უფლებამოსილება, მოიპოვონ და გაცვალონ ინფორმაცია უცხოელ პარგნიორებთან ჯეკ პროცესის შესახებ, როდესაც ინფორმაცია გამოითხოვება სამართლებრივი არსებით;

– ესწრაფოდნენ ჯეკ პროცესის შესახებ ინფორმაციის გაცვლის მექანიზმის ამოქმედებას;

– ისწრაფოდნენ უზრუნველყონ, რომ ადგილობრივი კანონები საიდუმლოობის შესახებ ან წესები და დებულებანი არ უშლიდნენ ხელს კლიენტის იდენტიფიკაციის შესახებ ინფორმაციის შეგროვებას ან გადაცემას;

– დააწესონ კონკრული და დამკავი ღონისძიებანი, რათა უზრუნველყონ, უცხოეთის მარეგულირებელი ორგანიზაციებიდან არის თუ არა მიღებული, რომ ინფორმაცია ჯეკ პროცესის შესახებ, გამოიყენებოდეს ნებადამრთველი წესით, ესაგყვისებოდეს მოთხოვნებს, რომლებიც ეხება საიდუმლოობას და ინფორმაციის გაცვლას.

კომისიის წევრთა მიერ მიღებული პრინციპები, რომლებიც შეეხება კლიენტისა და ბენეფიციარი მფლობელის იდენტიფიკაციის პრინციპებს ფასიანი ქაღალდების დარგში, დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა. იგი საიმედოდ გადაულობავს გზას თაღლითურ მოქმედებას ფულის გათეთრებისათვის და გერორიზმის დაფინანსებას ფასიანი ქაღალდების დარგში.

თავი V.

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებანი, რომლებსაც ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ საბრძოლველად ახორციელებენ საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი

აშშ-ში 2001 წლის 11 სექტემბრის ამბების შემდეგ საერთაშორისო სავალუტო ფონდმა მიიღო საგანგებო ღონისძიებანი თავის უფლებამოსილებათა და სპეციალიზაციის სფეროთა ფარგლებში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლისათვის საერთაშორისო ძალისხმევის აქტივიზაციაში თავისი პოტენციური წვლილის გადასასინჯად. კერძოდ, ფონდმა ხაზი გაუსვა, რომ იმ დროს, როდესაც ასეთ ღონისძიებათა შესრულებისათვის ძირითადი პასუხისმგებლობა უნდა ეკისრებოდეთ თითოეული ქვეყნის მთავრობებს, ფინანსურ დაწესებულებებსა და მოქალაქეებს, საერთაშორისო სავალუტო ფონდი შეძლებდა კოორდინაცია გაეწია ამ მუშაობისათვის და ძირითადი ყურადღება დაეთმო საერთაშორისო საფინანსო სისტემის საიმედოობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფისათვის, იმუშაებდა რა მჭიდრო თანამშრომლობით ფაგფ-თან, ნორმატივების დამწესებელ სხვა ორგანიზაციებთან და მსოფლიო ბანკთან. საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობა წარიმართება დარგებში, რომლებსაც უშუალო დამოკიდებულება აქვთ მაკროეკონომიკურ სიტუაციასთან, სადაც არსებობს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების მნიშვნელოვანი რისკი. მაგრამ საერთაშორისო სავალუტო ფონდი როდი იმუშაებებს სამართალ-გამოყენების საკითხთა გადასაწყვეტად.

2001 წლის ნოემბერში საერთაშორისო სავალუტო-საფინანსო კომიტეტმა (ფონდის ხელმძღვანელმა ორგანომ) მოიწონა ინტენსიფიცირებული მუშაობის გეგმა, რომელიც უკავშირდე-

ბა ფონდის მონაწილეობას ფულის გათეთრებისა და გერო-რიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებში. პროგრამა, რომელიც ხორციელდება მჭიდრო კოორდინაციით მსოფლიო ბანკის დამატებით ღონისძიებებთან ერთად ხელს უწყობს წვერ სახელმწიფოებს შეძლებისდაგვარად დაეხმარონ ხელისუფალთ, ამოსწიონ ხუთ წლამდე პერიოდის აუდიტორულ შემოწმებათა მასალები.

საერთაშორისო საეკონომიკო ფონდი, მსოფლიო ბანკი, ფაგფუი და სხვა ორგანიზაციები, რომლებიც სტანდარტებს აწესებენ (ეგმონგის ჯგუფი, ბაბელის საბანკო ზედამხედველობის კომიტეტი, ფასიანი ქაღალდების კომისიათა საერთაშორისო ორგანიზაცია და სადამხედელო ზედამხედველობის ორგანოთა საერთაშორისო ასოციაცია) ამუშავებენ კომპლექსური შეფასების მოგად მეთოდოლოგიას ფულის გათეთრების და გერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა გლობალური სტანდარტის კომპლექსური შეფასებისათვის.

ფონდმა გაააქტიურა მუშაობა წვერ სახელმწიფოებში მოქმედ შეფასებათა მოსაწყობად, ასეთი ბრძოლის რეჟიმებს რომ ასახავდნენ, ფინანსური სექტორის საკუთარ შეფასებათა კონტექსტით (რომლებიც ჩვეულებრივ, მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობით ეწყობა), აგრეთვე ოფშორული ფინანსური ცენტრების შეფასებათა კვალობაზე. ეს შეფასებანი, რომლებიც რეჟიმებში არსებულ პოტენციურ ნაკლივანებათა გამოვლენას ემსახურება, ხშირად ხელს უწყობს ქვეყნებს, განამტკიცონ თავიანთი სისტემები, მაგალითად, იმ გზით, რომ სრულყოფილი კანონმდებლობა ფულის გათეთრებასთან და გერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის საკითხებზე და განამტკიცონ შესაბამისი ინსტიტუტები. ასეთ შეფასებათა რაოდენობა იზრდება და 2002 წელს ისინი დაახლოებით 30-40 იურისდიქციაში მოიცავდნენ დასაბუთებულ რეჟიმებს.

საეკონომიკო ფონდმა და მსოფლიო ბანკმა გაზარდეს ამ დარგში გამართული ტექნიკური კონსულტაციების რიცხვი, ისინი დახმარებას უწევენ ქვეყნებს ოპტიმალური საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად ფულის გათეთრებასთან და გერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის კანონმდებლობის

მომზადებაში, აგრეთვე ამ ბრძოლაში ჩაბმული ინსტიტუტების განმტკიცებაში, ისეთებისა, როგორც არის ფინანსური სექტორისადმი ზედამხედველობის ორგანოები და ფინანსურ დაზვერვათა ორგანოები. 2001 წლის 11 სექტემბრიდან მოყოლებული, ფონდმა და მსოფლიო ბანკმა დახმარება გაუწიეს 24 ქვეყანას იმ ბრძოლის განმტკიცებაში, რომელსაც ისინი ეწევიან ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ. ზოგჯერ ეს დახმარება იღებდა რეგიონული პროექტების ფორმას, როგორც არის საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელშეწყობა ფინანსური დაზვერვის სამსახურების შესაქმნელად წყნარი ოკეანის რეგიონის კუნძულ-სახელმწიფოთა ჯგუფისათვის და მრავალპროფილიანი რეგაონული სემინარის ორგანიზაცია ასეთი ბრძოლის დარგში კადრების მოსამზადებლად სამხრეთ ამერიკის ქვეყნებისათვის. ვარდა ამისა, ფონდმა და მსოფლიო ბანკმა გამართეს მთელი რიგი შეხვედრები და თათბირები ტექნიკური დახმარების კოორდინაციის ხელშეწყობის მიზნით ფულის გათეთრებასთან და ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის მონაწილე მრავალმხრივ და რეგიონულ ორგანიზაციებს, აგრეთვე იმ წამყვან ორგანიზაციებს შორის, რომლებიც დახმარების გაწევის საკითხებზე მუშაობენ.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები განიხილავენ ფულის გათეთრებასთან და ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის დარგში გასაგარებელი პოლიტიკის ღონისძიებებს იმ კონსულტაციების ფარგლებში, რომლებიც მიმდინარეობს ფონდსა და თითოეულ წევრ სახელმწიფოს შორის მოცემულ რეგიონში ეკონომიკურ საკითხებსა და ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებებზე. ასეთი განხილვის მეოხებით წევრი ქვეყნების მთავრობებს მუდმივად ამყოფებენ დარგში სავალუტო ფონდის საქმიანობის კურსში და უსახავენ ორიენტირებს თავიანთი საკუთარი ინიციატივების განხილვისას. ისინი აგრეთვე ქვეყნებს შესაძლებლობას აძლევენ, უჩვენონ საერთაშორისო გაერთიანებას ფულის გათეთრებასთან და ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის თავიანთი სისტემის ძალა. მაგალითად, 2002 წელს

ამშ-ში მე-4 მუხლის შესაბამისად გამართული კონსულტაციების დროს ხელისუფლებმა მონაწილეებს აცნობეს, რომ 2001 წლის ოქტომბერში მიღებულ იქნა ახალი კანონმდებლობა – ამშ კანონი პატრიოტიზმის შესახებ. კანონი ითვალისწინებს სამართალდამცველ ორგანოებს, რეგულირების ორგანოებსა და ფინანსურ დაწესებულებებს შორის ინფორმაციის გაცვლის სისტემის შექმნას; არეგულირებს ახალ უფლებამოსილებებს გერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის მიმართ, აგრეთვე განამტკიცებს და აფართოებს მოთხოვნებს ანგარიშგებისადმი უფლის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის დარგში.

ფონდი და მსოფლიო ბანკი ეწევიან კვლევას ისეთ საკითხებზე, როგორც არის ფულის წმენდის ეკონომიკური შედეგები და იმ არაოფიციალური სისტემების ფუნქციონირება, რომლებიც წარმართავენ სახსრების გადარიცხვას სხვადასხვა განვითარებად ქვეყნებსა და ინდუსტრიულად განვითარებულ სახელმწიფოებს შორის.

2004 წელს მომზადდა მეთოდოლოგია ფაგფ-ის 40 რეკომენდაციასა და 8 სპეციალურ რეკომენდაციას შორის შესაბამისობის შესაფასებლად (ბრძოლა ფულის გათეთრებისა და გერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ). ეს მეთოდოლოგია მოიცავს შეფასების კრიტერიუმებს, რომლებიც განკუთვნილია აღნიშნული რეკომენდაციებისადმი ქვეყნის შესაბამისობის განსასაზღვრავად, წარმოადგენს საკვანძო ინსტრუმენტს ექსპერტთა დასახმარებლად, რომლებიც ამზადებენ ლეტალურ მოხსენებებს იმ სისტემისა და მექანიზმების იდენტიფიკაციის შესაფასებლად, ქვეყნებმა რომ შეიმუშავეს ფულის გათეთრებასთან და გერორიზმის დაფინანსებასთან საბრძოლველად. მეთოდოლოგია ასევე სასარგებლოა იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც აწყობენ საკუთარი სისტემის მიმოხილვას, გექნიკური დახმარების პროექტებთან დაკავშირებული სისტემის ჩათვლით, აგრეთვე გამოხატავენ ფაგფ-ის რეკომენდაციებით დაღეგნილ პრინციპებს.

მოკლედ განვიხილოთ ინსტრუქცია არსებითი კრიტერიუმების, დამატებითი ელემენტებისა და რეგიონების საკითხებზე ზოგადი ინტერპრეტაციით, იმ ბრძოლის სტანდარტებს რომ

ეხება, რომელიც წარმოებს ფულის გათეთრებისა და გერო-რიზმის დაფინანსების წინააღმდეგ.

ფულის გათეთრებასთან და გერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის ჩარჩოების აღეკვატურობის შეფასება დამოკიდებულია ადგილობრივი და საერთაშორისო გარემოებების არსებობაზე. ფულის გათეთრებისა და გერორიზმის დაფინანსების ტექნიკა ბევრ დროს მოითხოვს და ამდენად აღნიშნული სფეროს პოლიტიკას და საუკეთესო პრაქტიკას ასევე დასჭირდება სრულყოფა და ადაპტაცია, რათა გაუმკლავდეს ახალ საფრთხეებს.

ფაგფ-ის რეკომენდაციები ითვალისწინებენ საერთაშორისო სტანდარტებს ფულის გათეთრებისა და გერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლისათვის, სტანდარტებს, რომლებიც ყველა ჯგუფისათვის გამოდგება. მაგრამ პირებმა, შეფასებებს რომ იძლევიან, უნდა იცოდნენ, რომ ფულის გათეთრებისა და გერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის საკანონმდებლო, საინსტიტუციო და საშეღამხედველო ჩარჩოები შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან. იმ პირობით, რომ ფაგფ-ის რეკომენდაციები დაკულია, მისაღებაა, რომ ქვეყნები ასრულებდნენ საერთაშორისო სტანდარტებს მათი ეროვნული, საკანონმდებლო და საინსტიტუციო სისტემების შესაბამისად, მაშინაც კი, როდესაც მეთოდები, რომელთა მეშვეობითაც მიიღწევა ისინი, განსხვავდება ერთმანეთისაგან. ამ მხრივ შემუშავებულმა პირებმა უნდა იცოდნენ თითოეული ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე, მისი ადმინისტრაციული რესურსები და განსხვავებული კულტურული და სამართლებრივი პირობები. გარდა ამისა, მოხსენებანი უნდა ითვალისწინებდნენ შეფასებისათვის საჭირო კონტექსტს და ჰქონდეთ აღნიშვნა გარკვეული პროგრესისა, რომელიც შეიმჩნევა ამ მეთოდოლოგიის კრიტერიუმებისა და სტანდარტების დაცვაში.

არსებითი კრიტერიუმები ისეთი ელემენტებია, რომელთა არსებობა ცხადყოფს თითოეული რეკომენდაციის შესაბამისობას სავალდებულო ელემენტებისადმი, კრიტერიუმები უნდა შეფასდეს, დაინომროს თითოეული რეკომენდაციისათვის

რიგითობის მიხედვით, ამასთან, კრიტერიუმების რიგითობას არა აქვს მნიშვნელობა. ზოგიერთ შემთხვევაში გათვალისწინებულია კვლევა კრიტერიუმების შეფასების დიდმნიშვნელოვანი ასპექტების იდენტიფიკაციაში დახმარების მიზნით. ამას გარდა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ სიგუაცია შეიძლება გამოყენებულ იქნეს კრიტერიუმების მოთხოვნები, ხოლო მეორისათვის – შეიძლება დაეუშვათ გამონაკლისი. ყოველ ჯერზე უნდა გავითვალისწინოთ, რა ხარისხით ესადაგება ეროვნული ღონისძიებანი გარკვეულ კრიტერიუმებს. ყოველ რეკომენდაციაში დადგენილია შესაბამისობის ოთხი შესაძლო დონე: „შეესაბამება“, „ძირითადად შეესაბამება“, „ნაწილობრივ შეესაბამება“, „არ შეესაბამება“. გამონაკლის შემთხვევებში რეკომენდაციამ შეიძლება დაადგინოს: „არ გამოიყენება“. ეს დებულება ეფუძნება არსებითს კრიტერიუმებს და შემდეგნაირად განისაზღვრება:

შეესაბამება	რეკომენდაცია მთლიანად სრულდება ყველა დადგენილი კრიტერიუმის მიმართ
ძირითადად შეესაბამება	არის მხოლოდ უმნიშვნელო ნაკლოვანებანი, არსებითი კრიტერიუმების მნიშვნელოვანი უმრავლესობა კი თმლიანად სრულდება
ნაწილობრივ შეესაბამება	ქვეყანამ განახორციელა ერთგვარი არსებითი დასაბუთება და შეესაბამება ზოგიერთ არსებითს კრიტერიუმს
არ შეესაბამება	შეიმჩნევა მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანი, კრიტერიუმების უმრავლესობა არ სრულდება
არ გამოიყენება	მოთხოვნის ან კრიტერიუმთა ნაწილის გამოყენება ვერ ხერხდება ქვეყნის სტრუქტურული, სამართლებრივი ნიშნების გამო, მაგალითად, ფინანსური დაწესებულების გარკვეული სახეობა ქვეყანაში არ არსებობს

შემფასებელმა პირებმა უნდა მიმოიხილონ, რამდენად შეესაბამება კანონები და წესები გარკვეულ სტანდარტს და არსებობს თუ არა ამ კანონების ადეკვატური მოცულობა და შესრულების შესაძლებლობა.

ქვეყნები უნდა იქნენ მიჩნეული კრიტერიუმების სრულად

შესაბამისად, თუ უულის გათეთრებასთან და გეროორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის კანონები, წესები ან საშუალებები ძალაშია ქვეყანაში ვიზიტის დროს ან იმ პერიოდში, დაუყოვნებლივ რომ მოაქცევა ვიზიტს და ვიზიტის დამთავრებამდე.

კანონები, რომლებიც უულის გათეთრებასთან და გეროორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის პრევენტულ ღონისძიებებს აკისრებენ საბანკო და სადაზღვევო სექტორს და ფასიანი ქაღალდების სექტორს, უნდა სრულდებოდეს და ინერგებოდეს ზედამხედველობის პროცესის მეშვეობით. ამ სექტორებში დაცული უნდა იყოს ზედამხედველობის ძირითადი პრინციპები, რომლებიც შეიმუშავეს სადაზღვევო ზედამხედველობის ორგანოთა საერთაშორისო ასოციაციის ბაზელის კომიტეტი და უფასიანი ქაღალდების კომისიათა საერთაშორისო ორგანიზაციამ. გარკვეული საკითხების მიმართ ეს პრინციპები შეიძლება ნაწილობრივ გამოგოვებულ იქნეს ან დაემაგოს მოთხოვნებს, რომლებიც აღნიშნულ პრინციპებში არის დაწესებული. შემუშავებულ პირებს უნდა ჰქონდეთ დამოკიდებულება ძირითადი პრინციპების ან სხვა პრინციპების თუ იმ სტანდარტების მიმართ გამოტანილ შეფასებებთან და დასკვნებთან, რომლებიც ზედამხედველობის ორგანოების მიერ არის შემუშავებული. დამატებითი ელემენტები გვევლინება ისეთ ელემენტებად, რომლებიც აძლიერებენ სისტემას და ამდენად, შეიძლება სასურველი იყოს. ისინი გამომდინარეობენ ფაგფის რეკომენდაციათა არასავალდებულო ელემენტებიდან ან უკეთესი პრაქტიკიდან და სხვა ინსტრუქციებიდან, რომლებიც გამოცემულია ფაგფის ან სხვა ისეთი საერთაშორისო ორგანოების მიერ, როგორც არის ბაზელის საბანკო ზედამხედველობის კომიტეტი.

თუმცა, დამატებითი ელემენტები ყოველმხრივი შეფასების ნაწილს აყალიბებენ, ისინი არ არის სავალდებულო და არ გამოიყენება შეფასების მიზნით. სრულ გარკვევამდე დამატებითი ელემენტები საკითხებად არის ჩამოყალიბებული. შემუშავებული პირები განიხილავენ და განმარტავენ ღონისძიებებს, რომლებიც შეიძლებოდა მიეღოთ და არ მიუღიათ ქვეყნის გარკვეული პირობების მიმართ.

იღენგური გზით შემუშავებულ პირებს შეიძლება ექნეთ დისკ-

რეცია, აღნიშნონ სხვა საკითხები, რომლებსაც ისინი აიღენტი-
ფიცირებენ როგორც ფულის წმენდასთან ბრძოლის სისტემის
გამაძლიერებლად ან ისეთებად, რომლებსაც შეუძლიათ გააძ-
ლიერონ იგი.

უაგფ-ის რეკომენდაციებიდან განსაზღვრებათა სრული ნუს-
ხა ღამაგებით გერმინებთან ერთად მოცემულია სპეციალურ
დანართში. შემუშავებულმა პირებმა უნდა იცოდნენ ამ გერმი-
ნების მნიშვნელობა, განსაკუთრებით ისეთებისა, რომლებიც
გამოიყენება მედიკალინაში, როგორც არის “ფინანსური
ბიზნესი”, “გერორიზმის დაფინანსება”, “იურიდიული პირი” და
“იურიდიული წარმონაქმნები”, “ფინანსური დაწესებულება”
და ა.შ., თითოეული რეკომენდაციისა და თითოეული არსებო-
თი კრიტერიუმისათვის, სადაც ფინანსურ დაწესებულებას მო-
ეხოსოვება განახორციელოს გარკვეული მოქმედება. პირებმა,
რომლებიც შეუასებას განსაზღვრავენ, უნდა გამოიგანონ სწო-
რი დასკვნები იმის საფუძველზე, რომ ფინანსური დაწესებულე-
ბანი უნდა შეესაბამებოდნენ ყველა სპეციალურ მოთხოვნას.

თავი VI.

ეკონომიკის განვითარების უზრუნველყოფის და უზრუნველყოფის საკანონმდებლო და უზრუნველყოფის მონიტორინგის კომიტეტის პირველი აქტივობები

უკანასკნელი წლების მანძილზე ფულის გათეთრებასთან და გერორიზმის დაუზრუნველებასთან ბრძოლის აუცილებლობის გამო შეიქმნა მთელი რიგი ეროვნული სპეციალიზებული სააგენტოები, რომლებსაც უზრუნველყოფის დაწესებულებანი ეწოდება. ამ დაწესებულებებმა ყურადღება მიიპყრეს, უწინარესად, ფულის წმენდასთან საბრძოლველად განკუთვნილი პროგრამების შესრულებაში შეტანილი დიდმნიშვნელოვანი წვლილით, ე.ი. ისინი შესაძლებელს ხდიან სწრაფად მოხდეს ინფორმაციის გაცემა უზრუნველყოფის ინსტიტუტებსა და სამართალდამცემ (პლენელ) ორგანოებს შორის, აგრეთვე სასაქონლო-ფორმებს შორის. უზრუნველყოფის დაწესებულებათა შექმნა განპირობებულია ორი მთავარი მიზეზით.

პირველი მიზეზი უკავშირდება სამართლის გამოყენებას. მეტმა წილმა ქვეყნებმა განახორციელეს ფულის გათეთრებასთან ბრძოლის ღონისძიებანი უკვე არსებულ სამართალდამცემ უზრუნველყოფის სისტემებთან ერთად. გარკვეულმა ქვეყნებმა მათი ზომის და შესაძლოა, ფულის წმენდის გამოძიების სიძნელეების გამო გამოიგანეს დასკვნა, რომ უნდა შეიქმნათ ცენტრები უზრუნველყოფის ინფორმაციისათვის. ამ იმპულსის შედეგად გაჩენილი სააგენტოები განკუთვნილი იყო, უწინარესად, სამართალდამცემ უზრუნველყოფის ან სასამართლო ორგანოების ძალისხმევის მხარდასაჭერად, რომლებიც მოქმედებდნენ ერთად, ზოგჯერ კონკურენტული იურისდიქციული კომპეტენციით, ფულის წმენდის გამოძიებაში.

მეორე მიზეზი ეხება ოპერაციების გახსნას – ფაგფის 40 რეკომენდაციისა და სხვა რეგიონული ინიციატივების მეშვეობით – საუკეთესო ოპერაციების გამოვლენას, რომლებიც უკვე გახდა

შეზღვევითი ნაწილი ფულის წმენდის აღმოსაჩენად მიმდინარე ძალისხმევით. ოპერაციების გახსნის სისტემის შექმნისას ზოგიერთმა ქვეყანამ ლოგიკურად მიიჩნია ამ ძალისხმევის ცენტრალიზაცია ფინანსური ოპერაციის შეუასების მისაღებად და დასამუშაველად.

ამრიგად, შექმნილი ფინანსური დაზვერვები ხშირად ასრულებენ ბუფერის როლს ფინანსურ სექტორისა და სამართალდამცველ და სამართალგამომყენებელ (მღვენელ) ორგანოებს შორის. ფინანსური დაზვერვა გველინება შუამაველად კერძო და სახელმწიფო სექტორებს შორის და ეს იწვევს ნდობას მთლიანად წმენდასაწინააღმდეგო სისტემის მიმართ.

ყოფა ხნის შემდეგ ფინანსურ დაზვერვებს დაეკისრათ გახსნის ფუნქციებიც.

ფულის წმენდის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხების მიმართ ზედამხედველობის უფლებამოსილება, ასევე ხდება მთელი რიგი დაზვერვების ფუნქცია.

მიუხედავად იმისა, რომ ფინანსური დაზვერვები გასული საუკუნის 90-იანი წლების პირველი ხუთი წლის მანძილზე ჩამოყალიბდა მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში, მათი შექმნა მაინც იყო, ერთი შეხედვით, იზოლირებული ფენომენი, რომელიც იმ ქვეყნების სპეციფიკურ მოთხოვნილებებს განეკუთვნება, სადაც ისინი შეიქმნა.

1995 წლიდან მთელმა რიგმა ფინანსურმა დაზვერვებმა დაიწყეს მუშაობა პარაორგანიზაციასთან ერთად, რომელიც ეკომონგის ჯგუფის სახელით არის ცნობილი. ჯგუფის მიზანია უზრუნველყოს ფინანსურ დაზვერვათა ფორუმი ფულის წმენდისადმი წინააღმდეგობის შესაბამისი ეროვნული პროგრამების მხარდაჭერის სრულყოფის მიზნით. ეს მხარდაჭერა მოიცავს ფინანსური სადაზვერვო ინფორმაციის გაცვლის გაფართოებას და სისტემატიზაციას, ასეთი ორგანიზაციების პერსონალის ცოდნის, გამოცდილებისა და უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას და ფინანსური დაზვერვების ეფექტიანი კავშირების დამყარებას.

ეკომონგის ჯგუფის პირველი თათბირი, რომელიც 1995 წლის 9 ივნისს გაიმართა, გახდა კულმინაცია რამდენიმე წლის ინ-

გენსიური ეროვნული საერთაშორისო წინააღმდეგობისა ფულის წმენდისადმი. მთელმა რიგმა ლოკუმენტებმა (ვენის კონვენცია, ბაზელის განცხადება "ათთა ჯგუფის" პრინციპების შესახებ და უფრო ცნობილი - ფაგფ-ის 40 რეკომენდაცია ფულის წმენდასთან დაკავშირებულ საკითხებზე) ღიდალ დააწინაურა საერთაშორისო თანამშრომლობა ამ დარგში.

ეროვნული ფინანსური დაზვერვები უფრო აქტიურად წარმომადგენლობდნენ თავიანთ ქვეყნებს საერთაშორისო კონფერენციებზე ფულის გათეთრების საკითხის შესახებ და სემინარებზე. ეს შესაძლებელი გახდა არაფორმალური კონგრეგაციების მეოხებით, რომლებიც ფინანსური დაზვერვების წარმომადგენელთა შორის დამკვიდრდა ფაგფ-ის სხვადასხვა ორგანოებში.

თუმცა, ფინანსური დაზვერვები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სიდიდით, სტრუქტურითა და პასუხისმგებლობით, მათ ყველა საერთო მიზანი აქვთ ფულის წმენდის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამიგომ ეგმონგის ჯგუფის მიზანია, ეძებოს და განავითაროს ჯგუფის მონაწილეებს შორის უფრო ეფექტიანი პრაქტიკული თანამშრომლობის გზები, მეტადრე, ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარების დარგში. ამ და სხვა საკითხების კვლევა პრიორიტეტულად ცნეს ეგმონგის ჯგუფის პარიზის (1995 წლის 30 ნოემბრის) მეორე, შემდეგ კი სან-ფრანცისკოს (1996 წლის 22-23 აპრილის) მესამე თათბირზე სამუშაო ორგანოებმა, რომლებიც ბრიუსელის დახურულ პირველდაწყებით კონფერენციაზე ჩამოყალიბდა. ამ სამუშაო ჯგუფებმა გაამახვილეს ყურადღება სამ დარგზე: სამართალზე, ტექნოლოგიასა და სწავლებებზე.

ეგმონგის ჯგუფის მეოთხე თათბირი მიმდინარეობდა 1996 წლის 21-22 ნოემბერს რომში, 30-ზე მეტმა ქვეყანამ მოაუღინა წარმომადგენლები ამ თათბირზე, ოთხთა საერთაშორისო ორგანიზაციასთან ერთად. ეგმონგის ჯგუფმა გადადგა ნაბიჯი წინ, რათა გამსდარიყო ძირითადი დაწესებულება, რომელიც წარმართავდა თანამშრომლობას ფინანსურ დაზვერვებს შორის. ჯგუფი იკვლევდა სხვადასხვა ფინანსური დაზვერვისა და მსგავსი სააგენტოების ფუნქციებს, რათა გამოეველინა მათი შე-

მაკაეშირებელი საერთო ნიშნები.

შემუშავდა ფინანსური დაზვერვის გოგადი განსაზღვრება, სახელდობრ: ცენტრალური ეროვნული სააგენტო, რომელიც პასუხს აგებს იმ გახსნილი ფინანსური ინფორმაციის მიღების (რამდენადაც ეს ნებადართული და მოთხოვნილია), ანალიზისა და კომპიუტერული ორგანოებს შორის გავრცელებისათვის, რომელიც ეხება ექვემიგანილ დანაშაულებრივ შემოსავალს ან გამოთხოვილია ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, რათა წინააღმდეგეს ფულის წმენდას.

ფინანსური დაზვერვის განსასაზღვრავად ერთ-ერთი მიზანი იყო მისი გამოყოფა სხვა კომპონენტებისაგან, რომლებიც გამოიყენება წმენდის საწინააღმდეგო ბრძოლაში. ეს განსაზღვრება გვეხმარება გავიგოთ ის არსებითი განსხვავება, რომლითაც გამოირჩევა ევმონგის ჯგუფი ფაგფისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან, რომლებსაც საქმე აქვთ ფულის გათეთრებასთან, არის საკმაოდ სპეციფიკური, რათა გაემიჯნოთ ეს სააგენტო და სხვა სახელმწიფო ორგანოები, აგრეთვე საკმაოდ გოგადი დეფინიცია, რომელიც მოიცავს ამ დაწესებულების მომცველ მრავალ ვარიანტს. განსაზღვრების შემუშავებისას ევმონგის ჯგუფი ცდილობდა, თავიდან აეცილებინა რომელიმე ტიპის სტრუქტურების (მაგალითად, პოლიციის, სამართალდამცველი ადმინისტრაციული ან სარეგულაციო ორგანოების) ხაზგასმით წარმოჩენა. მას შემდეგ, რაც ევმონგის ჯგუფმა მიიღო ასეთი დეფინიცია, იგი იქცა სტანდარტად, რომელიც გამოიყენება ახლად შექმნილი დაწესებულებისათვის.

ევმონგის ჯგუფის მეხუთე თათბირი მიმდინარეობდა 1997 წლის 23-24 ივნისს მადრიდში. თათბირში მონაწილეობა მიიღო 35 სახელმწიფომ და 5 საერთაშორისო ორგანიზაციამ. ევმონგის ჯგუფმა გადადგა დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯები სხვადასხვა დარგში. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია ჯგუფის მიერ მიღებული განცხადება მიზნის შესახებ – ლოკუმენტი, რომელშიც აღწერილია გაწეული მუშაობა, აგრეთვე მიმდინარე მიზნები ფულის წმენდის წინააღმდეგ ეროვნული და საერთაშორისო ძალისხმევის ფარგლებში. რომში მიღებული დე-

ფინიციამ გამოიყენეს თათბირის მონაწილე ყველა სააგენტოს მიმართ, 28 მათგანი მის შესაბამისად ცნეს და ეს ღუფინიციამ ინკორპორირებულ იქნა მიზნის განცხადებაში.

თათბირზე და თათბირის შემდეგ დაიწყო ეგმონგის ჯგუფის პერსონალის სწავლების ყოველმხრივი პროგრამის ჩამოყალიბება.

და ბოლოს, ეგმონგის ჯგუფმა გადაწყვიტა შეესწავლა ფინანსურ დაზვერვებს შორის ინფორმაციის გაცვლის სრულყოფის გზები და საბოლოოდ, შეექმნა უფრო ფორმალიზებული სტრუქტურა თვით ჯგუფისათვის.

ეგმონგის ჯგუფის შექმნის პლენარული თათბირი მიმდინარეობდა 1998 წლის 30 ივნისს-1 ივლისს ბუენოს-აირესში. თათბირის დამთავრების შემდეგ გაიმართა ფინანსურ დაზვერვათა მეთაურების სხდომა, ჯგუფმა გამოიტანა დასკვნა, რომ 10 კანდიდატი შესაბამეობა ეგმონგის ჯგუფის ღუფინიციას. პლენარული სხდომის დროს ეგმონგის ჯგუფი დაეთანხმა, ჩამოეყალიბებინა მეოთხე სამუშაო ჯგუფი (საგარეო ურთიერთობისა), რომლის საქმიანობაც დაუკავშირდებოდა ფინანსურ დაზვერვათა განვითარების ადრეულ სტადიებს. ასევე განიხილეს აღმასრულებელი სამდივნოს შექმნისა და ფინანსურ დაზვერვებს შორის ფინანსური ინფორმაციის გაცვლისათვის სტანდარტული წესების დადგენის საკითხები და სამუშაო ჯგუფებს დაევალებათ საკითხის შემდგომი შესწავლა.

ეგმონგის ჯგუფის მეშვიდე პლენარული თათბირი მიმდინარეობდა 1999 წლის 26-28 მაისს ბრაგისლავაში. სახელმწიფოების მეთაურთა მეორე სხდომის დროს ათი კანდიდატი მიიღეს ეგმონგის ჯგუფში. გადაწყდა აგრეთვე, რომ ტექნოლოგიური სამუშაო ჯგუფი შეერწყმის სასწავლო სამუშაო ჯგუფს და დაერქმევა ახალი სახელი – სასწავლო საკომუნიკაციო სამუშაო ჯგუფი.

მერვე პლენარული თათბირი 2000 წლის 14-17 მარტს მოეწყო პანამაში. განხილულ უმნიშვნელოვანეს საკითხებს შორის, იყო სასწავლო გეგმის განერცობა-განვითარება ფინანსური დაზვერვისათვის.

ფინანსურ დაზვერვათა მეთაურების მუხვედრის დროს წვერებმა მიიღეს ფინანსურ დაზვერვათა წვერობის ხუთი კანდი-

დაგი ეგმონგის ჯგუფში და გაერთიანების წევრთა რიცხვმა 53-ს მიაღწია.

2001 წლის 14 და 15 ივნისს პლენარული თათბირი გაიმართა ქაავაში. ამ თათბირის დროს ეგმონგის ჯგუფის წევრებმა მიიღეს მიზნის განცხადების დამატება და დანართი. ამ დანართს ეწოდა “ფულის წმენდის შემთხვევებისათვის ფინანსურ დაზვერვებს შორის ინფორმაციის გაცვლის პრინციპები”.

ამჟამად ეგმონგის ჯგუფი 69 ქვეყნის ფინანსურ დაზვერვებს აერთიანებს.

მიზნის განცხადებაში აღნიშნულია თითოეული ფინანსური დაზვერვის უფლება, ითანამშრომლოს დამატებითი პირობებით, რისი მოთხოვნაც შეესაბამება ეროვნულ კანონმდებლობას.

ფინანსურმა დაზვერვებმა დათქვეს შემდეგი პრიორიტეტული მიზნები:

- შესაბამის ვალდებულებათა განსაზღვრა, რომლებიც საჭიროა მონაწილის სტატუსის მისაღებად, ფინანსური დაზვერვის გემოაღნიშნული დეფინიციის მიხედვით;

- დახმარება მთავრობებთან ფინანსური დაზვერვების ორგანიზაციაში;

- ინფორმაციის გაცვლა ურთიერთდახმარებისას ან შეთანხმების საფუძველზე;

- იმ ვებ-საიტის მისაწვდომობა, რომელსაც უზრუნველყოფს ორგანიზაცია “ეგმონგი” ყველა ფინანსური დაზვერვისათვის;

- სწავლების პროგრამების განვითარება, რეგიონული სემინარების ორგანიზაცია და პერსონალის გაცვლა;

- ეგმონგის ჯგუფის მართვის უწყვეტობის შენარჩუნება, პლენარული სხდომების რეგულარობისა და მოწყობის ადგილის დაგეგმვა;

- იმ პროცედურის დანერგვა, რომლის მეშვეობითაც შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილებანი იმის შესახებ, თუ რამდენად შეესაბამება ზოგიერთი სააგენტო განსაზღვრებას “ფინანსური დაზვერვა”;

- დამატებითი სამუშაო ქვეჯგუფების შექმნა;

- მასალების მომზადება პრემენგაციებზე და ჯგუფებში გამოსაყენებლად.

სამუშაო სამართლებრივმა ჯგუფმა შეიმუშავა სპეციალური პროცედურა ამა თუ იმ ორგანიზაციის ფინანსურ დაზვერვად ცნობისა.

იმის კვალობაზე, თუ როგორ ხდება სპეციალური ჯგუფისათვის ცნობილი ფულის წმენდისადმი წინააღდგომის ეროვნული ორგანოს საქმიანობა, რომელიც შეესაბამება გემოაღნიშნულ დეფინიციას, იგი მიიღებს ადეკვატურ საიდენტიფიკაციო ინფორმაციას, ეროვნული ფინანსური დაზვერვის სახელწოდებას და მისამართს, საკონტაქტო პირი – როგორც წესი, ეს არის ორგანიზაციის მეთაური, და კანონმდებლობა, რომელიც ორგანიზაციულ სტრუქტურას და ფულის წმენდას განეკუთვნება.

საგარეო ურთიერთობის სამუშაო ჯგუფი, მისი წევრები იღებენ გადაწყვეტილებას, რათა ინფორმაცია გაუგზავნონ სამართლებრივი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარეს, რომელიც თავის მხრივ, იღებს გადაწყვეტილებას პოტენციურ ფინანსურ დაზვერვაში წერილის გაგზავნის შესახებ. წერილი შეიცავს მიზნის განცხადების ასლს, მოკლე ინფორმაციას ეგმონგის ჯგუფის შესახებ და კითხვარს. ორგანიზაციის ხელმძღვანელს ასევე სთავაზობენ, უპასუხოს იმ კითხვებს, თუ რამდენად შეესაბამება მოცემული დაზვერვა მიზნის განცხადებაში წარმოდგენილს და რამდენად არის დაინტერესებული იმით, რომ მოცემული ჯგუფის წევრი გახდეს. დადებითი პასუხის მიღების შემთხვევაში მოცემული ორგანიზაციის ხელმძღვანელს სთხოვენ, წარუდგინოს შეესებული კითხვარი და სხვა დოკუმენტაცია სამართლებრივ სამუშაო ჯგუფს. კითხვარი გამოიყენება როგორც ამ პროცედურის, ისე უკვე აღიარებული ფინანსური დაზვერვის მიმდინარე ინფორმაციის შეგროვებისათვის. კითხვარის ასლები არის ეგმონგის ჯგუფის უსაფრთხო ქსელში.

სამართლებრივი სამუშაო ჯგუფი ასრულებს სპონსორის როლს ფინანსური დაზვერვის მონაწილეობის კანდიდატისათვის. “სპონსორის” მოვალეობებში შედის კანდიდატის გარკვეული ხელმძღვანელობა და მისი სახელით გამოსვლა სამუშაო ჯგუფის სხდომების დროს. შესაბამის ფორმალობათა შესრულების შემდეგ სამართლებრივი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე

რეს შეაქვს კანდიდატის საკითხი სამუშაო ჯგუფის მომდევნო სხდომაზე განხილვის დღის წესრიგში.

თუ სამართლებრივი სამუშაო ჯგუფი გამოიგანს დასკვნას, რომ კანდიდატი ნამდვილად შეეფერება დადგენილ დეფინიციას, იგი რეკომენდაციას აძლევს ფინანსურ დაზვერვათა მეთაურებს, მიიღონ იგი წევრად. მომდევნო პლენარულ სხდომაზე დაზვერვათა მეთაურებს გამოაქვთ საბოლოო გადაწყვეტილება, შეესაბამება თუ არა მოცემული კანდიდატი დადგენილ დეფინიციას.

შიდა ადმინისტრაციული საკითხების გარდა, ეგმონტის ჯგუფის ძირითადი ამოცანა 2002-2003 წლებში იყო ფინანსურ დაზვერვათა განვითარება მსოფლიოს წამყვან ინდუსტრიულ ქვეყნებში, სადაც ისინი არ არის. ჯგუფმა ყურადღება გაამახვილა ინფორმაციის გაცვლის საკითხზე.

ფინანსური დაზვერვების სპეციალიზებული ხასიათის მიუხედავად, ღღემდე ხდება ხოლმე გაუგებრობა და აღრევა ფინანსურ დაზვერვებსა და სხვა ოფიციალურ ორგანიზაციებს შორის, როგორც ჩანს, მათი მსგავსი უფლებამოსილებების გამო. მაგალითად, პოლიციურ დაწესებულებებს, რომლებიც ფინანსური “თეთრსაყელოიანთა” ჩადენილი დანაშაულობების, მათ შორის, ფულის წმენდის ოპერაციების გამოძიების მიზნით შეიქმნა. ძალზე ხშირად აიგივებენ ფინანსური გამოძიების დაწესებულებებთან „ფინანსური დაზვერვის“ აკრონიმით. ეს დაწესებულებანი, უდავოდ, ასრულებენ დიდმნიშვნელოვან როლს თავიანთ ქვეყნებში საყოველთაო წინააღმდეგობაში ანტიგამწმენდი საქმიანობისადმი. მაგრამ ისეთი დახასიათება, როგორიც არის “ფინანსური დაზვერვა”, ყოველთვის როდი ნიშნავს, რომ ეს დაწესებულებანი ეგმონტის ჯგუფის მიერ განსაზღვრულ ფუნქციებს ასრულებენ.

ფინანსური დაზვერვა არის ცენტრალური დაწესებულება, რომელიც გარკვეული გზით ავლენს ფინანსურ ინფორმაციას და წარუდგენს შესაბამის სამთავრობო ორგანოს, რათა მხარი დაუჭიროს ეროვნულ ბრძოლას ფულის წმენდის წინააღმდეგ. თუმცა დეფინიცია ადგენს, რომ ფინანსური დაზვერვების მიერ გაწეული საქმიანობა მოიცავს ინფორმაციის მიღებას,

ანალიზს და განხილვას, ეს არ გამოირიცხავს მეორე საქმიანობას, რომელიც ასევე შეიძლება შესრულდეს.

მაშასადამე, ფინანსურ დაზვერვას შეუძლია სავარაუდოდ შეასრულოს დეფინიციაში მოხსენებული საქმიანობა, აგრეთვე აწარმოოს გამოძიება და /ან ღეენა გახსნაში მითითებული დარღვევებისა.

რაც შეეხება სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას, ეკმონგის ჯგუფს ყველაზე მჭიდრო ურთიერთობა ჩამოუყალიბდა ფაგფ-თან. 2002 წლის თებერვლიდან ჯგუფს ამ უკანასკნელში მეთვალყურეობის სტატუსი აქვს. 2002 წელს ფაგფ-მა მოამზადა ინსტრუქცია ფინანსური ინსტიტუტებისათვის გერიგორიული ფინანსური საქმიანობის გამოსავლენად. მოცემული დოკუმენტის მომზადებისას ფართოდ იქნა გამოყენებული ეკმონგის ფინანსური დაზვერვების ჯგუფის მასალები.

ასეთი ინსტრუქციის მიზანია, გამოირიცხოს ფინანსური დაწესებულებების მიერ გერორისგთა სახსრების წინასწარ-განუმზრახველი დაფარვა და ასეთი სახსრების მოძრაობა. ამის შედეგად, ფინანსურ დაწესებულებებს შეეძლება, დაიცვან თავი ამ საქმიანობაში სხვათა მიერ გამოყენებისაგან და მიიღებენ საჭირო ინფორმაციას და ცოდნას იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლიათ გერორისგებსა და გერორიზმის მხარდამჭერთ მოიხმარონ ფინანსური სისგემა თავიანთი მიზნებისათვის.

მოვიყვანთ მაგალითს, სადაც ფიგურირებს ერთ-ერთი ეროვნული ფინანსური დაზვერვა, რომელიც ეკმონგის ჯგუფში შედის. მაგალითი ეხება მოქალაქის ანგარიშთან დაკავშირებულ საქმიანობას და შეგანას გაეროს მიერ შედგენილ სიაში, რომელიც ცხადყოფს შესაძლო კავშირს გერორისგულ საქმიანობასთან.

მოქალაქე ცხოვრობდა მეზობელ ქვეყანაში, მაგრამ ჰქონდა დეპოზიტი ანგარიში მოთხოვნამდე და შემნახველი ანგარიში „ნ“ ქვეყანაში. ანგარიშის მომსახურე ბანკმა მიაქცია ყურადღება ანგარიშებიდან ფინანსური რესურსების თანდათან მოხსნას 2001 წლის აპრილის ბოლოდან და გადაწყვიტა განეხორციელებინა ანგარიშების მონიგორინგი უფრო საგულ-

დაგულოდ. შემდგომში ბანკს კიდევ უფრო მეტად გაუძლიერდა ეჭვები, როდესაც ანგარიშის მფლობელის სახელის იდენტიფიკაციის სახელი გაჩნდა ფიზიკურ და იურიდიულ პირთა კონსოლიდირებულ სიაში, გაეროს უშიშროების საბჭოს ავღანეთის საკითხთა კომიტეტმა რომ გამოეშვა. ბანკმა დაუყოვნებლივ აცნობა ეს ფინანსურ დაზვერვას. ამ უკანასკნელმა გააანალიზა მოქალაქის ანგარიშთან დაკავშირებული ფინანსების მოძრაობა, გამოიყენა რა ბანკისაგან გამოთხოვილი მონაცემები, აღმოჩნდა, რომ ორივე ანგარიში მოქალაქეს 1990 წელს პქონდა გახსნილი და ეჭვები, ძირითადად, იმან გამოიწვია, რომ ანგარიში ივსებოდა ნაღდი ფულის ანაბრებით. 2000 წლის მარტში მოქალაქემ მნიშვნელოვანი თანხა გადარიცხა თავისი შემნახველი ანგარიშიდან თავისივე საჩუკო ანგარიშზე. ეს ფონდები მოხმარდა სიცოცხლის დაზღვევის ერთდროული პოლისის ღირებულების გასტუმრებას და დეპოზიტური სერტიფიკატის შექმნას.

2001 წლის აპრილის შუა რიცხვებში მოქალაქემ განახორციელა რამდენიმე მსხვილი გადარიცხვა თავისი შემნახველი ანგარიშიდან დეპოზიტურ ანგარიშზე. ეს ფინანსური რესურსები გადარიცხულ იქნა საზღვარგარეთ მოქალაქეებისა და კომპანიებისათვის, რომლებიც მეზობელ ქვეყნებსა და სხვა რეგიონებში იყო განლაგებული.

2001 წლის მაის-ივნისში მოქალაქემ გაყიდა ცოცხალი ხანით ადრე შეძენილი სერტიფიკატი, შემდეგ კი ფულადი სახსრები გადარიცხა აზიაში განლაგებული კომპანიებისა და იმ კომპანიის ანგარიშებზე, რომელიც თავისი წარმოშობის ქვეყანაში იმყოფებოდა. მოქალაქემ ასევე გაანაღდა სიცოცხლის დაზღვევის პოლისი ვადის გასვლის თარიღის წინ და მისი ღირებულება გადარიცხა თავისი წარმოშობის ქვეყნის ბანკის ანგარიშებზე. უკანასკნელი ოპერაცია შესრულდა 2001 წლის 30 აგვისტოს. ე.ი. სულ ცოცხალი ხანით ადრე 2001 წლის 11 სექტემბრის ამბებამდე, როცა გეროროისტული აქტები მოხდა შეერთებულ შტატებში. ფულადი გზავნილების მიმღებ კომპანიათაგან ბევრი გაჩნდა ფინანსური დაზვერვის ფაილზე. ამ შემთხვევის გამოძიება ჯერ არ დასრულებულა.

ღასკვნა

თანამედროვე საერთაშორისო საჯარო სამართალი ძირითადად არეგულირებს სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ურთიერთობებს და ემსახურება ამ სუბიექტებს შორის კონფლიქტების გადაწყვეტას. საერთაშორისო საჯარო სამართალი კონკრეტულ ადამიანს კარგ ხანს აღიქვამდა მხოლოდ როგორც ნაწილს თავისი სახელმწიფოს ხალხისა. მე-19 საუკუნის შუა ხანებში საერთაშორისო-სამართლებრივ რეგულირებაში გაჩნდა ჰუმანისტურ ღირებულებათა ცნება და პირველად დაეთმო ყურადღება ადამიანს. გადამწყვეტი გარღვევა მიღწეულ იქნა მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ: ყოველი ადამიანი გახდა საერთაშორისო უფლებების უშუალო შემცველი და სულ ცოცხა ხნის წინ – საერთაშორისო მოვალეობათა ადრესატი: ეს ეხება სასჯელს ქმედობისათვის, რომელიც არღვევს საერთაშორისო საჯარო სამართლის ნორმებს. ნებისმიერ შემთხვევაში იგულისხმება მძლავრი სახელმწიფო აპარატი, რომელმაც უნდა დაიცვას ადამიანის უფლებები და არ დაანებოს ინდივიდუმს, ბოროტად გამოიყენოს მინიჭებული უფლებები. გერორისტულმა აქტებმა ნათლად ცხადყვეს, რომ მარტოოდენ სახელმწიფოს როდი აქვს ძალაუფლება. გექნიკური პროგრესითა და გლობალიზაციით მოცულმა მსოფლიომ ცალკეული ადამიანები და კერძო ორგანიზაციები აღჭურვა დაშინებისა და ძალის გამოყენების კოლოსალური პოტენციური შესაძლებლობებით.

აქტუალურად დგება კითხვა: იპოვის საერთაშორისო საჯარო სამართალი ეფექტიან სამართლებრივ ინსტრუმენტებს მოცემული პირობების გადაჭრისათვის?

საერთაშორისო კონვენცია ტერორიზმის დაზინანსების აღკვეთის შესახებ

მიღებულია გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1999
წლის 9 დეკემბრის რეზოლუციით.

პრეამბულა

ამ კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოები

ითვალისწინებენ რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიას საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნების, სახელმწიფოთა შორის კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის ხელშეწყობის შესახებ, უკიდურესად შეშფოთებული არიან ყველა ფორმისა და სახის ტერორიზმის აქტების ესკალაციით მთელ მსოფლიოში, იცავენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორმოცდაათი წლისთავის აღსანიშნავ იუბილეზე მიღებულ დეკლარაციას, რომელიც მედის გენერალური ასამბლეის 1995 წლის 24 ოქტომბრის № 50/6 რეზოლუციაში, აგრეთვე იცავენ, გენერალური ასამბლეის ყველა შესაბამის რეზოლუციას, მათ შორის, 1994 წლის 9 დეკემბრის რეზოლუციას და მის დანართს საერთაშორისო ტერორიზმის აღმოსაფხვრელი ღონისძიებების შესახებ დეკლარაციაზე, რომლითაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრმა ქვეყნებმა საბეიშოდ დაადასტურეს, რომ ერთმნიშვნელოვნად გმობენ ტერორიზმის ყველა აქტს, მეთოდსა და პრაქტიკას, მიაჩნიათ ისინი დანაშაულებრივ და სრულიად გაუმართლებელ ქმედებად, მიუხედავად იმისა, სად და ვის მიერაა ჩადენილი ის, მათ შორის იმ აქტებს, რომლებიც საფრთხეს უქმნიან მეგობრულ ურთიერთობას ქვეყნებს და ხალხებს შორის, ემუქრებიან სახელმწიფოთა ერთიანობას და უშიშროებას.

აღნიშნავენ, რომ საერთაშორისო ტერორიზმის აღმოფხვრის შესახებ დეკლარაციამ სტიმული მისცა სახელმწიფოებს,

რათა სასწრაფოდ გადახედონ არსებულ საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს გეროორიზმის ყველა ფორმისა და გამოვლინების თავიდან აცილების, აღკვეთისა და აღმოფხვრის შესახებ, იმ მიზნით, რომ ამ საკითხის ყველა ასპექტის შესაბამისად შეიქმნას ყოვლისმომცველი სამართლებრივი სისტემა, იცავენ გენერალური ასამბლეის 1996 წლის 17 დეკემბრის № 51/210 რეზოლუციის მე-3 პუნქტის (ე) ქვეპუნქტს, რომლითაც ასამბლეამ მოუწოდა ყველა სახელმწიფოს განახორციელოს ღონისძიებანი, კერძოდ სათანადო შიდა ღონისძიებანი, გეროორისტებისა და გეროორისტული ორგანიზაციების დაფინანსების თავიდან ასაცილებლად და მის საწინააღმდეგოდ. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს პირდაპირი გზით ხდება ეს დაფინანსება, თუ ორგანიზაციების საშუალებით, რომლებსაც აქვთ ან აცხადებენ, რომ აქვთ საქველმოქმედო, სოციალური ან კულტურული მიზნები, ან რომლებიც თავად არიან ჩაბმული არალეგალურ საქმიანობაში, როგორც არის იარაღით არალეგალური ვაჭრობა, ნარკოტიკების გაყიდვა და რეკეტი, სხვა პირთა ექსპლუატაცია გეროორისტული საქმიანობის დაფინანსების მიზნით. სადაც საჭიროა უნდა განხორციელდეს მარეგულირებელი ღონისძიებანი გეროორისტული მიზნებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების შესაჩერებლად, რამაც არ უნდა შეაფერხოს ლეგალური კაპიტალის თავისუფალი მოძრაობა და ინტენსიური სახე მიეცეს ინფორმაციის გაცვლას ამგვარი ფულადი სახსრების საერთაშორისო მოძრაობის შესახებ.

იცავენ, აგრეთვე, გენერალური ასამბლეის 1997 წლის 15 დეკემბრის № 52/165 რეზოლუციას, რომლითაც ასამბლეა, კერძოდ, მოუწოდებს სახელმწიფოებს განიხილონ იმ ღონისძიებათა შესაძლებლობა, რომლებიც დაფიქსირებულია მისი 1996 წლის 17 დეკემბრის № 51/210 რეზოლუციის 3 (ა)-დან (ე) პუნქტამდე.

იცავენ, აგრეთვე, გენერალური ასამბლეის 1998 წლის 8 დეკემბრის № 53/108 რეზოლუციას, რომლითაც ასამბლეამ მიიღო გადაწყვეტილება გენერალური ასამბლეის 1996 წლის 17 დეკემბრის რეზოლუციის საფუძველზე შექმნილ საგანგებო კომიტეტს შეემუშავებინა საერთაშორისო კონვენციის პროექტი,

გერორისტების დაფინანსების აღკვეთის შესახებ, რომელიც შეაქვებდა ამასთან დაკავშირებულ საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს.

ითვალისწინებენ, რომ გერორიზმის დაფინანსება მთელი საერთაშორისო საზოგადოებრიობის სერიოზულ შეშფოთებას იწვევს.

აღნიშნავენ, რომ საერთაშორისო გერორიზმის აქტების რაოდენობა და მათი სიძლიერე დამოკიდებულია იმ დაფინანსებაზე, რასაც გერორისტები მოიპოვებენ.

აღნიშნავენ აგრეთვე, რომ არსებული მრავალმხრივი სამართლებრივი აქტები სათანადოდ ვერ არეგულირებს ამგვარ დაფინანსებას.

დარწმუნებული არიან, რომ არსებობს აუცილებლობა განმტკიცდეს სახელმწიფოებს შორის საერთაშორისო თანამშრომლობა, რათა დაისახოს და განხორციელდეს ქმედითი ღონისძიებანი გერორიზმის დაფინანსების თავიდან ასაცილებლად, ასევე მის აღსაკვეთად ამგვარი აქტების ჩამდენთა სამართალში მიცემისა და დასჯის გზით.

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

მოცემული კონვენციის მიზნებისათვის:

1. “ფონდები” ნიშნავს ყველა სახის და ნებისმიერი გზით მოპოვებულ, მაგერიალურ და არამაგერიალურ, მოძრავ და უძრავ აქტივებს, და ნებისმიერი ფორმის იურიდიულ დოკუმენტს, მათ შორის ელექტრონულსა და ციფრულს, რომელიც ამგვარ აქტივებზე საკუთრების უფლებას ან მათში წილობრივ მონაწილეობას მოწმობს, რაც მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) საბანკო კრედიტებს, სამგზავრო ჩეკებს, საბანკო ჩეკებს, ფულად გზავნილებებს, აქციებს, ფასიან ქაღალდებს, ობლიგაციებს, ტრატებს, აკრედიტივებს.

2. “სახელმწიფო ან სამთავრობო შენობა” ნიშნავს ნებისმიერ მუდმივ ან დროებით შენობას ან საგრანსპორტო საშუალებას, რომელიც გამოიყენება ან დაკავებულია სახელმწიფოს

წარმომადგენლების, მთავრობის წევრების, საკანონმდებლო ხელისუფლების ან სასამართლოს წევრების, თანამდებობის პირების მიერ, ან სახელმწიფო ან ხელისუფლების სხვა ორგანოების მოხელეების თუ სამთავრობათაშორისო ორგანიზაციების თანამდებობის პირების მიერ, თავიანთ ოფიციალურ მოვალეობებთან დაკავშირებით.

3. “შემოსავალი” ნიშნავს ნებისმიერ ფონდს წარმოებულს, ან მოპოვებულს, პირდაპირ ან არაპირდაპირ, მე-2-ით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის გზით.

მუხლი 2

1. წინამდებარე კონვენციის თანახმად ნებისმიერი პირის მიერ დანაშაული ჩადენილად ითვლება, თუ ეს პირი რაიმე გზით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, უკანონოდ და საკუთარი ნებით, უზრუნველყოფს ან ავროვებს ფონდებს იმ განზრახვით, რომ მათ გამოიყენებენ, ან იცის, რომ მათ მთლიანად ან ნაწილობრივ გამოიყენებენ, რათა განახორციელონ:

ა) აქტი, რომელიც წარმოადგენს დანართში ჩამოთვლილი რომელიმე შეთანხმებით გათვალისწინებულ დანაშაულს; ან

ბ) ნებისმიერი სხვა აქტი, რომელიც გამოიწვევს მშვიდობიანი მოქალაქის ან სხვა ნებისმიერი პირის დალუქვას, ან სხეულის სერიოზულ დაზიანებას, რომელიც შეიარაღებული კონფლიქტის დროს აქტიურ მონაწილეობას არ იღებს საომარ მოქმედებებში, თუკი ამგვარი აქტი თავისი ხასიათით, ან კონტექსტით, მიზნად ისახავს მოსახლეობის დაზიანებას, ან მთავრობის ან საერთაშორისო ორგანიზაციის იძულებას, რომ მათ ჩაადენინოს ან არ ჩაადენინოს რაიმე ქმედება.

2 ა) სარაგირთმის სიგელების შენახვის, მიღების, დამტკიცების ან ხელშეკრულებასთან შეერთების დროს სახელმწიფოს, რომელიც არ წარმოადგენს დანართში ჩამოთვლილი შეთანხმებების მონაწილე მხარეს, შეუძლია განაცხადოს, რომ წინამდებარე კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს მიმართ გამოყენების დროს ეს შეთანხმება არ უნდა მიიჩნიონ იმ დანართში ჩართულად, რომელიც ნახსენებია პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტში. დეკლარაცია კარგავს თავის ძალას, როგორც

კი ეს სახელმწიფო შეუერთდება შეთანხმებას და აცნობებს ამ ფაქტის შესახებ ნდობით აღჭურვილ პირს;

ბ) როდესაც შეთანხმების მონაწილე სახელმწიფო წყვეტს დანართში ჩამოთვლილ შეთანხმებაში მონაწილეობას, მას შეუძლია გააკეთოს შესაბამისი განცხადება, როგორც ეს ამ შეთანხმებასთან მიმართებაში არის გათვალისწინებული წინამდებარე მუხლით.

3. ქმედებისათვის, რომელიც 1-ლი პუნქტის თანახმად დანაშაულს წარმოადგენს, აუცილებელი არ არის ფონდები ფაქტობრივად იყოს გამოყენებული იმ დანაშაულის ჩასაღენად, რომელიც ნახსენებია 1-ლ პუნქტსა და ა) და ბ) ქვეპუნქტებში.

4. ნებისმიერი პირის მიერ დანაშაული ჩადენილად ითვლება, თუ ის ცდილობს ჩაიდინოს დანაშაული, როგორც ეს ჩამოყალიბებულია წინამდებარე მუხლის 1-ლ პუნქტში.

5. ნებისმიერი პირის მიერ დანაშაული ჩადენილად ითვლება, თუ ეს პირი:

ა) არის დანაშაულის თანამონაწილე, როგორც ეს ჩამოყალიბებულია წინამდებარე მუხლის 1-ლ ან მე-4 პუნქტებში;

ბ) ახდენს დანაშაულის ორგანიზებას ან ხელმძღვანელობს მას, როგორც ეს ჩამოყალიბებულია წინამდებარე მუხლის 1-ლ ან მე-4 პუნქტებში;

გ) წვლილი შეაქვს ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩადენაში ერთი მიზნით გაერთიანებული ხალხის ჯგუფის სამუალებით, როგორც ეს ჩამოყალიბებულია წინამდებარე მუხლის 1-ლ ან მე-4 პუნქტებში. ამგვარი წვლილის შეტანას წინასწარ განზრახული ხასიათი უნდა ჰქონდეს და:

I. მიზნად ისახავდეს ჯგუფის დანაშაულებრივი საქმიანობის ან დანაშაულებრივი მიზნის ხელშეწყობას, თუკი ამგვარი საქმიანობა ან მიზანი გულისხმობს დანაშაულის ჩადენას, როგორც ეს ჩამოყალიბებულია წინამდებარე მუხლის 1-ლ პუნქტში; ან

II. წვლილი შეაქვს, როცა იცის, რომ ჯგუფი მიზნად ისახავს დანაშაულის ჩადენას, როგორც ეს ჩამოყალიბებულია წინამდებარე მუხლის 1-ლ პუნქტში;

მუხლი 3

ეს კონვენცია არ ითვალისწინებს შემთხვევას, როცა დანაშაული ერთ სახელმწიფოშია ჩადენილი, დანაშაულის საეარაულო ჩამდენი ამ სახელმწიფოს მოქალაქეა და იმყოფება მის გერიგორიაზე და სხვა არც ერთ სახელმწიფოს არ გააჩნია საფუძველი მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის, ან მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად განახორციელოს იურისდიქცია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გამოიყენება მე-12 და მე-18 მუხლების დებულებები.

მუხლი 4

კონვენციის მონაწილე თითოეული სახელმწიფო განახორციელებს საჭირო ღონისძიებებს, რათა:

ა) ამ ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად აღიაროს სისხლის სამართლის დანაშაულად მე-2 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულობანი;

ბ) მიუსადაგოს ამგვარ დანაშაულობებს შესაბამისი სასჯელი, რომლითაც გათვალისწინებული იქნება მათი სერიოზული ხასიათი.

მუხლი 5

1. კონვენციის მონაწილე თითოეული სახელმწიფო, ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, განახორციელებს ღონისძიებებს, რათა თავის გერიგორიაზე განლაგებულ იურიდიულ პირებს, ან ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებულ იურიდიულ პირებს დააკისროს პასუხისმგებლობა, თუკი ამ იურიდიული პირის ხელმძღვანელმა ან მაკონტროლებელმა ორგანომ, ამ ფუნქციის შესრულების დროს ჩაიღინა მე-2 მუხლით გათვალისწინებული დანაშაული. მსგავსი პასუხისმგებლობა ატარებს სისხლის სამართლის, სამოქალაქო ან აღმინისგრაიულ ხასიათს.

2. იურიდიულ პირებზე დაკისრებული პასუხისმგებლობა დანაშაულის ჩამდენ პირებს არ ათავისუფლებს პირადი პასუხისმგებლობისაგან.

3. კონვენციის მონაწილე თითოეული სახელმწიფო უმ-

რუნველყოფს, რომ 1-ლი პუნქტის თანახმად პასუხისმგებელი იურიდიული პირები დაექვემდებარონ სისხლის სამართლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციულ სანქციებს, რომლებიც იქნება ქმედითი, თანაზომიერი და ხელს ააღებინებს მათ დანაშაულის ჩადენაზე. ამაში შეიძლება შევიდეს ფულადი სანქციები.

მუხლი 6

კონვენციის მონაწილე თითოეული სახელმწიფო, საჭიროებისამებრ, მიიღებს ზომებს შიდა კანონმდებლობის დონეზე, რათა უზრუნველყოს, რომ წინამდებარე კონვენციის ფარგლებით გათვალისწინებულ სისხლის სამართლის აქტებს არც ერთ შემთხვევაში არ მოეძებნოს გამართლება პოლიტიკური, იდეოლოგიური, რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან სხვა მსგავსი მოსაზრებით.

მუხლი 7

1. კონვენციის მონაწილე თითოეული სახელმწიფო, საჭიროებისამებრ, მიიღებს ზომებს, რათა განახორციელოს თავისი იურისდიქცია მე-2 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულობებზე, როცა:

ა) დანაშაული ჩადენილია ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე;

ბ) დანაშაული ჩადენილია საჰაერო ხომალდზე, რომელიც მისი დროით დაფრინავს, ან თვითმფრინავში, რომელიც დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის რეგისტრირებული იყო მისი კანონების შესაბამისად;

გ) დანაშაული ჩადენილია ამ სახელმწიფოს მოქალაქის მიერ.

2. კონვენციის მონაწილე თითოეული სახელმწიფო გააერცულებს თავის იურისდიქციას ამგვარ დანაშაულზე, როდესაც:

ა) დანაშაული მიმართული იყო ან დასრულდა მე-2 მუხლით, 1-ლი მუხლის ა) ან ბ) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენით ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე ან მისი მოქალაქის წინააღმდეგ;

ბ) დანაშაული მიმართული იყო ან დასრულდა მე-2 მუხ-

ლით, 1-ლი მუხლის ა) ან ბ) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენით მისი სახელმწიფო ან სამთავრობო შენობის საზღვარგარეთ, მათ შორის ამ ქვეყნის დიპლომატიური და საკონსულო შენობების დაზიანების მიზნით;

ვ) დანაშაული მიმართული იყო ან დასრულდა მე-2 მუხლით, 1-ლი მუხლის ა) ან ბ) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული იმ დანაშაულის ჩადენით, რომელიც მიზნად ისახავს აიძულოს ეს სახელმწიფო გააკეთოს ან არ გააკეთოს რაიმე;

დ) დანაშაული ჩადენილია მოქალაქეობის არ მქონე პირის მიერ, რომელიც ცხოვრობს ამ სახელმწიფოში;

ე) დანაშაული ჩადენილია თვითმფრინავის ბორცზე, რომელსაც ექსპლუატაციას უწევს ამ სახელმწიფოს მთავრობა.

3. ამ კონვენციის რაგიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან მასთან შეერთების შემთხვევაში, კონვენციის მონაწილე თითოეული სახელმწიფო აცნობებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს მე-2 მუხლის თანახმად მის მიერ ჩამოყალიბებული იურისდიქციის შესახებ. მასში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში, კონვენციის მონაწილე თითოეული სახელმწიფო დაუყოვნებლივ შეაგყობინებს გენერალურ მდივანს ამის თაობაზე.

4. კონვენციის მონაწილე თითოეული სახელმწიფო გააგარებს აუცილებელ ღონისძიებებს მისი იურისდიქციის გასაფრცელებლად მე-2 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულებებზე, იმ პირობით, რომ სავარაუდო დამნაშავე იმყოფება მის ტერიტორიაზე და ეს სახელმწიფო არ მოახდენს ამ პიროვნების ექსტრადიციას სხვა სახელმწიფოში, რომელმაც თავისი იურისდიქცია ჩამოაყალიბა 1-ლი ან მე-2 მუხლების შესაბამისად.

5. თუკი ერთზე მეტი სახელმწიფო აცხადებს პრეტენზიას იურისდიქციის გაფრცელებაზე 1-ლი ან მე-2 მუხლის შესაბამისად განსაზღვრულ დანაშაულზე, ეს სახელმწიფოები ესწრაფვიან, რომ მოახდინონ თავიანთი მოქმედების კოორდინაცია, კერძოდ იმ ნაწილში, რომელიც ეხება სისხლისსამართლებრივ დევნას და ერთმანეთისთვის სამართლებრივი ხასიათის დახმარების გაწევის მეთოდებს.

6. საერთაშორისო სამართლის ზოგადი ნორმებისათვის

ზიანის მიუყენებლად, ეს კონვენცია არ გამოორიცხავს ნებისმიერი სისხლის სამართლებრივი იურისდიქციის გამოყენებას, რომელიც კონვენციის მონაწილე სახელმწიფომ ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შემოიღო.

მუხლი 8

1. კონვენციის მონაწილე თითოეული სახელმწიფო, საკუთარი კანონმდებლობის პრინციპების შესაბამისად, მიიღებს სათანადო ზომებს, რათა შესაძლო კონფისკაციის მიზნით გამოამქლავოს, მიაკელიოს, გაყინოს ან ყადაღა დაადოს ნებისმიერ ფონდს, რომელიც გამოიყენება ანდა გამოყოფილია მე-2 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის მიზნით, ისევე როგორც ამგვარი დანაშაულის ჩადენის შედეგად მოპოვებულ ფონდებს.

2. კონვენციის მონაწილე თითოეული სახელმწიფო, საკუთარი კანონმდებლობის პრინციპების შესაბამისად, მიიღებს სათანადო ზომებს, რათა მოახდინოს იმ ნებისმიერი ფონდის კონფისკაცია, რომელიც გამოიყენება ანდა გამოყოფილია მე-2 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის მიზნით და ამგვარი დანაშაულის ჩადენის შედეგად მოპოვებული ფონდების კონფისკაცია.

3. კონვენციის მონაწილე თითოეული სახელმწიფო განიხილავს საკითხს ხელშეკრულების დადების შესახებ კონვენციის მონაწილე სხვა სახელმწიფოებთან ამ მუხლში ნახსენები ჩამორთმეული ფონდების გაყოფის შესახებ რეგულარულად ან შემთხვევიდან შემთხვევამდე.

4. კონვენციის მონაწილე თითოეული სახელმწიფო განიხილავს შესაძლებლობას შექმნას ისეთი მექანიზმი, რომლის საშუალებითაც ამ მუხლში ნახსენები ჩამორთმეული ფონდები გამოიყენებული იქნება მე-2 მუხლში და 1-ლი მუხლის ა) ან ბ) ქვეპუნქტში გათვალისწინებული დანაშაულის მსხვერპლთათვის ან მათი ოჯახის წევრებისთვის ზარალის ანაზღაურების მიზნით.

5. ამ მუხლის დებულებები განხორციელდება იმ მესამე მხარისათვის ზიანის მიუყენებლად, რომელიც მოქმედებს კეთილსინდისიერებისა და სამართლიანობის პრინციპების თანახმად.

მუხლი 9

1. როდესაც კონვენციის მონაწილე სახელმწიფო მიიღებს ინფორმაციას, რომ მე-2 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საეარაუდოდ ჩამდენი პირი შეიძლება მის გერიგორიაზე იმყოფებოდეს, შეიმუშავებს სათანადო ზომებს, რათა თავისი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად გამოიძიოს ინფორმაციაში მითითებული ფაქტები.

2. როდესაც კონვენციის მონაწილე სახელმწიფო დარწმუნდება, რომ ამას გარემოება მოითხოვს, სახელმწიფო, რომლის გერიგორიაზეც დამნაშავე ან საეარაუდო დამნაშავე იმყოფება, განახორციელებს სათანადო ღონისძიებებს თავისი კანონმდებლობის შესაბამისად, რათა უზრუნველყოს ამ პიროვნების სასამართლოსთვის გადაცემა ან ექსტრადიცია.

3. ნებისმიერ პირს, ვის მიმართაც განხორციელდება მე-2 პარაგრაფში ნახსენები ზომები, უფლება აქვს:

ა) დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს იმ ქვეყნის უახლოეს წარმომადგენლობას, რომლის მოქალაქეც არის ან რომელიც უფლებამოსილია რამენაირად დაიცვას მისი უფლებები, ან თუ ეს პირი მოქალაქეობის არმქონე ადამიანია, იმ სახელმწიფოს, სადაც იგი ჩვეულებრივ ცხოვრობს;

ბ) შეხვდეს თავისი ქვეყნის წარმომადგენელს;

გ) მიიღოს ინფორმაცია ამ მუხლის ა) და ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული მისი უფლებების შესახებ.

4. მე-3 პუნქტში ნახსენები უფლებების რეალიზაცია უნდა მოხდეს იმ სახელმწიფოს კანონებისა და ნორმების შესაბამისად, რომლის გერიგორიაზეც დამნაშავე ან საეარაუდო დამნაშავე იმყოფება, იმ პირობით, რომ აღნიშნული კანონები და ნორმები საშუალებას იძლევიან სრულად განხორციელდეს მიზნები, რასაც ემსახურება მე-3 პუნქტით განსაზღვრული უფლებები.

5. მე-3 და მე-4 პუნქტების დებულებები უფლებას უტოვებს კონვენციის მონაწილე ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც პრეგენზიას აცხადებს იურისდიქციის მიმართ მე-7 მუხლის, 1-ლი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ან მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის თანახმად, მოიწვიოს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტე-

ტი, რომელიც დაუკავშირდება და მოინახულებს საეარაულო დამნაშავეს.

6. როდესაც კონვენციის მონაწილე სახელმწიფო წინამდებარე მუხლის თანახმად აპატიმრებს გარკვეულ პირს, მან დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს უმუხლოდ ან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სამუალებით კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს, რომლებმაც დაადგინეს იურისდიქცია მე-7 მუხლის 1-ლი ან მე-2 პუნქტების მიხედვით და თუ ისინი მიზანშეწონილად ჩათვლიან, ნებისმიერ სხვა დაინტერესებულ სახელმწიფოს ამ პირის პატიმრობაში ყოფნის ფაქტის და იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც ამ პიროვნების დაკავებას დაედო საფუძველად. სახელმწიფომ, რომელიც აწარმოებს გამოძიებას, როგორც 1-ლ პუნქტშია ჩამოყალიბებული, სასწრაფოდ უნდა შეატყობინოს მოკვლეული ფაქტების შესახებ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს და მიუთითოს, აპირებს თუ არა საკუთარი იურისდიქციის განხორციელებას.

მუხლი 10

1. კონვენციის მონაწილე სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზე იმყოფება საეარაულო დამნაშავე, მე-7 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუკი არ ახდენს ასეთი პირის ექსტრადიციას, ვალდებულია გამოწვევას ვარაუდს, იმის მიუხედავად, თუ რა დანაშაულია ჩადენილი და იყო თუ არა ეს დანაშაული ჩადენილი მის ტერიტორიაზე, დაუყოვნებლივ გადასცემს საქმეს კომპეტენტურ ორგანოებს სასამართლო პროცესის შემდგომით მართლმსაჯულების აღსრულების მიზნით, რაც ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად უნდა მოხდეს. აღნიშნული ორგანოები მიიღებენ იგივე გადაწყვეტილებას, როგორსაც ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად მიიღებდნენ მძიმე დანაშაულის შემთხვევაში.

2. ყოველთვის, როცა კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს საკუთარი ქვეყნის კანონმდებლობა უფლებას ანიჭებს მოახდინოს თავისი მოქალაქის ექსტრადიციას ან სხვაგვარი გადაცემა, იმ პირობით, რომ ამ პირს დააბრუნებენ აღნიშნულ ქვეყანაში

სასამართლო პროცესის შედეგად დაკისრებული სასჯელის მოსახდელად, რისთვისაც ექსტრადიცია და დამნაშავეის გადაცემა მოხდა. ხსენებული სახელმწიფო და ისიც, ვინც ექსტრადიციას ითხოვს, თანხმდებიან ამ და სხვა პირობებზე, რასაც საჭიროდ მიიჩნევენ, ამგვარი პირობითი ექსტრადიცია ან გადაცემა საკმარისი უნდა იყოს პირველ პუნქტში ჩამოყალიბებული ვალდებულების შესასრულებლად.

მუხლი 11

1. მე-2 მუხლში ჩამოყალიბებული დანაშაულობანი მიიჩნევა ექსტრადიციის შესახებ შეთანხმებაში შესაგან დანაშაულებად, რომელიც წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლამდე დაიღო კონვენციის მონაწილე ქვეყნებს შორის. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას, რომ ექსტრადიციის შესახებ ყველა შეთანხმებაში, რომელიც მათ შორის გაფორმდება, ამგვარ დანაშაულებს მიაკუთვნებენ იმ დანაშაულებს, რომლებიც ექსტრადიციას ექვემდებარება.

2. როდესაც კონვენციის მონაწილე სახელმწიფო, რომელიც ექსტრადიციას ახდენს იმ პირობით, რომ არსებობს შესაბამისი შეთანხმება, იღებს მოთხოვნას ექსტრადიციის შესახებ კონვენციის მონაწილე მეორე სახელმწიფოსგან, რომელთანაც არა აქვს გაფორმებული შეთანხმება ექსტრადიციის შესახებ, პირველ სახელმწიფოს საკუთარი არჩევანის თანახმად შეუძლია წინამდებარე კონვენცია იურიდიულ საფუძველად მიიჩნიოს ექსტრადიციისთვის იმ დანაშაულობებთან მიმართებაში, რომლებიც ჩამოყალიბებულია მე-2 მუხლში. ასეთ შემთხვევაში ექსტრადიცია უნდა დაექვემდებაროს პირობებს, რომლებიც გათვალისწინებულია პირველი სახელმწიფოს კანონმდებლობით.

3. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც ახდენენ ექსტრადიციას ისე, რომ მათ შორის არ არსებობს შესაბამისი შეთანხმება, აღიარებენ, რომ დანაშაულობანი, ჩამოყალიბებული მე-2 მუხლში, ექვემდებარება ექსტრადიციას იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით განსაზღვრული პირობებით, რომელსაც მოსთხოვს ექსტრადიცია.

4. თუ საჭიროა, მე-2 მუხლში ჩამოყალიბებული დანაშაულობანი კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების მიერ უნდა განიხილებოდეს როგორც ჩაღწევილად არა იმ ადგილზე, სადაც დანაშაული მოხდა, არამედ იმ ქვეყნის ტერიტორიაზეც, რომელმაც მე-7 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად განსაზღვრა თავისი იურისდიქცია.

5. ექსტრადიციის შესახებ შეთანხმებების ყველა დებულება და კონვენციის მონაწილე ქვეყნების ყველა ღონისძიება, რომელიც დაკავშირებულია მე-2 მუხლში ჩამოყალიბებულ დანაშაულობებთან უნდა შეიცვალოს იმ მოცულობით, რა მოცულობითაც ისინი შეუთავსებელია წინამდებარე კონვენციასთან.

მუხლი 12

1. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებმა დიდი დახმარება უნდა გაუწიონ ერთმანეთს სისხლისსამართლებრივ გამოძიებაში, ან ექსტრადიციის პროცედურებში მე-2 მუხლში ჩამოყალიბებულ დანაშაულობებთან მიმართებაში, რაც გულისხმობს მათ ხელთ არსებული და სასამართლო პროცესის ჩასაგარებლად საჭირო მტკიცებულებების მიწოდებას.

2. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებმა არ უნდა უარყონ კანონიერი ურთიერთდახმარების შესახებ მოთხოვნა საბანკო საიდუმლოების დაცვის მოტივით.

3. მხარემ, რომელიც ითხოვს, არ უნდა გადასცეს სხვას ან გამოიყენოს ინფორმაცია ან მტკიცებულება, მოწოდებული მხარის მიერ, რომელსაც ეს მოთხოვნა წაუყენეს, გამოძიების, მართლმსაჯულების აღსრულების ან სასამართლო პროცესის მიზნებისათვის, გარდა იმ მიზნებისა, რომლებიც აღნიშნულია თხოვნაში, თუ არ არსებობს ინფორმაციის მიწოდებული მხარის თანხმობა.

4. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს შეუძლიათ განიხილონ მექანიზმის შექმნის საკითხი, რომელიც საშუალებას მისცემს მათ გაცვალონ ინფორმაცია ან მტკიცებულებები, დაკავშირებული სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის განსაზღვრასთან მე-5 მუხლის თანახმად.

5. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ დაკისრებული ვალდებულებები 1-ლი და მე-2 პუნქტების თანახმად და ყველა შეთანხმების თუ კანონიერი ურთიერთდახმარების შესახებ დაგეგმილი ღონისძიების შესაბამისად. თუ ასეთი შეთანხმება ან ღონისძიება არ არსებობს, კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები დაეხმარებიან ერთმანეთს თავიანთი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 13

ექსტრადიციის ან ერთმანეთისათვის იურიდიული დახმარების გაწევის მიზნებისათვის მე-2 მუხლში ჩამოყალიბებული არც ერთი დანაშაული არ უნდა იყოს განხილული როგორც ფინანსური დანაშაული. შესაბამისად, კონვენციის მონაწილე სახელმწიფომ არ უნდა უარყოს მოთხოვნა ექსტრადიციის ან იურიდიული დახმარების გაწევის შესახებ მხოლოდ და მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ იგი დაკავშირებულია ფინანსურ დანაშაულთან.

მუხლი 14

ექსტრადიციის ან ერთმანეთისათვის იურიდიული დახმარების გაწევის მიზნებისათვის მე-2 მუხლში ჩამოყალიბებული არც ერთი დანაშაული არ განიხილება როგორც პოლიტიკური ან ისეთი დანაშაული, რომელიც დაკავშირებულია პოლიტიკურ დანაშაულთან ან გამოწვეულია პოლიტიკური მოტივებით. შესაბამისად ექსტრადიციის ან იურიდიული დახმარების გაწევის შესახებ მოთხოვნა, რომელიც გამოწვეულია ამგვარი დანაშაულით, არ უნდა იყოს უარყოფილი მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ის ეხება პოლიტიკურ დანაშაულს ან დანაშაულს, რომელიც დაკავშირებულია პოლიტიკურ დანაშაულთან ან გამოწვეულია პოლიტიკური მოტივებით.

მუხლი 15

ამ კონვენციის არც ერთი დებულება არ უნდა იყოს ისე გაგებული, როგორც ექსტრადიციის ან ერთმანეთისათვის იურიდიული დახმარების გაწევის ვალდებულების დაკისრება,

თუკი სახელმწიფოს, რომლის მიმართაც მოთხოვნა გაკეთდა, საკმარისი საფუძველი აქვს იფიქროს, რომ მე-2 მუხლში ჩამოყალიბებულ დანაშაულებთან დაკავშირებით ექსტრადიციის ან იურიდიული დახმარების მოთხოვნა მიმზნად ისახავს პიროვნების სისხლისსამართლებრივ დევნას ან დასჯას მისი რასის, რელიგიის, ეროვნების, ეთნიკური წარმოშობის, პოლიტიკური შეხედულებების გამო, ან ეს მოთხოვნა ზიანს მიაყენებს ამ პიროვნებას ზემოთ ჩამოთვლილი რომელიმე მიზეზის გამო.

მუხლი 16

1. ის პირი, რომელსაც აპატიმრებენ ან იხდის სასჯელს კონვენციის მონაწილე ერთი სახელმწიფოს ტერიტორიაზე და მის გადაცემას კონვენციის მონაწილე მეორე სახელმწიფო ითხოვს იდენტიფიკაციის, ჩვენების მიცემის ან სხვაგვარი სამსახურის გასაწევად, რათა მოიპოვოს მტკიცებულება გამოძიების, ან დანაშაულის სისხლისსამართლებრივი დევნის მიზნით, როგორც ეს ჩამოყალიბებულია მე-2 მუხლში, შეიძლება გადაცემული იყოს, თუკი დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

აღნიშნულ პიროვნებას მიაწოდეს სათანადო ინფორმაცია და იგი თანახმაა;

ორივე სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოები შეთანხმდნენ შესაბამის პირობებზე.

2. ამ მუხლის მიზნებისათვის:

ა) სახელმწიფო, რომელსაც აღნიშნული პირი გადაეცა, უფლებამოსილი და ვალდებულია პატიმრობაში ამყოფოს გადაცემული პირი, თუ სახელმწიფო, რომელმაც იგი გადასცა სხვა რამეს არ ითხოვს;

ბ) სახელმწიფო, რომელსაც ზემოხსენებული პირი გადასცეს, წინასწარი შეთანხმების საფუძველზე დაუყოვნებლივ ასრულებს ვალდებულებას, რომ დააბრუნოს იგი იმ სახელმწიფოს საპატიმრობაში, საიდანაც მისი გადმოყვანა მოხდა, ან სხვაგვარად მოიქცეს, თუ ამ სახელმწიფოების კომპეტენტურ ორგანოებს შორის სხვაგვარი შეთანხმება არსებობს;

გ) სახელმწიფო, რომელსაც გადაეცა აღნიშნული პირი, არ მოსთხოვს სახელმწიფოს, რომელმაც იგი გადასცა, რომ

მის დასაბრუნებლად ექსტრადიციის პროცედურას მიმართოს;
დ) გადაცემულ პირს სასჯელის მოხდის დროში ჩაეთვლება ის დრო, რომელიც მან მეორე სახელმწიფოს საპატიმროში გაატარა;

3. თუ სახელმწიფო, რომელმაც წინამდებარე მუხლის შესაბამისად ეს პირი მეორე სახელმწიფოს უნდა გადასცეს, თანახმაა, ეს პირი, მიუხედავად მისი მოქალაქეობისა, არ დაექვემდებარება იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომელსაც იგი გადასცეს, სისხლისამართლებრივ დევნას ან დაპატიმრებას, ან პირადი თავისუფლების მიმართ სხვაგვარი აღმკვეთი ღონისძიების გამოყენებას იმ ქმედობებთან ან ბრალდებებთან დაკავშირებით, რომელიც ჩადენილი იყო მანამ, სანამ ეს პირი დატოვებდა იმ სახელმწიფოს ტერიტორიას, რომელმაც იგი გადასცა.

მუხლი 17

ნებისმიერი პირი, რომელიც ამ კონვენციის თანახმად პატიმრობაშია აყვანილი, ან რომლის მიმართ სხვა ღონისძიებებია გატარებული ან სხვა მართლმსაჯულებრივი პროცედურაა განხორციელებული, გარანტირებული უნდა იყოს, რომ სამართლიანად მოექცევიან და ისარგებლებს ყველა უფლებითა და გარანტიით, რასაც უზრუნველყოფს იმ სახელმწიფოს კანონმდებლობა, რომლის ტერიტორიაზეც ის იმყოფება და მასზე გავრცელდება საერთაშორისო სამართლის შესაბამისი დებულებები, მათ შორის ადამიანთა უფლებების შესახებ საერთაშორისო კანონი.

მუხლი 18

1. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები ითანამშრომლებენ მე-2 მუხლში ჩამოყალიბებულ დანაშაულობათა თავიდან ასაცილებლად და მიიღებენ ისეთ ზომებს, რომელთა მიღებაც პრაქტიკულად არის შესაძლებელი, რაც, სხვათა შორის, გულისხმობს საჭიროების შემთხვევაში საშინაო კანონმდებლობის მიღებას მათ ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ დანაშაულების ჩადენის თავიდან ასაცილებლად და მისთვის წინააღმდეგობის გასაწევად, კერძოდ:

ზომების მიღებას თავიანთ გერიგორიებზე იმ პირებისა და ორგანიზაციების არაკანონიერი საქმიანობის ასაკრძალად, რომლებიც შეგნებულად წაახალისებენ, უბიძგებენ, ორგანიზებას უკეთებენ ან ჩაბმული არიან მე-2 მუხლში ჩამოყალიბებული დანაშაულის ჩაღენაში;

ზომების მიღებას, რაც ფინანსური დაწესებულებებისა და სხვა პროფესიების წარმომადგენლებისაგან, ვინც ფინანსურ გარიგებებთან არის დაკავშირებული, მოითხოვს ყველაზე ქმედითი ღონისძიებების გატარებას თავიანთი ჩვეულებრივი ან შემთხვევითი კლიენტების იდენტიფიკაციის მიზნით, აგრეთვე, იმ კლიენტების საიდენტიფიკაციოდ, ვისი ინტერესისთვისაც არის გახსნილი ანგარიშები და საგანგებო ყურადღება დაუთმონ უჩვეულო ან საეჭვო გარიგებებს და განაცხადონ გარიგებების შესახებ, რომლებიც დანაშაულებრივ საქმიანობას უკავშირდება. ამ მიზნით კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები იმსჯელებენ:

ისეთი წესების შემოღებაზე, რომლებიც კრძალავს ანგარიშების გახსნას, თუკი მათი მფლობელები ან ბენეფიციარები დაუდგენელი პირები არიან, ან მათი იდენტიფიკაცია შეუძლებელია და ისეთი ღონისძიებების გატარებაზე, რომლებიც უზრუნველყოფს ზემოთხსენებული ინსტიტუტების მიერ მსგავსი გარიგებების მიღმა მდგომი პირების დადგენას და იდენტიფიკაციას;

იურიდიული პირების იდენტიფიკაციის თაობაზე, რაც ფინანსური ინსტიტუტებისაგან ისეთი ზომების მიღებას მოითხოვს, რომლის ძალითაც შესაძლებელია კლიენტის იურიდიული არსებობის და სტრუქტურის დადგენა რეგისტრაციის შესახებ მტკიცებულების მოპოვებით სახელმწიფო რეესტრის, ან თავად კლიენტის, ან ამ ორივეს საშუალებით. ეს მოიცავს ინფორმაციას, დაკავშირებულს კლიენტის რეკვიზიტებთან: დასახელება, იურიდიული ფორმა, მისამართი, დირექტივები და დებულებები, რომლებიც სავალდებულოა ამ იურიდიული პირისთვის;

წესების შემოღების თაობაზე, რომლებიც ფინანსურ ინსტიტუტებს ვალდებულებას აკისრებს სასწრაფოდ შეაგყობინონ კომპეტენტურ ორგანოებს ყველა რთული, უჩვეულოდ მას-

შტაბური ან უცნაური გარიგების შესახებ, რომელიც არ ისახავს მიზნად აშკარად ეკონომიკურ ან თვალსაჩინოდ კანონიერ მიზნებს, ისე, რომ არ ჰქონდეთ სისხლის ან სამოქალაქო სამართლის პასუხისმგებლობის მიში, თუკი ინფორმაციის გაუმქლავებლობის შესახებ წესს კეთილი განზრახვით დაარღვევენ;

ფინანსური ინსტიტუტებისათვის მოთხოვნის თაობაზე, რომ სულ მცირე ხუთი წელი შეინახონ საშინაო და საგარეო გარიგებების შესახებ დოკუმენტები.

2. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები კვლავაც ითანამშრომლებენ მე-2 მუხლში ჩამოყალიბებული დანაშაულების თავიდან ასაცილებლად და გაითვალისწინებენ აგრეთვე:

გარკვეული ზომების მიღებას ბელადმხედველობის დაწესების მიზნით, მაგალითად, ფულის გადარიცხვით დასაქმებული ყველა დაწესებულების ლიცენზირებას;

სათანადო ზომების მიღებას, რათა მეთვალყურეობა გაეწიოს ნაღდი ფულისა და წარმომდგენზე გაცემული დოკუმენტების საზღვარზე მოძრაობას მკაცრი კონტროლის დაწესებასთან ერთად უზრუნველყოფენ ინფორმაციის სწორ გამოყენებას და კაპიტალის მოძრაობის თავისუფლებას.

3. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები კვლავაც ითანამშრომლებენ მე-2 მუხლში ჩამოყალიბებული დანაშაულობათა თავიდან ასაცილებლად, გაცვლიან მუსგ ინფორმაციას თავიანთი კანონმდებლობის შესაბამისად და მოახდენენ ადმინისტრაციული და სხვა ღონისძიებების კოორდინაციას, კერძოდ

დააარსებენ და აამუშავებენ კომუნიკაციის არხებს და სამსახურებს თავიანთ კომპეტენტურ დაწესებულებებს შორის, რათა ხელი შეუწყონ მე-2 მუხლში ჩამოყალიბებული დანაშაულების შესახებ ინფორმაციის უსაფრთხო და სწრაფ გაცვლას;

იტანამშრომლებენ ერთმანეთთან მე-2 მუხლში ჩამოყალიბებულ დანაშაულებთან დაკავშირებული ცნობების შეკრების დროს, რომელიც ეხება:

იმ პირების ვინაობის, ადგილსამყოფელის და საქმიანობის დადგენას, ვისზეც ეჭვობენ, რომ ჩაბმული არიან მსგავს დანაშაულებრივ საქმიანობაში;

ფონდების მოძრაობას, რომელიც დაკავშირებულია ამგვარ დანაშაულობათა ჩადენასთან.

4. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს შეუძლიათ გაეცვალონ ინფორმაცია კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ინტერპოლი) საშუალებით.

მუხლი 19

კონვენციის მონაწილე სახელმწიფო, რომელშიც მიმდინარეობს პროცესი სავარაუდო დამნაშავეის წინააღმდეგ, ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის ან სათანადო პროცედურების შესაბამისად შეაგვიბინებს პროცესის საბოლოო შედეგებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, ხოლო ეს უკანასკნელი გადასცემს ინფორმაციას კონვენციის მონაწილე სხვა სახელმწიფოებს.

მუხლი 20

კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები შეასრულებენ ამ კონვენციით მათზე დაკისრებულ ვალდებულებებს სუვერენული თანასწორობის, გერიგორიული მთლიანობის და სხვა სახელმწიფოების საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების შესაბამისად.

მუხლი 21

ამ კონვენციის არც ერთი დებულება არ ახდენს გავლენას სახელმწიფოებისა და პიროვნებების სხვა უფლებებსა და მოვალეობებზე, რომლებიც განსაზღვრულია საერთაშორისო სამართლით, კერძოდ, გაერთიანებული ერების ქარტიით, საერთაშორისო ჰუმანიტარული კანონით, სხვა მსგავსი კონვენციებით.

მუხლი 22

ამ კონვენციის არც ერთი დებულება არ ანიჭებს უფლებას კონვენციის მონაწილე რომელიმე სახელმწიფოს, მეორე სახელმწიფოს გერიგორიაზე გაავრცელოს იურისდიქცია ან შეასრულოს ფუნქცია, რომელიც ამ მეორე სახელმწიფოს ხელი-

სუფლების ექსკლუზიურ უფლებას წარმოადგენს, მინიჭებულს მისი ქვეყნის კანონმდებლობით.

მუხლი 23

1. დანართი შეიძლება შესწორდეს და მას შეიძლება დაემატოს სათანადო შეთანხმებები, რომლებიც:

– გახსნილია მონაწილეობის მისაღებად ყველა სახელმწიფოსთვის;

– ძალაშია შესული;

– რაგიფიცირებულია, მიღებულია, დამტკიცებულია, ან მიღებულია სულ მცირე ოცდაორი სახელმწიფოს მიერ, რომელიც მონაწილეობს წინამდებარე კონვენციაში.

2. ამ კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ კონვენციის მონაწილე ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია შეიგანოს წინადადება შესწორების შესახებ. ნებისმიერი წინადადება შესწორების შესახებ წერილობითი ფორმით უნდა ეცნობოს დეპოზიტარს. ეს უკანასკნელი კონვენციის მონაწილე ყველა სახელმწიფოს გაუგზავნის წინადადებებს, რომლებიც შეესაბამება 1-ლი მუხლის მოთხოვნებს და შეაჯერებს მათ აზრს იმის თაობაზე, მიიღონ თუ არა შესწორება.

3. შემოთავაზებული შესწორება მიჩნეული იქნება მიღებულად, თუ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების სულ მცირე ერთი მესამედი არ წავა მისი მიღების წინააღმდეგ წერილობითი ფორმით არაუგვიანეს 180 დღისა მის ცირკულაციამდე.

4. დანართის დამტკიცებული შესწორება ძალაში შედის რაგიფიკაციის ოცდამეორე სიგელის დეპონირებიდან და ამ შესწორების მიღებიდან ან დამტკიცებიდან 30 დღის შემდეგ, კონვენციის მონაწილე ყველა სახელმწიფოსთვის, რომელმაც მოახდინა ამ სიგელის დეპონირება. თითოეული სახელმწიფოსათვის, რომელიც ახდენს შესწორების რაგიფიკაციას, მიღებას ან დამტკიცებას ოცდამეორე სიგელის დეპონირების შემდეგ, შესწორება ძალაში შედის ოცდამეათე დღეს სახელმწიფოს მიერ რაგიფიკაციის სიგელის დეპონირების, მიღების ან დამტკიცებიდან.

მუხლი 24

1. ნებისმიერი დავა კონვენციის მონაწილე ორ ან მეტ სახელმწიფოს შორის, რომელიც ამ კონვენციის ინტერპრეტაციას ან გამოყენებას ეხება და მოლაპარაკების გზით დროულად ვერ მოგვარდა, ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით უნდა გადაეცეს საარბიტრაჟო სასამართლოს. თუ განაცხადის შეგანიდან ექვსი თვის განმავლობაში მხარეები ვერ შეთანხმდებიან არბიტრაჟის გამართვის ორგანიზაციულ საკითხებზე, რომელიმე მათგანს შეუძლია გადაიგანოს დავა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში, აღნიშნული სასამართლოს წესდების თანახმად შედგენილი განაცხადით.

2. კონვენციის მონაწილე თითოეულ სახელმწიფოს ამ კონვენციის ხელმოწერის, რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან მასთან შეერთების დროს შეუძლია განაცხადოს, რომ არ მიაჩნია თაღი ვალდებულად პირველი პუნქტის თანახმად. არც სხვა სახელმწიფოები იქნებიან პირველი პუნქტის თანახმად ვალდებული იმ სახელმწიფოს მიმართ, რომელიც ამგვარ პირობას წამოაყენებს.

3. ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც დამატებით შესწორებას აკეთებს მე-2 მუხლის მიმართ, შეუძლია სასურველ დროს მოხსნას ეს შესწორება, რის შესახებაც შეატყობინებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

მუხლი 25

1. ამ კონვენციაზე ხელის მოწერა შეუძლია ყველა სახელმწიფოს 2000 წლის 10 იანვრიდან 2001 წლის 31 დეკემბრამდე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნიუ-იორკის შტაბბინაში.

2. ეს კონვენცია უნდა იყოს რატიფიცირებული, მიღებული და დამტკიცებული. სარატიფიკაციო სიგელები, მიღებისა და დამტკიცების დოკუმენტები დეკონირებული უნდა იყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან.

3. ამ კონვენციას შეუძლია შეუერთდეს ნებისმიერი სახელმწიფო და ამის შესაბამისი დოკუმენტები დეკონირებული უნდა იყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან.

მუხლი 26

1. ეს კონვენცია ძალაში შედის ოცდამეორე სარატიფიკაციო სიგელის მიღების, დამტკიცების ან კონვენციასთან შეერთების დოკუმენტების გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან დეკონირებიდან ოცდამეათე დღეს.

2. თითოეული სახელმწიფოსთვის, რომელიც ახდენს ამ კონვენციის რატიფიკაციას, მიღებას, დამტკიცებას, ან მასთან შეერთებას, კონვენცია ძალაში შედის სარატიფიკაციო სიგელის, მიღების, დამტკიცების ან კონვენციასთან შეერთების დოკუმენტების დეკონირებიდან ოცდამეათე დღეს.

მუხლი 27

1. კონვენციის მონაწილე ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია მოახდინოს ამ კონვენციის დენონსირება, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისთვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით.

2. დენონსირება ძალაში შედის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მიერ შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან ერთი წლის შემდეგ.

მუხლი 28

ამ კონვენციის დედანი, რომლის არაბული, ჩინური, ინგლისური, ფრანგული, რუსული და ესპანური ტექსტები თანაბრად ავთენტიკურია, დეკონირებულ უნდა იყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან, რომელიც სერტიფიცირებულ ასლებს გაუგზავნის ყველა სახელმწიფოს.

შესაბამისი მთავრობების მიერ უფლებამოსილმა პირებმა ხელი მოაწერეს ამ კონვენციას, რომელიც ნებადართულია ხელმოსაწერად 2000 წლის 10 იანვრამდე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნიუ-იორკის შტაბბინაში.

გამოყენებული ლიტერატურისა და წყაროების სია

I. საერთაშორისო ორგანიზაციათა დოკუმენტები რუსულ ენაზე:

Док. ООН A/comf./203PM: 1. Одиннадцатый конгресс Организации Объединенных нации по предупреждению преступности и уголовного правосудия, Бангкок, 18-25 апреля 2003 г.

Док. ООН. Доклад специального комитета, учрежденного Резолюцией 51/210 Генеральной Ассамблеи от 17 декабря 1996 г. Шестая сессия (28 декабря _ 1 февраля 2002 г.). Генеральная Ассамблея Официальный отчет пятьдесят седьмой сессии. Дополнение №37 (A/57/37):

Управление ООН по наркотикам и преступности. Борьба с международным терроризмом: вклад Организации Объединенных Нации, 2003 г.

конвенция ООН о борьбе против незаконного оборота наркотических средств и психотропных веществ 1988 г.

Док. ООН. S/Res/1566 (2004). Резолюция 1566 (2004)б принятая Советом Безопасности на его 5053-м заседании 8 октября 2004 г.

ქართულ ენაზე:

საერთაშორისო კონვენცია ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ. 1999 წლის 9 დეკემბერი.

ინგლისურ ენაზე:

Doc. S/2004/276.

Doc. S/2004/345.

Doc. S/2004/24.

FATF. Report on Money laundering Typologies. P., 3 February 2001.

FATF. Annual report. 2002-2003. 20 June 2003.

FATF. Группа по разработке финансовых мер борьбы с отмыванием денег. Сорок рекомендации, 1996.

FATF. The Forty recommendation. 20 June 2003.

FATF. Special recommendations on Terrorists financing. 31 October 2001.

FATF. non-profit organization and Links to Terrorists financing/ Report on money laundering typologies 2003-2004. FATF, 2004.

Guidance for financial institutions indelecting Terrorists financing. P., 24 April 2002.

FATF. non-profit organization and Links to Terrorists organizations. P., 2003.

The forty recommendations. FATF-GAFKL Secretariat Paris. 20 June 2003.

Framework document for visits to states inorder to enhance the monitoring of the implementation of resolution 1373 (2001), P., 9 march 2005.

Information paper on financial intelligence units and the Egmont group. P., 2001.

International Association of insurance Supervisors. Anti-money Guidance notes Insurance Supervisors and insurance entities. January 2002. Guidance Paper n 5.

წიგნები (რუსულ ენაზე)

Арсентьев Ю. Л. Международные организационно-правовые механизмы кредитования и финансирования в Российской Федерации. М., 2000.

Богуславский М. М. Международное экономическое право. М., 1986. С. 137.

Вельяминов Г. М., Шамсиев Л. Р. Международные

параорганизации (клубы) и долги России // Государство и право. 1999. №9.

Вахания В. В. Правовое сотрудничество России с международными финансово-экономическими организациями и проблема контрольных механизмов. М., 2004.

Додонов В. Н., Панов В. П., Румянцева О. Г. Международное право. Словарь-справочник. М., 1997.

Федоров Б. Г. Новый англо-русский банковский экономический словарь. С-Пб., Лимбус Пресс, 2000. С. 59.

Хаминский Я. М. Интеграция России в ФАТФ: заслон международного терроризма. М., 2004.

შინაარსი

შესავალი.....	3
თავი I. საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბაეროს საქმიანობის საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტები.....	12
§1. საერთაშორისო ტერორიზმის ცნება.....	12
§2. კავშირი ტერორიზმსა და დანაშაულებრივი საქმიანობის სხვა სახეობებს შორის.....	18
§3. კონტრტერორისტული კომიტეტის საქმიანობა.....	20
§4. კომიტეტის მუშაობის აქტივიზაციის წინადადებანი.....	32
§5. ტერორისტთან ბრძოლის გლობალური პროგრამა: ტექნიკური დახმარების გაწევა.....	43
თავი II. ბაეროს საქმიანობა ტერორიზმის დაწინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებში.....	51
§1. საერთაშორისო კონვენცია ტერორიზმის დაწინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.....	51
§2. ბაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია ტერორიზმის დაწინააღმდეგ შესახებ.....	59
§3. პოლიტიკურად ცნობილი პირები (პცპ) და ფულის გათეთრება.....	71
თავი III. ფატფ-ის საქმიანობა ტერორიზმის დაწინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებში	81
§1. ფატფ-ის ზოგადი დახასიათება.....	81
§2. ფატფ-ის რვა სპეციალური რეკომენდაცია, რომლებიც ტერორიზმის დაწინააღმდეგ ბრძოლას ეხება.....	89
§3. სახელმძღვანელო მითითებანი ფატფ-ის რვა სპეციალური რეკომენდაციის თაობაზე ტერორიზმის დაწინააღმდეგ წინააღმდეგ და თვითშეფასების კითხვარი.....	92

§4. არაკომერციული ორგანიზაციები და მათი კავშირი ტერორიზმის დაფინანსებასთან 106

§5. ფინანსური ინსტიტუტების ხელმძღვანელობა ტერორისტული ფინანსური საქმიანობის გამოსავლენად— 119

თავი IV. საღაგღვევო გეღამხედველობის ორგანოების სარტათაშორისო ასოციაციისა და ფასიანი ქალაღღების კომისიათა სარტათაშორისო ორგანიზაციის სარტათაღღვევოქმედებითი საქმიანობა 139

§1. საღაგღვევო გეღამხედველობის ორგანოთა სარტათაშორისო ასოციაციის სახელმძღვანელო მითითებანი ფულის გათეთრებისადმი წინააღღგომის შესახებ საღაგღვევო გეღამხედველობის ორგანოებისა და საღაგღვევო საზოგადოებებისათვის 139

§2. კლიენტისა და ბენეფიციარული მფლობელობის იღენტიფიკაციის პრინციპები ფასიანი ქალაღღების ღარღში 155

თავი V. ორგანიზაციულ-სარტათღღებრივი ღონისკიებაანი, როღღებსას ფულის გათეთრებისა და ტარორიღგმის დაფინანსების წინააღღღებ საბრკოღღვეღად ახორციეღღებან სარტათაშორისო სარკალღო ფონღი და მსოფღიო ბანკი 170

თავი VI. ებგონების ჰგუვის ფინანსური ღაგვერვათა საქმიანოების ევოღუსია და ფინანსური მონიტორინგის კომიტატის კირითაღი ამოსანები 178

ღასკვნა 188

სარტათაშორისო კონვენსია ტარორიღგმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ 189

გამოყენებული ლიტერატურისა და წყაროების სია 211

**საგამომცემლო უზრუნველყოფა:
საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“**

დირექტორი:	ზაურ ნაჭყეზია
ტექნიკური რედაქტორი:	ლევან ბოჭორიშვილი
ოპერატორი:	სოფო ქილიფთარი
კორექტორები:	ქეთევან წახნაკია გვანცა შანავა

მისამართი: თბილისი, ძმები კაკაბაძეების ქ. №22
ტელ: (899) 56-14-57; 98-39-30; 98-71-25; 92-25-23.

**Email: inovacia@caucasus.net
vladimir@vakhaniya.ru**